178
1969 / 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

178/2

საბჭოთა საქართველო

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1969

1

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 1

იანვარი—თებერვალი

1969 წელი

გამოცემის XVI წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთანარსებული იურიდიული კომისიის ორგანო

ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

ნ. ლომსაძე — ახალი საადგილმამულო კანონმდებლობა 3

პ. ბერძენიშვილი, ა. ფალიაშვილი — საპროკურორო ზედამხედველობის ზოგიერთი აქტუალური საკითხისათვის 7

ა. გაბიანი — ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ადმინისტრაციული წესით იძულებითი მკურნალობის შესახებ 13

რ. ცინცაძე — საავტომობილო გადაზიდვის სახეები 23

ბ. გაბრიაძე — დემოკრატიული პრინციპების სრულყოფა ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში 29

11023

ქართული სამართლის ისტორია

ზ. რატიანი — ბექა-აღბუღას სამართლის წიგნისა და მისი დანართი მუხლების საკითხისათვის 33

ოფიციალური მასალა 43

რომანი

ჯ. ჩეიზი — მოწმენი არ იქნებიან 77

არბიტრაჟის პრაქტიკა 87

სასამართლო პრაქტიკა 90

ინფორმაცია 95

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Н. Ломсадзе — Новое земельное законодательство 3
П. Бердзенишвили, А. Палиашвили — Некоторые актуальные вопросы прокурорского надзора 7
А. Габиани — О принудительном лечении алкоголиков и наркоманов в административном порядке 18
Р. Цинцадзе — Виды автомобильных перевозок 23
Б. Габриадзе — Совершенствование демократических принципов в работе местных органов 29

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

З. Ратиани — К вопросу о судебнике Бека и Агбуга и добавочных его статьях 38

Официальный материал 43

РОМАН

Д. Чейз — Свидетелей не будет 77

Практика арбитража 87
Судебная практика 90
Информация 95

შეკ. № 500
ტირაჟი 15.900
უე 07078

სარედაქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), **ვ. აბაშმაძე**, **ო. ბაკურაძე**, **ბ. ბარათაშვილი**, **პ. ბერძენიშვილი**, **თ. დადიანი**, **გ. ინწკირველი**, **მ. ლომიძე**, **ვ. მაისურაძე**, **თ. წერეთელი**, **ს. ჯორბენაძე**.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 13/II-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/II-69 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საადგილმამულო კანონმდებლობა

ნ. ლომსაძე

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რაციონალურად და გონივრულად გამოვიყენებთ სახალხო მეურნეობაში მიწის, წყლის, ტყის რესურსებსა და სასარგებლო წიაღისეულს. მიწა სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი საშუალებაა. მიწის საკითხი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის — გლეხების ყოფაცხოვრების მოწყობის საკითხია და ამდენად ჩვენთვის ძირითადია. მიწაზე კერძო საკუთრების შედეგად, რაც დამახასიათებელია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, მიწათსარგებლობა ყოველთვის მტაცებლურია, ანარქიული. მას შედეგად მოსდევს მიწის გამოფიტვა, მისი გადაქცევა მწირ უდაბნოდ.

ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენში სამუდამოდ გააუქმა ჩვენს ქვეყანაში კერძო საკუთრება მიწაზე და იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად აქცია. მიწა სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაეცა მშრომელებს.

მიწის ნაციონალიზაციამ სსრ კავშირში საფუძველი ჩაუყარა საადგილმამულო ურთიერთობის ინსტიტუტს, დასაბამი მისცა სოციალისტურ მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ფორმებზე გადასვლას, საბჭოთა აგრარული სამართლის და მიწის კანონმდებლობის გარკვეული სისტემის ჩამოყალიბებას.

საბჭოთა მიწის სამართლის ამოცანებია საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგება მიწების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის, მათი ეფექტიანობის გადიდების მიზნით, სოციალისტურ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, აგრეთვე საადგილმამულო ურთიერთობის დარგში კანონიერების განმტკიცება და იმ დავების გადაწყვეტა, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ ურთიერთობათა შედეგად.

მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საწყისები მიღებულ იქნა 40 წლის წინ, 1928 წელს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. საჭირო გახდა ახალი საადგილმამულო კანონმდებლობის შემუშავება. ახალი კანონმდებლობა კარგა ხანი მუშავდებოდა და იგი სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 1968 წლის დეკემბერს დაამტკიცა. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები“ 11 ნაწილისა და 50 მუხლისაგან შედგება. ახალი საადგილმამულო კანონმდებლობა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი და სრულყოფილი ნორმატიული აქტია.

საფუძვლების მე-4 მუხლის თანახმად ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი იყოფა 6 კატეგორიად, სახელდობრ: 1). სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც სარგებლობისათვის გადაცემული აქვთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მიწათმოსარგებლეებს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის; 2). დასახლებული პუნქტების (ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების) მიწები, 3). მრეწველობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები; 4). სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწები; 5). სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები; 6). სახელმწიფო მარაგის მიწები.

საფუძვლებში გადაჭრილია, საბჭოთა აგრარული ურთიერთობის საკითხთა მთელი კომპლექსი, წიაღისეულის, ტყეებისა და წყალთა სარგებლობის უფლებრივი რეჟიმი, რაც მოწესრიგდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ასეთივე პრინციპებზე მიღებულ კანონმდებლობათა საფუძვლებით.

საფუძვლები ითვალისწინებს მიწის კადასტრის შემოღების აუცილებლობას და მიწების გამოყენებისათვის სახელმწიფოებრივი გაძლიერებული კონტროლის დაწესებას (მე-20 და 46-ე მუხლები). სახელმწიფო მიწის კადასტრში შედის მიწათსარგებლობის რეგისტრაცია, მიწების რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვის, ნიადაგების ბონიტირებისა და მიწების ეკონომიური შეფასების მონაცემები. მიწის კადასტრი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას, პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დაგეგმვის დაზუსტებას და ა. შ.

მიწა მოსარგებლე სუბიექტებს გადაეცემათ უსასყიდლოდ და სარგებლობის უფლებით. ეს უფლება შეიძლება იყოს უვადო და ვადიანი (დროებითი). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწები სარგებლობის უფლებით მუდმივად გადაეცემათ. დროებითი მიწათსარგებლობა შეიძლება იყოს მოკლე ვადიანი — სამ წლამდე და გრძელვადიანი — სამიდან ათ წლამდე. მიწათმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი, ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების გაუმჯობესება, აგრეთვე მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, საფუძვლებით რეგლამენტირებულია სრულყოფილად.

1958 წელს მიღებულ კანონში „ბუნების დაცვის შესახებ საქართველოს სსრ-ში“ ნათქვამია, რომ დაცვას საჭიროებს ყველა სახის ნიადაგი და განსაკუთრებით სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად საშუალებას. მიწათმოსარგებლენი ვალდებული არიან ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სისტემატურად განახორციელონ აგროტექნიკური, სამელორაციო და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, რათა შეინარჩუნონ ნიადაგის საფარი, ტენიანობის სასარგებლო რეჟიმი და მიწის ნაყოფიერება.

საფუძვლების 25-ე, 28-ე, 41-ე და 42-ე მუხლები ამკვიდრებენ კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეებისა და სოფლის მცხოვრებ სხვა მოქალაქეთა უფლებას ისარგებლონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, სამოსახლო, საბოსტნე ნაკვეთით და სასამსახურო მიწებით.

მიწათმოსარგებლე შრომისუნარიან მოქალაქეს აკრძალული აქვს საკარმიდამო, საბოსტნე ან სასამსახურო ნაკვეთის დამუშავებაში დაქირავებითი შრომის გამოყენება.

თუ ადგილი აქვს ნიადაგის მოუვლელობას და ეროზიულ მოვლენათა საწინააღმდეგო ზომების მიუღებლობას, მოსარგებლე წლების მანძილზე რაციონალურად არ იყენებს მიწას, მაშინ მიწათსარგებლობის უფლება ისპობა და მას მიწა ჩამოერთმევა.

ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის გამოყენება-ათვისების საქმეში პრიორიტეტი მაინც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ეკუთვნის. მიწა ჩვენი მარჩენალი, ჩვენი სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროა და ამიტომ თვა-

ლისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ მას. სავარგულო მიწების არადანიშნულებისამებრ გამოყენება კანონით აკრძალულია.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის აღმავლობამ და კეთილმოწყობილ ქალაქთა რიცხვის ზრდამ, ტრანსპორტისა და სამთომადნო დარგის განვითარებამ, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობამ და საწარმოო ობიექტთა ფართო მასშტაბით განლაგებამ დიდი ოდენობის მიწების გამოყოფა მოითხოვა. ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩამოერთვათ 8,1 მილიონი ჰექტარი მიწები, აქედან 5,2 მილიონი ჰექტარი — სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მათ შორის — 1,5 მილიონი ჰექტარი სახნავსათესი მიწები იყო. მარტო 1967 წ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ბრუნვიდან გამოითიშა 335 ათასი ჰექტარი სავარგული მიწა და გამოყენებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

41 წლის განმავლობაში (1926—1967 წწ) საბჭოთა კავშირში 3 ათასამდე ახალი ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება გაშენდა, ქალაქის მიწის ფონდის ოდენობამ კი 9 მილიონ ჰექტარს გადააჭარბა. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში (გარდა თბილისის, ბათუმისა და სოხუმის) ადგილი აქვს მცირე სართულიანი შენობების შენარჩუნებას. ქალაქის მიკროუბნებში აშენებენ ასეთ სახლებს, ზოგან კი კოტეჯებს, რაც იწვევს სავარგული მიწების განიავებას. ეკონომისტების გამოანგარიშებით 1980 წლამდე მრეწველობის, ენერგეტიკის, საქალაქო მეურნეობისა და სხვა საჭიროებისათვის დამატებით 30 მილიონი ჰექტარი მიწის გამოყოფაა საჭირო. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ დააწესა საფუძვლებმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების მკაცრი რეჟიმი.

ახალი საადგილმამულო კანონი ქმნის მიწათსარგებლობის მყარ სამართლებრივ გარანტიებს, განსაზღვრავს პირობებს ჩვენი ქვეყნის მიწის რესურსების რაც შეიძლება უფრო ეფექტიანი, ინტენსიური და რაციონალური გამოყენებისათვის.

საფუძვლებში ცალკე თავები აქვს დათმობილი ქალაქის მიწების (თავი 3), სატყეო მიწებისა (თავი 5) და წყალთა რესურსებისათვის (თავი 6) განკუთვნილი მიწების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას, მათ კლასიფიკაციასა და გამოყენების საკითხებს.

საფუძვლების მეოთხე თავი მიძღვნილია მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტთა, ნაკრძალთა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისადმი. ამ მიწების უფლებრივი რეჟიმი ჩამოყალიბებულია შედარებით მოკლედ და ზოგად ფორმებში, რადგან ამ კატეგორიის მიწებით სარგებლობის წესი განისაზღვრება ცალკე დებულებით, რომლებსაც ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. ამჟამად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მთავრობის დავალებით ამზადებს დადგენილების პროექტს წყლის რესურსების გამოყენების მოწესრიგებისა და გაჭუჭყიანებისაგან წყლისა და ჰაერის აუზების დაცვის შესახებ.

საფუძვლებში ფართო ადგილი აქვს დათმობილი საადგილმამულო ურთიერთობის მართვა-გამგეობას. განსაზღვრულია საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია, სახელმწიფოებრივი კონტროლი მიწათსარგებლობის დარგში. სოფლის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები გამოდიან, როგორც მართვა-გამგეობის, ისევე სახელმწიფოებრივი კონტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლის გამწევი ორგანოები. კანონი აძლიერებს სამიწათმოქმედო ორგანოების, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და პროკურატურის ორგანოების საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციებს.

საფუძვლებში ჩამოთვლილია მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის მიზეზები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესი, განსაზღვრულია იმ ზარალის ანაზღაურების წესი, რომელიც მოსარგებლემ განიცადა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევით. „მიწათმოსარგებლეებს უნდა აუნაზღაურდეთ ის ზარალი, რომელიც გამოიწვია სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევამ ან მიწის ნაკვეთების დროებითმა დაკავებამ“ (მუხ. 18).

საფუძვლების ბოლო მე-11 ნაწილი ეხება მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. ის პირები, რომლებიც დაარღვევენ საადგილმამულო კანონმდებლობას, პასუხს აგებენ ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი წესით. გარდა ამისა მიწათმოსარგებლეებს, რომლებიც დაარღვევენ მიწის კანონმდებლობას, შეიძლება რიგ შემთხვევებში ჩამოერთვათ მიწის ნაკვეთებით სარგებლობის უფლება.

ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების პრაქტიკა კვლავ იქნება გამოყენებული ყველას მიმართ, ვის უწყებაშიც არ უნდა შედიოდეს ბრალეული მხარე.

საფუძვლებით გათვალისწინებული წესების შეუსრულებლობის ან დარღვევისათვის პასუხისმგებლობა უფრო იზრდება, ვიდრე ეს იყო დღემდე. ოღონდ ეს პასუხისმგებლობა უფრო ფართო მასშტაბით გამოიყენება ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართლებრივი წესით, ვიდრე სისხლისსამართლებრივი წესით.

ახალი საადგილმამულო კანონმდებლობა სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტური მიწათსარგებლობის მხოლოდ ძირითად საწყისებს არეგულირებს.

საფუძვლების ბაზაზე შემუშავდება და გამოიცემა საქართველოს სს რესპუბლიკის მიწის ახალი კოდექსი. მასში გათვალისწინებული იქნება რესპუბლიკის სპეციფიკური პირობები. გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ფართო მასებში ამ ფრიად მნიშვნელოვანი კანონის პროპაგანდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროკურორო ზედამხედველობის ზოგიერთი აქტუალური საკითხისათვის

პ. ბერძენიშვილი,
საქართველოს სსრ პროკურორი
ა. ფალიაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად პროკურატურა ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას საბჭოთა კანონების ზუსტად შესრულებისადმი მთელს სახელმწიფოში, თვალყურს ადევნებს ერთიანი სოციალისტური კანონიერების დაცვას, იმას, რომ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონები შეფარდებულ იქნას ერთგვაროვნად.

საპროკურორო ზედამხედველობას პროკურატურა ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით. პროკურატურისათვის არ არსებობს საუწყებო ბარიერი, ამოწმებს ყველა უწყებას, მაღლა დგას ყოველგვარ საუწყებო კონტროლზე.

უკანასკნელ დრომდე იურიდიულ მეცნიერებაში არ მუშავდებოდა საპროკურორო ზედამხედველობის აქტუალური პრობლემები. 1954-1955 წლამდე საპროკურორო ზედამხედველობა დამოუკიდებელ საგნადაც კი არ იკითხებოდა უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში. ცხადია, რომ ცალკეული მონაცემები პროკურატურის მოღვაწეობის შესახებ, რომლებსაც სტუდენტები შეისწავლიდნენ სხვა იურიდიულ დისციპლინებში საკმარისი არ იყო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

ამჟამად შექმნილია ყველა პირობა, რათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნას დამუშავებული საპროკურორო ზედამხედველობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, მეტი ყურადღება მიექცეს საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებას.

საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების ზოგიერთი აქტუალური საკითხის ნათლად წარმოდგენისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ ისინი ზედამხედველობის ცალკეული დარგების მიხედვით.

I. პროკურატურის საერთო ზედამხედველობა. საერთო ზედამხედველობა წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის დამოუკიდებელ დარგს და რეგლამენტირებულია დებულებით—სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ (თავი II), აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანებებითა და ინსტრუქციებით.

პროკურატურის საერთო ზედამხედველობის საგანს წარმოადგენს სამართლებრივი ხასიათის აქტების (ბრძანებები, ინსტრუქციები, დადგენილებანი, განკარგულებანი, დებულებანი და სხვა) შემოწმება, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მოქმედ კანონებსა და მთავრობის დადგენილებებს, აგრეთვე ზედამხედველობა იმისადმი, რომ ყველა თანამდებობის პირი და სსრ კავშირის მოქალაქე ზუსტად და განუხრელად ასრულებდეს კანონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურატურის საერთო ზედამხედველობა არ არის უსაზღვრო. მთელი რიგი სამართლებრივი აქტების მიმართ პროკურატურას არ შეუძლია გამოიყენოს რეაგირების ყველა ფორმა. ასეთი გარემოება აიხსნება იმით, რომ, კანონი რიგ შემთხვევაში, ზედამხედველობის ფუნქციას აკისრებს არა პროკურატურას, არამედ სხვა ორგანოს.

საერთო ზედამხედველობის განხორციელების ობიექტს არ წარმოადგენს, მაგალითად, საკონსტიტუციო ზედამხედველობა, რომელსაც სსრ კავშირში ახორციელებს არა პროკურატურა, არამედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მისი პრეზიდიუმი.

საპროკუროროო ზედამხედველობის დებულების მე-10 მუხლში ჩამოთვლილია ყველა ის ორგანო, რომელთა მიერ გამოცემულ აქტებზე ვრცელდება პროკურატურის საერთო ზედამხედველობა. ამ მუხლში ნახსენები არ არის სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები იღებენ ისეთ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ან არ შეესაბამებიან საკავშირო კანონებს ან დადგენილებებს. პროკურატურის ორგანოებს არ შეუძლიათ რეაგირების გარეშე დატოვონ ეს და სათანადო წარდგინებით ან ინფორმაციით შედიან სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის უმაღლეს ორგანოში. ეს სრულიადაც არ ლახავს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის უმაღლესი ორგანოს ავტორიტეტს.

უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო ორგანოების ზოგიერთი ფუნქცია გადაეცათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგალითად, პროფკავშირები, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, თავისუფლების აღკვეთის ადგილების სამეთვალყურეო კომისიები, ამხანაგური სასამართლოები და ა. შ. თავიანთი ფუნქციების განხორციელების შედეგად ხშირად ღებულობენ ისეთ სამართლებრივი ხასიათის აქტებს (დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს), რომლებიც წარმოშობენ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებულ სამართლებლივი ხასიათის აქტების კანონიერების საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პროკურატურის ორგანოებმა საერთო ზედამხედველობის განხორციელების დროს არ შეიძლება თვალყური არ ადევნონ იმას, თუ რამდენად შეესაბამებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული აქტები კანონის მოთხოვნას.

ეს საკითხი სადაოდაა მიჩნეული იურიდიულ ლიტერატურაში. ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ პროკურატურის ზედამხედველობა არ უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ. ასე, ვ. რაუდსალუ აღნიშნავს: „სამეთვალყურეო კომისიის მოღვაწეობაზე პროკუროორი არ ახორციელებს ზედამხედველობას, რადგანაც იგი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია.“[1]

ასეთივე მოსაზრება განვითარებულია ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტის“ სარედაქციო სტატიაში. კერძოდ აქ ნათქვამია: „პროკურატურის ზე-

[1] В. Раудсалу, Деятельность наблюдательных комиссий, «Социалистическая законность», 1961, № 3, стр. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხედველობა არ ვრცელდება, კერძოდ, ამხანაგური სასამართლოების, ნაწილობრივ ყოფლობითი სახალხო რაზმელების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მოღვაწეობაზე."[2]

ზემოთ მოყვანილი მოსაზრება არ არის დასაბუთებული და ეწინააღმდეგება დებულებას სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ.

ამ დებულების მე-3, მე-10, მე-11 მუხლებში პირდაპირაა ხაზგასმული, რომ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები ზედამხედველობას უწევენ იმას, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ზუსტად ასრულებდნენ კანონებს. მაშასადამე, დებულების შესაბამისად პროკურორს ეკისრება მოვალეობა განახორციელოს ზედამხედველობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობის კანონიერებაზე. სოციალისტური კანონიერების დაცვა თანაბრად სავალდებულოა როგორც სახელმწიფო ორგანოებისათვის, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განხორციელებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობის კანონიერებაზე ახასიათებს თავისებურება. ეს იმაში მდგომარეობს, რომ პროკურატურა ამოწმებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების არა ყველა დადგენილებასა და გადაწყვეტილებას, არამედ მხოლოდ მათ, რომლებიც წარმოშობენ, ცვლიან ან წყვეტენ მოქალაქეთა სამართლებრივ ურთიერთობას. პროკურატურა ამოწმებს ამ სამართლებრივი აქტების კანონიერებას პროკურატურის გამგებლობაში მყოფი საჩივრების, სიგნალებისა და განცხადებების საფუძველზე.

სწორად წყვეტს აღნიშნულ საკითხს ვ. მ. ჩხიკვაძე, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ „საპროკურორო ზედამხედველობა არის მნიშვნელოვანი გარანტია კანონიერების დაცვისა, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობაში"[3]. (ამ საკითხზე სწორ მოსაზრებას გამოთქვამს აგრეთვე ვ. კუზნეცოვი[4]).

პროკურორმა საერთო ზედამხედველობის განხორციელების დროს, როცა ამოწმებს კანონების დაცვის მდგომარეობას, ყურადღება ყოველთვის უნდა გაამახვილოს შემდეგი გარემოების დადგენაზე: უფლებამოსილია თუ არა ორგანო, ორგანიზაცია, თანამდებობის პირი მიიღოს ან გამოსცეს სამართლებრივი აქტი, რამდენად კანონიერია გამოცემული აქტი, შეესაბამება თუ არა იგი მოქმედ კანონს ან მთავრობის დადგენილებას, ხომ არ არღვევს ან ზღუდავს იგი მოქალაქეთა ან ცალკეულ პირთა უფლებებს, დაცულია თუ არა აქტის გამოცემისა და გამოქვეყნების წესი, რა მიზეზებმა და გარემოებებმა შეუწყვეს ხელი ან განაპირობეს კანონსაწინააღმდეგო აქტის გამოცემა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული თუ დაშვებულია სამსახურებრივი გადაცდომა.

პროკურატურის საერთო ზედამხედველობის მიზანია არა მარტო კანონის დარღვევის გამოვლენა, არამედ ისიც, რომ მოახდინოს მასზე რეაგირება და

---

[2] За дальнейшее совершенствование общего надзора органов прокуратуры (редакционная статья), «Социалистическая законность», 1964, № 5, стр. 13.

[3] В. М. Чхиквадзе, Государство, демократия, законность, Изд. «Юридическая литература». 1967, стр. 418.

[4] В. Кузнецов, Правовые акты сферы общего надзора прокуратуры, «Социалистическая законность», 1968, № 4, стр. 38—43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღოს ზომები, რათა შემდგომში თავიდან იქნას აცილებული კანონის დარღვევა, მოისპოს დარღვევის ხელშემწყობი მიზეზები. ამასთან ერთად პროკურორი წყვეტს დარღვეული კანონების აღდგენისა და ამ საქმეში დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხს.

საერთო ზედამხედველობის განხორციელების დროს პროკურორის რეაგირების ძირითად ფორმებში (პროტესტი, წარდგინება, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და სხვ.) ძალზე იშვიათია, როდესაც პროკურორი აყენებს საკითხს კანონის დამრღვევის მიმართ დისციპლინური ან ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შესახებ, მაშინ როდესაც რეაგირების ეს ფორმა წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას კანონის დარღვევის თავიდან აცილებისათვის.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1964 წლის 4 ივნისის № 55 ბრძანებაში გამოყოფილია საერთო ზედამხედველობის განხორციელების ის ძირითადი მიმართულებანი, რომელსაც პირველ რიგში უნდა მიექცეს ყურადღება. მათ მიეკუთვნება პროკურატურის ზედამხედველობა: 1) სახელმწიფო მმართველობის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოცემულ სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე; 2) სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონებზე; 3). შრომის კანონების შესრულებაზე; 4) უკომპლექტო, არასტანდარტული და უხარისხო პროდუქციის შესახებ კანონების დაცვაზე; 5) მილიციის ორგანოების ადმინისტრაციულ მოღვაწეობის კანონიერებაზე; 6) მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კანონიერების დაცვაზე. ყურადღების გამახვილება ამ ძირითად სახეებზე სრულიადაც არ ნიშნავს პროკურორის ყურადღების შესუსტებას საერთო ზედამხედველობის სხვა დარგების მიმართ. საჭიროა ისე წარიმართოს მუშაობა, რომ პროკურორს მხედველობიდან არ გამორჩეს საერთო ზედამხედველობის არც ერთი უბანი.

2. *პროკურორის ზედამხედველობა კანონების შესრულებისადმი მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოთა მოღვაწეობაში.* საპროკურორო ზედამხედველობა ვრცელდება ყველა მომკვლევ პირსა და გამომძიებელზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას ემორჩილებიან ისინი და ამასთან მოკვლევისა და გამოძიების მთელ პერიოდში.

პროკურატურის ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებისადმი წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის დამოუკიდებელ დარგს და უზრუნველყოფს კანონთა შესრულებას სისხლის სამართლის საქმის მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ყოველ ეტაპზე. მისი თავისებურება იმაშია, რომ პროკურატურა არა მარტო ახორციელებს ზედამხედველობას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიმართ, არამედ ამავე დროს, პროცესუალურ ხელმძღვანელობას უწევს მათ და გამოდის, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზატორი. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1965 წლის 30 დეკემბრის № 125 ბრძანებაში[5] აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის პროკურატურის დირექტივები გამოძიების საკითხებზე სავალდებულოა გამოძიების ყველა ორგანოსათვის.

ზედამხედველობის განხორციელების პროცესში პროკურორმა უნდა მიი-

[5] Приказ «Об улучшении работы следственного аппарата органов прокуратуры и усилении прокурорского надзора за следствием и дознанием».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღოს ზომები, რათა დანაშაულის ჩადენის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმჟღავნებელი. პროკურორმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმასაც, რათა ყოველთვის სწრაფად და ოპერატიულად გამომჟღავნდეს კანონის დარღვევის ყოველი ფაქტი თვით მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში და, რომ ისინი არ დარჩნენ ზედამხედველი პროკურორის სათანადო რეაგირების გარეშე.

ზედამხედველობის განხორციელებისას პროკურორმა უნდა აამაღლოს მომკვლევი პირის, გამომძიებლის ავტორიტეტი, ხელი შეუწყოს სასარგებლო ინიციატივის გამოჩენას; რეალური, კონკრეტული და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს გამომძიებლებს. პროკურორმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს შორის არსებობდეს მჭიდრო და საქმიანი კონტაქტი იმ მიზნით, რათა მიღწეული იქნეს სისხლის სამართლის საქმის სრული, ყოველმხრივი, ობიექტური და ობიექტური გამოძიება.

სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაში ცენტრალური ფიგურაა გამომძიებელი. იგი წარმოადგენს პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტს. გამომძიებელი დამოუკიდებლად წყვეტს კანონით გათვალისწინებულ ყველა საკითხს, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. რიგ საკითხებზე პროკურორის სანქციის მიღება ან მისი თანხმობის აუცილებლობა სრულიადაც არ არღვევს გამომძიებლის ავტონომიას. ასეთი წესი მიზნად ისახავს იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში, გარანტირებულ იქნას პასუხისგებაში მიცემულ პირთა უფლებების დაცვა და საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტური განხორციელება.

გამოძიების დროს კანონის დარღვევის გამომჟღავნებასა და აცილებას ხშირად ხელს უწყობს პროცესში მონაწილე პირთა მიერ მომკვლევი პირის ან გამომძიებლის უკანონო მოქმედებათა გასაჩივრება ზედამხედველ პროკურორთან. პროკურორმა უნდა მიიღოს ზომები, რათა საჩივრის შესწავლის საფუძველზე სწრაფად დაადგინოს კანონის დარღვევის ფაქტი და აღკვეთოს იგი.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ი. ა. ლიახოვის მოსაზრებას, რომელიც თვლის, რომ ბრალდებულის საჩივრის გადაწყვეტის შედეგად პროკურორი ვალდებულია გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება, რომელიც უნდა გაეცნოს ბრალდებულს[6]. ჩვენ სრულიად საკმარისად მიგვაჩნია კანონის მოთხოვნა, რომელიც ავალებს პროკურორს საჩივრებისა და განცხადებების განხილვის შედეგი ყოველთვის აცნობოს მომჩივანს. მომჩივანისათვის მთავარი და აუცილებელია მიიღოს პროკურორის დასაბუთებული პასუხი თავის საჩივარზე და არა დადგენილება ამ საკითხზე. პროკურორის მიერ საჩივრებზე დადგენილების გამოტანის შემოღება გაართულებს საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის პროცესს, და რაც მთავარია, არ ქმნის დამატებით გარანტიას ბრალდებულის ან სხვა პირის უფლებების დაცვისათვის.

იმისათვის, რომ საპროკურორო ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებისადმი სწორად იყოს ორგანიზებული, იგი უნდა წარმოებდეს გარკვეული სისტემით, შეეხოს გამოძიების ყველა მნიშვნელოვან უბანს. კერძოდ, ზედამხედველობამ უნდა გაარკვიოს: 1) დანაშაულის შესახებ

---

6 Ляхов Ю. А., Обвиняемый на предварительном следствии в советском уголовном процессе, автореферат, Ростов-на-Дону, 1965, стр. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული განცხადებებისა და ცნობების შესწავლისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის კანონიერება; 2) ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირის წინასწარ პატიმრობის, საკანში მოთავსების კანონიერება; 3) სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ქვემდებარეობის საკითხი; 4) ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წაყენების კანონიერება; 5) აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების კანონიერება; 6) გამომძიებლის დავალების შესაბამისად მოკვლევის ორგანოს მიერ ოპერატიულ-სამძებრო და ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების კანონიერება; 7) დაცულია თუ არა მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და პატიმრობის ვადები 8) გამოვლინებულია თუ არა და აღკვეთილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და გარემოებები; 9) ჩაბმულია თუ არა დანაშაულის გამომჟღავნებაში და გამოძიების პროცესში საზოგადოებრიობა; 10) სისხლის სამართლის საქმის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონიერება; 11) ბრალდებულის გათავისუფლების, მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენების კანონიერება; 12) გამოძიების დამთავრებისა და ბრალდებულისათვის საქმის მასალების გაცნობის საკითხები.

ამ უბანზე ზედამხედველობის შემდგომ გაუმჯობესებას და მუშაობის გარდაქმნას ეხება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1965 წლის 30 დეკემბრის № 125 ბრძანება და 1966 წლის 30 ივლისის № 75 ბრძანება.

3. საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლო ორგანოებში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვის კანონზომიერებაზე. საპროკურორო ზედამხედველობის ეს დარგი სპეციფიკურია, აქვს თავისი დამოუკიდებელი საგანი, რაც გაპირობებულია სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის სხვაობითა და საქმეთა სასამართლოში წარმოების წესის თავისებურებით.

იურიდიულ ლიტერატურაში იგი ხშირად ცნობილია, როგორც ზედამხედველობა სასამართლოს ორგანოების განაჩენთა, გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობისადმი.[7] ასეთი განსაზღვრება ზღუდავს საპროკურორო ზედამხედველობის ფარგლებს, ვინაიდან იგი მიმართულია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი პროცესუალური დოკუმენტების (განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება, დადგენილება) კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესწავლისადმი. სინამდვილეში კი ეს ზედამხედველობა უფრო ფართო ცნებაა და იგი მიზნად ისახავს კანონის ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრას.[8]

საპროკურორო ზედამხედველობის არსის სწორად გაგებისათვის უნდა გაირკვეს საკითხი: ახორციელებს თუ არა პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ზედამხედველობას, როდესაც იგი მონაწილეობს სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვაში. პროფ. ი. დ. პერლოვი იმ შეხედულებისაა, რომ სასამართლო სხდომაზე მონაწილე პროკურორი არ ახორციელებს ზედამხედველობას, რადგან სასამართლო პროცესის ბატონ-პატრონი სასამართლოა,

---

[7] Правовые гарантии законности в СССР, изд. АН СССР, 1962, стр. 341; Тадевосян В. С., Прокуроский надзор в СССР, Госюриздат, 1956 г. стр. 196; В. Куликов, За упрочение социалистической законности, «Социалистическая законность», 1966, № 7, стр. 22.

[8] С. Г. Березовская, В. К. Звирбуль, С. Г. Новиков, М. Ю. Рагинский, Законодательство о прокурорском надзоре в СССР нуждается в дальнейшем развитии, «Советское государство и право», 1965, № 3, стр. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ემორჩილება თვით პროკურორი, ხოლო სასამართლო კი ემორჩილება მხოლოდ კანონს.[9]

მართალია მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან და სხდომას წარმართავს სასამართლოს თავმჯდომარე, მაგრამ ეს არ ზღუდავს პროკურორის საზედამხედველო უფლებას. სასამართლოს შემადგენლობა ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას საბჭოთა კანონები. როდესაც სასამართლო სხდომაზე ირღვევა კანონიერება, პროკურორი, როგორც უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელების ორგანოს წარმომადგენელი, მოვალეა სასამართლოზე გააკეთოს შესაბამისი განცხადება დარღვეული კანონის აღდგენის შესახებ. მაშასადამე, პროკურორი ერთის მხრივ სასამართლოში მონაწილეობს როგორც ბრალმდებელი და, მეორეს მხრივ ახორციელებს ზედამხედველობას სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვის კანონიერებაზე.

პროკურორის მონაწილეობა სასამართლო ორგანოებში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვის დროს ისე უნდა მოეწყოს, რომ მან ხელი შეუწყოს საქმის სრულ, ყოველმხრივ, ობიექტურ გამოკვლევასა და ჭეშმარიტების დადგენას, აგრეთვე კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების და დადგენილების გამოტანას.

ბრალდებულის სამართალში მიცემა ხდება მოსამართლის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე. კანონი არ ითვალისწინებს საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე განხილვამდე მოსამართლის მიერ დადგენილების გამოტანას, რომელშიც მოტივირებული იქნება გადაწყვეტილება საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე მოსმენის შესახებ. ეს ართულებს საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტურ განხორციელებას, რადგან პროკურორმა ხშირად განმწესრიგებელ სხდომის დაწყებამდე არ იცის მოტივები და საფუძველი, რის გამოც საქმე იხილება. ამ საკითხზე ლიტერატურაში გამოთქმულია სწორი მოსაზრება, რომლის თანახმადაც საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე მოსმენის შესახებ მოსამართლემ ყოველთვის უნდა გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება და ამ დადგენილების პირი გადაუგზავნოს პროკურორს იმ მიზნით, რომ იგი მომზადებული მოვიდეს განმწესრიგებელ სხდომაზე.[10]

სასურველია, რომ განმწესრიგებელ სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს იმ პროკურორმა, რომელმაც შემდეგ მხარი უნდა დაუჭიროს ბრალდებას საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაში მონაწილეობის შემდეგ პროკურორი თუ მივა დასკვნამდე, რომ სხდომის განჩინება საქმის შეწყვეტის ან დამატებითი გამოძიების ჩატარების შესახებ ეწინააღმდეგება კანონს ან დაუსაბუთებელია, მან უნდა გააპროტესტოს განჩინება კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

მ. ს. სტროგოვიჩი ამაზე გამოთქვამს უარყოფით მოსაზრებას და აღნიშ-

---

[9] Перлов И. Д., Судебное следствие в советском уголовном процессе, Госюриздат 1955, стр. 110—111.

[10]. А. Кобликов, Внесение уголовного дела на рассмотрение распорядительного заседания, «Советская юстиция», 1963, стр. 17—18; А. Гаврилов, Процессуальные вопросы прокурорского надзора за рассмотрением в судах уголовных дел по новому законодательству, «Вопросы криминалистики», 1962, № 5, стр. 57; И. М. Гальперин, В. З. Лукашевич, Предание суду, «Юридическая литература», 1965, стр. 122—123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავს: „განმწესრიგებელი სხდომის განჩინება საქმის დამატებითი გამოძიების წარმოების შესახებ, როგორც წესი, არ უნდა გააპროტესტოს პროკურორმა მიუხედავად იმისა, რომ მას ასეთი განჩინება მიაჩნია უსწოროდ“[11].

მ. მ. ვიდრია საერთოდ აყენებს წინადადებას, რომ პროკურორს წაერთვას უფლება განმწესრიგებელი სხდომის განჩინების გაპროტესტებისა.[12]

საკითხის ასეთი გადაწყვეტა უსწოროა, რადგან იგი უსაფუძვლოდ ზღუდავს პროკურატურის, როგორც ზედამხედველი ორგანოს როლს, ანიჭებს პროკურორს, მაშინ როდესაც იგი მოვალეა გააპროტესტოს სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგო განჩინება.

პრაქტიკაში უამრავია შემთხვევები, როდესაც ზემდგომი სასამართლო ორგანო აკმაყოფილებს პროკურორის პროტესტს განმწესრიგებელი სხდომის განჩინების შესახებ.

იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი: უფლებამოსილია თუ არა პროკურორი თავის საბრალდებო სიტყვაში განსაზღვროს სასჯელის ზომა. მაგალითად, ვ. გ. ლებედინსკი და ი. ა. კალიონოვი აღნიშნავენ, რომ სასჯელის ზომის განსაზღვრა შეადგენს სასამართლოს კომპეტენციას და ამიტომ პროკურორს არა აქვს უფლება მოითხოვოს სამართალში მიცემულის მიმართ სასჯელის გარკვეული ზომის შეფარდება, მას შეუძლია მხოლოდ თავისი მოსაზრება გამოთქვას სასჯელის სახის შესახებ.[13]

ეს მოსაზრება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნას და დაუსაბუთებელია. პროკურორი თავის საბრალდებო სიტყვაში ანალიზს უკეთებს ყველა იმ ფაქტს და გარემოებას, რომელიც გავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე. სწორედ ამიტომ პროკურორი ვალდებულია გამოთქვას თავისი მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურორის საბრალდებო სიტყვა სრული არ იქნება. საქართველოს სსრ სსსკ 248-ე მუხლში პირდაპირაა ნათქვამი, რომ პროკურორი გამოთქვამს თავის მოსაზრებას „სასჯელის ზომის გამოყენების შესახებ.“

პროკურორი მონაწილეობს რა სასამართლო ორგანოებში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვაში, იგი სარგებლობს პროცესის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება პროკურორსა და პროცესის სხვა მონაწილეთა შორის იმაშია, რომ პროცესის სხვა მონაწილეებს უ ფ ლ ე ბ ა აქვთ გაუკეთონ სასამართლოს შესაბამისი განცხადება კანონის დარღვევაზე, პროკურორი კი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ყოველთვის რეაგირება მოახდინოს კანონის დარღვევაზე.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ი. კორშუნოვის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც: თუ სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მხარის მიერ, არ არის საჭირო საკასაციო პროტესტის შეტანა, რადგან მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმე განიხილება პროკურორის მონაწილეობით, რომელიც განახორციელებს ზედამხედველობას[14].

---

[11] М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, М., 1958, стр. 384.

[12] М. М. Выдря, Определения суда, их обжалование и гарантии прав участников уголовного процесса, «Советская юстиция», 1964, № 8, стр. 11.

[13] В. Г. Лебединский, Ю. А. Каленов, Прокурорский надзор в СССР, Госюриздат, 1957, стр. 165.

[14] Ю. Коршунов, Совершенствовать прокурорский надзор по гражданским делам, «Социалистическая законность», 1962, № 9, стр. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროკურორო ზედამხედველობის მოქმედი დებულების შესაბამისად, პროკურორი ვალდებულია კანონის დარღვევის შემთხვევაში უშუალოდ გააპროტესტოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა გასაჩივრებულია თუ არა იგი პროცესის სხვა მონაწილის მიერ. თუ კი სასამართლოს გადაწყვეტილება უქმდება მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ არა პროკურორის პროტესტის საფუძველზე, არამედ საჩივრის შედეგად, ასეთი გარემოება მოწმობს საპროკურორო ზედამხედველობის სისუსტეზე. პროკურორი არ შეიძლება პასიური იყოს, მისი მოღვაწეობა ყოველთვის მიზნად უნდა ისახავდეს დარღვეული კანონიერების სწრაფად აღდგენას, ყველგან და ყოველთვის კანონიერების დაცვას. ის ფაქტი, რომ მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობს პროკურორი, არ ათავისუფლებს ქვემდგომ პროკურორს პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია.

სასამართლო ორგანოებში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვის კანონიერებაზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში პროკურორის ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს შემდეგ ძირითად საკითხებზე: 1) ბრალდებულის სამართალში მიცემის კანონიერებაზე; 2) პროკურორის მიერ სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საქმის აღძვრის დასაბუთებულობაზე; 3) სასამართლო ორგანოში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვის დროს კანონიერების დაცვაზე; 4) კანონსაწინააღმდეგო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების, დადგენილების გაპროტესტებაზე; 5) სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების მეორე ინსტანციის სასამართლოებში განხილვის კანონიერებაზე; 6) სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების ზედამხედველობის წესით განხილვის დროს კანონიერების დაცვაზე; 7) ადმინისტრაციული წესით საცხოვრებელი სადგომიდან მოქალაქეთა გამოსახლების კანონიერებაზე; 8) სასამართლოს განაჩენის (გადაწყვეტილების) აღსრულების კანონიერებაზე.

4) საპროკურორო ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვაზე. საპროკურორო ზედამხედველობის ამ დამოუკიდებელი დარგის ამოცანები და ფორმები განსაზღვრულია სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულების V თავში.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საპროკურორო ზედამხედველობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კანონების დაცვის უზრუნველყოფა. დებულების 32-ე მუხლის შესაბამისად პასუხისმგებლობა სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ეკისრება პროკურატურის ორგანოებს.

ზედამხედველობის განხორციელების პროცესში პროკურორის ძირითად მოვალეობას შეადგენს, რომ არ დაუშვას: მოქალაქის უკანონო მოთავსება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში; პატიმრებისათვის დადგენილი რეჟიმისა და პატრონობის წესის დარღვევა; პატიმრების უფლებების შეზღუდვა; კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი ხასიათის აქტების მოქმედება; თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაციის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. ყველა შემთხვევაში მან უნდა მოახდინოს რეაგირება კანონის დარღვევის ფაქტზე და დააყენოს საკითხი იმ ხელშემწყობი პირობების აღმოღხვრის შესახებ, რომლებმაც გამოიწვია კანონის დარღვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველმა პროკურორმა ყოველთვის საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს და განსაზღვროს, თუ რამდენად სწორად და დასაბუთებულად იჭდის მსჯავრდებული სასჯელს.

კანონიერების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში პროკურორის მოვალეობას შეადგენს ზედამხედველობის წესით გააპროტესტოს სასამართლოს განაჩენი.

1963-1964 წლებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა შრომა-გასწორებითი კოლონია-დასახლება. საქართველოში ასეთი კოლონია შეიქმნა 1964 წლის 28 იანვარის ბრძანებულების საფუძველზე. საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ამ კოლონიებში კანონიერებისა და მასში მსჯავრდებულების გადაყვანის წესების დაცვის საკითხი. პროკურორმა სისტემატურად უნდა შეისწავლოს, თუ რამდენად სწორად შეირჩევა პირები კოლონია-დასახლებაში გადასაყვანად; მოიხადეს თუ არა მათ კანონით დადგენილი სასჯელის ნაწილი; მყარად დაადგენენ თუ არა მსჯავრდებულები გამოსწორების გზას. აღნიშნული საკითხის სასამართლოში განხილვის დროს პროკურორმა თავის დასკვნაში კრიტიკულად უნდა შეაფასოს ყველა ის მოტივი, რომლის ძალითაც პირი წარდგენილია კოლონია-დასახლებაში გადასაყვანად.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ზედამხედველობის განხორციელების დროს პროკურორის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს ზედამხედველობა მსჯავრდებულების ვადამდე პირობით, ვადამდე განთავისუფლებაზე და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის კანონიერებაზე. პრაქტიკაში, რომ ადგილი არ ჰქონდეს ამ საკითხების გადაჭრის დროს კანონიერების დარღვევას, ზედამხედველმა პროკურორმა გულდასმით უნდა შეისწავლოს სამეთვალყურეო კომისიის და თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაციის წარდგინებები.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორმა უნდა დაადგინოს: შეიძლება თუ არა საერთოდ დაისვას საკითხი მსჯავრდებულის ვადამდე პირობით, ვადამდე განთავისუფლების ან უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდების შესახებ; მოიხადა თუ არა პირმა კანონით დადგენილი სასჯელის ნაწილი; რაში გამოიხატება მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევა და მისი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულება; მტკიცედ დაადგა თუ არა პატიმარი გამოსწორების გზას. ყველა ეს საკითხი პროკურორმა კრიტიკულად უნდა შეაფასოს აგრეთვე სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

პროკურორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 20 მარტის ბრძანებულების „გამოსწორების გზაზე დამდგარი მსჯავრდებულების თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებისა და სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე სამუშაოდ გაგზავნის შესახებ“ ზუსტად და განუხრელად გატარებას. ამ ბრძანებულების ცხოვრებაში გატარების კანონიერების საკითხებზე იმსჯელა სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიამ და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა.[15]

აღნიშნული ბრძანებულების განხორციელების დროს ზედამხედველმა

---

[15] Постановление Пленума Верховного Суда СССР № 4, от 25 марта 1964 г., № 14 от 14 октября 1964 г., № 3 от 9 апреля 1965 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურორმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს: რამდენად დასაბუთებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაციის წარდგინება, შეთანხმებული სამეთვალყურეო კომისიებთან; შეიძლება თუ არა საერთოდ დაისვას საკითხი კონკრეტული პირის სახალხო მეურნეობის საწარმოთა მშენებლობაზე გაგზავნის შესახებ; დაადგა თუ არა მსჯავრდებული გამოსწორების გზას; გათვალისწინებულია თუ არა პატიმრის პიროვნება და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საპროკურორო ზედამხედველობის კარგი ორგანიზაცია ბევრადაა დამოკიდებული ამ საქმეში საზოგადოებრიობის ფართო ჩაბმაზე. პროკურორმა მჭიდრო კონტაქტი უნდა დაამყაროს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ მუდმივმოქმედ სამეთვალყურეო კომისიებთან, საშეფო ორგანიზაციებთან, პროკურორის საზოგადოებრივ თანაშემწეებთან.

მიზანშეწონილია, რომ პროკურორი ესწრებოდეს სამეთვალყურეო კომისიის სხდომებს, როდესაც იხილება თავისუფლების აღკვეთის ადგილების შემოწმების შედეგები, მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლების საკითხები და სხვა.

11.023

პროკურორისა და სამეთვალყურეო კომისიის წევრების ერთობლივი მუშაობა არ გამორიცხავს პროკურორის უფლებას მიიღოს ზომები კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმებისათვის.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ დაცულ იქნას კანონიერება: 1) სხვადასხვა სახის შრომა-გასწორებით კოლონიებში; 2) არასრულწლოვანთა შრომით კოლონიებში; 3) საგამომძიებლო იზოლატორებში და საპყრობილეებში; 4) მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით, ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის დროს; 5) გაბაჩენის აღსრულება შრომა-გასწორებით სამუშაოთა ინსპექციებში;

საპროკურორო ზედამხედველობის შემდგომი გაძლიერება და გაუმჯობესება ბევრად შეუწყობს ხელს სსრ კავშირში სოციალისტური კანონიერების დარღვევის სრულ აღმოფხვრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ადმინისტრაციული წესით იძულებითი მკურნალობის შესახებ

ა. გაბიანი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება იწვევს პიროვნების სოციალურ და ფიზიკურ დეგრადაციას. ჩვევას — გამოიყენოს ეს ნივთიერებანი, ხშირად ისეთი ხასიათი აქვს, რომ ადამიანს უჭირს ან არ ძალუძს დამოუკიდებლად, სამედიცინო ჩარევის გარეშე მიანებოს მას თავი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობის საკითხებს.

იმის გამო, რომ ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ნებაყოფლობითი მკურნალობა წმინდა სამედიცინო ხასიათის ღონისძიებაა, ამ პრობლემას წერილში არ განვიხილავთ და შევეხებით მხოლოდ ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ადმინისტრაციული წესით იძულებითი მკურნალობის საკითხებს.

ჩვენს ქვეყანაში ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის საკითხი დღის წესრიგში დადგა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე წლებში. რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭომ 1926 წლის 11 სექტემბერს მიიღო სპეციალური დადგენილება ალკოჰოლიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელშიც სხვა პრობლემებთან ერთად დაყენებული იყო ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობის საკითხი. ამ დადგენილების შესაბამისად 1927 წლის 9 აპრილს გამოცემულ იქნა „ინსტრუქცია საზოგადოებრივად საშიში ალკოჰოლიკების მიმართ იძულებითი მკურნალობის გამოყენების შესახებ“.

ინსტრუქცია საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავდა იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართაც შეიძლებოდა იძულებითი მკურნალობის გამოყენება, ადგენდა იძულებითი მკურნალობის შეფარდებისა და განხორციელების წესს და ა. შ.

მიუხედავად რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, ამ პერიოდში ალკოჰოლიკების იძულებითმა მკურნალობამ ვერ მიიღო სათანადო გაქანება. რაც ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ არ არსებობდა საჭირო ბაზა ამგვარი მკურნალობის პრაქტიკული განხორციელებისათვის[1], აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, რომელთაც ინსტრუქციით ევალებოდათ ალკოჰილიკების იძულებითი მკურნალობის ორგანიზაცია მათი საქმიანობის სპეციფიკის გამო, არა ჰქონდათ იმის რეალური შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში მკურნალობისათვის მიეცათ ნამდვილად იძულებითი ხასიათი[2].

უკანასკნელ წლებში კვლავ დაისვა საკითხი იმ ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის აუცილებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ ნებაყოფლობით მკურნალობას. წარსული წლების გამოცდი-

---

[1] იხ. **А. М. Рапопорт**, К вопросу о так называемом принудительном лечении алкоголиков, Проблемы судебной психиатрии, Сборник IX, М., 1961, გვ. 391.

2. იხ. იქვე, გვ. 393.

ლების საფუძველზე მკურნალობის წარმატებით განხორციელების აუცილებელ პირობად მიჩნეულ იქნა ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მკაცრად იზოლირება და მათ მიმართ, გარდა სამედიცინო ღონისძიებებისა, იძულებითი შრომის გამოყენებაც[3].

ამ თვალსაზრისმა ასახვა ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 დეკემბრის ერთობლივ დადგენილებაში „ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და მაგარი სასმელების ვაჭრობაში წესრიგის დამყარების შესახებ“. ამ დადგენილებით სათანადო ორგანოებს დაევალა როგორც ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ნებაყოფლობითი მკურნალობის გაუმჯობესება. ისე მათი იძულებითი მკურნალობის ორგანიზაცია.

დღეისათვის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა ითვალისწინებს იძულებითი მკურნალობის გამოყენებას ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ ნებაყოფლობით მკურნალობას. ამავე დროს სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, შრომის დისციპლინას და ა. შ.

ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს იძულებითს მკურნალობას უფარდებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომები, მაშინ როდესაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ამ საკითხის გადაწყვეტა სახალხო სასამართლოების კომპეტენციას მიეკუთვნება.

ბრძანებულებები ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ საკმაოდ დეტალურად განსაზვრავენ იმ პირთა წრეს, რომელთაც შეიძლება შეეფარდოს იძულებითი მკურნალობა, ადგენენ იძულებითი მკურნალობის დანიშვნისა და შეწყვეტის, აგრეთვე სამკურნალო-შრომითს დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა შრომის ანაზღაურების წესს და ა. შ.

მაგალითად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ ადგენს, რომ იძულებითი მკურნალობა ენიშნება იმ ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს, რომლებიც „მკურნალობას თავს არიდებენ და, მიუხედავად მათ მიმართ მიღებული საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებისა, სისტემატურად ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ან ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს და ამ ნიადაგზე არღვევენ შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივ წესრიგს და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს“.

ამა თუ იმ პიროვნების მიმართ იძულებითი მკურნალობის გამოყენებისათვის აუცილებელია სამედიცინო და იურიდიული მაჩვენებლების არსებობა. იძულებითი მკურნალობის შეფარდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც კომპეტენტური სამედიცინო კომისია დაადგენს, რომ პიროვნება ავადმყოფურად არის მიჩვეული ალკოჰოლს ან რომელიმე სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებას. მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი. აუცილებელია დადგინდეს აგრეთვე, რომ პიროვნება თავს არიდებს ნებაყოფლობით მკურნალობას და სისტემატურად არღვევს შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს და სხვ.

შემდეგ, ბრძანებულების მე-4 მუხლში ნათქვამია, რომ მასალებს ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების სამკურნალო-

[3] იხ. **А. Б. Сахаров**, О личности преступника и причинах преступности в СССР, М., 1961, გვ. 248—249; **Г. А. Мендельсон, Ю. М. Ткачевский**, Алкоголизм и преступность, М., 1959, გვ. 122—123 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითს დაწესებულებებში მოთავსების შესახებ, იმის შემდეგ, რაც ამ მასალებს თან დაერთვის სათანადო სამედიცინო დასკვნა, „განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მშრომელთა კოლექტივების შუამდგომლობით ღია სასამართლო სხდომაზე, ამასთან გამოძახებულ უნდა იქნას ის პირი, რომლის მიმართაც აღძრულია შუამდგომლობა, ხოლო საჭირო შემთხვევაში სასამართლო სხდომას უნდა ესწრებოდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები“.

ამგვარად, საქართველოს სსრ-ში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში, ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს იძულებით მკურნალობას უფარდებენ სახალხო სასამართლობი და იგი ხორციელდება გარკვეული პროცესუალური ფორმით. იძულებითი მკურნალობის დანიშვნის ამ წესს მთელი რიგი უპირატესობა აქვს იმ წესთან, რომლითაც მკურნალობას ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომი, როგორც ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების, ისე სოციალისტური კანონიერების მაქსიმალური დაცვის თვალსაზრისით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ არ ადგენს იძულებითი მკურნალობის არც მინიმალურ და არც მაქსიმალურ საზღვარს[4]. სასამართლო იძულებითი მკურნალობის დანიშვნისას ვადას არ განსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა გაგრძელდეს პიროვნების განკურნებამდე.

ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შეწყვეტის უფლება აქვს სასამართლოს, რომელიც ამ საკითხს განიხილავს მას შემდეგ, რაც სამკურნალო-შრომითი დაწესებულება აღძრავს შუამდგომლობას ამა თუ იმ პირის მიმართ იძულებითი მკურნალობის შეწყვეტის შესახებ. იძულებითი მკურნალობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს სასამართლო — ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის დასკვნა პიროვნების გამოჯანსაღებისა და სამკურნალო—შრომითს დაწესებულებაში მისი შემდგომი ყოფნის მიზანშეუწონლობის შესახებ.

იძულებითი მკურნალობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს აგრეთვე სამკურნალო—შრომითს დაწესებულებაში მოთავსებული პირის დაავადება რაიმე ისეთი მძიმე ავადმყოფობით, რაც შეუძლებელს ხდის ამ დაწესებულებაში მის შემდგომ ყოფნას. მძიმე დაავადების გამო პიროვნების იძულებითი მკურნალობისაგან განთავისუფლების უფლება აგრეთვე სახალხო სასამართლოს ეკუთვნის. ჩვენი აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილებას ამგვარ საქმეებზე საფუძვლად უნდა დაედოს ავტორიტეტული საექიმო კომისიის დასკვნა პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

როგორც საქართველოს სსრ, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბრძანებულებები ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ ადგენენ, რომ იძულებითი მკურნალობა არ შეიძლება შეეფარდოს

---

[4] ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს იძულებითი მკურნალობის მინიმალურ და მაქსიმალურ ვადას. მაგალითად, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულება „გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) და ნარკომანების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ ადგენს, რომ იძულებითი მკურნალობა შეიძლება დაინიშნოს ვადით 6 თვიდან 2 წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქიკურად დაავადებულს, არასრულწლოვანს, პირველი ჯგუფის ინვალიდს, აგრეთვე მამაკაცს 60 წლისა და ქალს 55 წლის ასაკს ზევით.

კანონმდებლის პოზიცია ამ საკითხში, ჩვენი აზრით, უთუოდ სწორია, რადგან ზემოჩამოთვლილ პირთა ალკოჰოლიზმის ან ნარკომანისაგან იძულებითი მკურნალობა არ იქნებოდა შესატყვისი იმ ამოცანებისა, რომელთაც იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტი სახავს. იგი შეუსაბამო იქნებოდა აგრეთვე იმ მეთოდებისა, რომლითაც სარგებლობენ სამკურნალო — შრომითი დაწესებულებები იძულებითი მკურნალობის განხორციელების პროცესში, რადგან ამგვარი მკურნალობის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს იძულებითი ფიზიკური შრომა წარმოადგენს, რისთვისაც ზემოჩამოთვლილი კატეგორიების პირები გამოუსადეგარნი არიან. უფრო მეტიც, იძულებითი ფიზიკური შრომის გამოყენება სულით ავადმყოფების, პირველი ჯგუფის ინვალიდების, არასრულწლოვანების, 60 წელს გადაცილებული მამაკაცებისა და 55 წელს გადაცილებული ქალების მიმართ ეწინააღმდეგება სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ამ კატეგორიის პირების, განსაკუთრებით სულით ავადმყოფების, მოთავსებამ სამკურნალო — შრომითს დაწესებულებებში შეიძლება გარკვეული დეზორგანიზაცია შეიტანოს ამ დაწესებულებების მუშაობაში.

სასამართლოს დადგენილება ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ სისრულეში მოჰყავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს. თუ ის პირები, რომელთა მიმართაც აღძრული ა შუამდგომლობა იძულებითი მკურნალობის შეფარდების შესახებ, თავს არიდებენ სამედიცინო შემოწმებას ან სასამართლოში გამოცხადებას, ისინი იძულებით უნდა იქნან წარდგენილნი მილიციის ორგანოების მიერ. სამკურნალო — შრომითი დაწესებულებიდან ან სამკურნალო — შრომითს დაწესებულებაში წაყვანის დროს გზიდან გაქცევა დანაშაულად ითვლება და ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე).

როგორც ნათქვამიდან ჩანს, საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების ბრძანებულებები ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ ითვალისწინებენ საკმაოდ ქმედითს ღონისძიებებს იმისათვის, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ როგორც ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი გამოცხადება სამედიცინო შემოწმებაზე და სასამართლოში, ისე მათი იძულებითი ყოფნა სამკურნალო—შრომითს დაწესებულებებში მკურნალებისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

ბრძანებულებებში მოცემულია აგრეთვე მთელი რიგი ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცა არის სამკურნალო—შრომითს დაწესებულებებში მოთავსებულ პირთათვის ხელფასისა და პენსიის ანაზღაურება, მათ შენახვასთან დაკავშირებული თანხების დაფარვა, შრომითი მოწყობა განთავისუფლების შემდეგ და სხვ.

მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ ნათქვამია, რომ „სამკურნალო—შრომითს“ დაწესებულებაში ყოფნის დროს მუშაობა ჩაითვლება საერთო შრომითს სტაჟში, შვებულება ასეთ

პირებს ამ პერიოდისათვის არ მიეცემათ".

სამკურნალო — შრომითს დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა შრომა ანაზღაურდება საერთო საფუძველზე. ხელფასიდან და მისაღები პენსიიდან მათ უკავებენ თანხებს სამკურნალო — შრომითს დაწესებულებაში მათი შენახვის ხარჯების, კვების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სამკურნალო — შრომითს დაწესებულებაში შენახვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ნაწილობრივ დასაფარავად. დარჩენილი თანხა გადაერიცხება ოჯახს, ხოლო თუ ოჯახი არა ჰყავს, ჩაირიცხება პირის პირად ანგარიშზე.

სამკურნალო — შრომითი დაწესებულებიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობა, როგორც წესი, უნდა მოხდეს მათ წინანდელ სამუშაოზე და ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს.

სამკურნალო — შრომითს დაწესებულებებში მყოფ პირებს რჩებათ საცხოვრებელი ფართობის უფლება მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამგვარად, ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტი მიზნად ისახავს მხოლოდ მათს განკურნებასა და აღზრდა—გამოსწორებას, სოციალურად და ფიზიკურად დეგრადირებული ადამიანების ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნებას. ამით აიხსნება, რომ აღნიშნული ბრძანებულებები მკაცრად იცავენ სამკურნალო—შრომითს დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა შრომითს, საბინაო და სხვა უფლებებსა და ინტერესებს.

ყურადღების ღირსია საკითხი სამკურნალო — შრომითი დაწესებულებების შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში „ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა—გარდაქმნის შესახებ" ამ საკითხმა ვერ ჰპოვა სათანადო გადაწყვეტა. კანონმდებელმა მიუთითა მხოლოდ, რომ იძულებითი მკურნალობა უნდა განხორციელდეს სპეციალურად მოწყობილ სამკურნალო—შრომითს დაწესებულებებში.

სამკურნალო—შრომითს დაწესებულებებში აუცილებელია შეიქმნას ისეთი პირობები, რომელნიც უზრუნველყოფენ წმინდა სამედიცინო ხასიათის ღონისძიებათა სწორ შეხამებას მკაცრ იზოლაციას, დისციპლინას და იძულებით შრომასთან. ამ მოთხოვნებს ოდნავაც არ აკმაყოფილებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქ. ცხინვალში შექმნილი სამკურნალო—შრომითი დაწესებულება ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობისათვის. ამიტომ პირველი რიგის ამოცანად უნდა ჩაითვალოს ჩვენს რესპუბლიკაში თუნდაც ერთი ისეთი სამკურნალო—შრომითი დაწესებულების ჩამოყალიბება, რომელიც შესძლებს მასზე დაკისრებული ფუნქციების წარმატებით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავტომობილო გადაზიდვის სახეები

რ. ცინცაძე

პროდუქციის მიტანა წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიური პრობლემაა. მისი გადაჭრა შეუძლებელია ტრანსპორტის გარეშე. ტრანსპორტი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების აუცილებელი პირობაა. კ. მარქსი წერდა: — „ტრანსპორტი... გვევლინება წარმოების პროცესის გაგრძელებად მიმოქცევის პროცესის ფარგლებში და მიმოქცევის პროცესისათვის"[1]. პროდუქციის გადაზიდვისათვის აუცილებელი ხდება სხვადასხვა სახის ტრანსპორტის გამოყენება. გადაზიდვაში მონაწილე ტრანსპორტის სახეების მიხედვით შეიძლება საქმე ეხებოდეს სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო, საავტომობილო და საჭაპანო გადაზიდვას. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გვაქვს გადაზიდვის თავისებური, განსხვავებული სახე; ეს თავისებურება შემდეგი გარემოებებითაა გაპირობებული: ტვირთის გაგზავნისა და მიღების პუნქტების გეოგრაფიული მდებარეობა, ამ პუნქტებს შორის მანძილი, ტვირთის მოცულობა, წონა, სპეციფიურობა (ტვირთი შეიძლება იყოს მსხვრევადი, ადვილაალებადი და სხვ.), გადაზიდვის სიჩქარე, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მონაცემები.

დიდ ინტერესს იწვევს საავტომობილო გადაზიდვა, რომელსაც დადებითი და რიგ შემთხვევებში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს. ეს თავისებურებები გამოწვეულია ავტომობილთა მაღალი გამავლობით, მანევრირების დიდი უნარით, მოძრაობის მაღალი სიჩქარით და სხვ.

საავტომობილო ტვირთზიდვა შეიძლება დახასიათდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ასე მაგალითად: ორგანიზაციული ნიშნის მიხედვით განსხვავებენ საერთო სარგებლობის, საუწყებო და შიდასაწარმოო გადაზიდვას.

გადაზიდვის მოცულობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მასიური, წვრილპარტიული და კრებადი გადაზიდვა.

გადაზიდვის დარგობრივი ნიშანი შეიძლება საფუძველი გახდეს რათა გადაზიდვა დავყოთ საამშენებლო ტვირთის, სავაჭრო ქსელის ტვირთის, სატყეო მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტვირთის გადაზიდვად.

დასასრულ ტვირთზიდვა შეიძლება დავახასიათოდ **გადაზიდვაში მონაწილე სატრანსპორტო საწარმოების რიცხვისა და მასში ტრანსპორტის სხვა სახეების მონაწილეობის მიხედვით.** სამართლებრივი თვალსაზრისით ასეთი დაყოფა ყველაზე უფრო საინტერესოა. განასხვავებენ ადგილობრივ, პირდაპირ და პირდაპირშერეულ გადაზიდვას.

ადგილობრივი გადაზიდვა ეს ისეთი გადაზიდვაა, რომელიც ხორციელდება ერთი ოლქის, მხარის, ხოლო სადაც ასეთი დაყოფა არ არის, მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, 1957, გვ. 187.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაპირი ეწოდება გადაზიდვას, რომელიც წარმოებს ორი ან მეტი ოლქის, მხარის, მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება **პირდაპირ-შერეულ გადაზიდვას** ამ დროს ტვირთის გადაზიდვა ხდება როგორც საავტომობილო, ისე სხვა სახის ტრანსპორტით. პრაქტიკაში ვვხვდება სარკინიგზო-საავტომობილო და სარკინიგზო-წყლის-საავტომობილო გადაზიდვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირ და პირდაპირ-შერეულად ითვლება ტვირთის მხოლოდ ისეთი გადაზიდვა, რომელიც ერთი დოკუმენტით სრულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ხელშეკრულება.

აღნიშნულ კლასიფიკაციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სატრანსპორტო ურთიერთობის მომწესრიგებელი ბევრი ნორმა იმის მიხედვითაა აგებული, თუ რა სახის გადაზიდვას აწესრიგებს ის: — ადგილობრივს, პირდაპირს თუ პირდაპირ-შერეულს.

სახალხო მეურნეობის საჭიროებანი ხშირად მოითხოვენ ტვირთის დიდ მანძილზე გადაადგილებას იმ ობიექტებს შორის, რომლებიც სხვადასხვა სატრანსპორტო ორგანიზაციებს ეკუთვნიან. ასეთ გადაზიდვას განსაკუთრებული ადგილი უკავია ავტოტრანსპორტის მეშვეობით წარმოებული გადაზიდვის საერთო მასაში.

საავტომობილო ტრანსპორტზე ტერმინი „პირდაპირი საავტომობილო მიმოსვლა“ არ გამოიყენება. პრაქტიკაში მის მაგივრად დამკვიდრდა ტერმინი „საქალაქთაშორისო მიმოსვლა“. ამის შესაბამისად კი მივიღეთ „საქალაქთაშორისო გადაზიდვა“.

საქალაქთაშორისო გადაზიდვაში განსაკუთრებით გამომჟღავნდა ავტოტრანსპორტის ისეთი საექსპლუატაციო და ეკონომიური უპირატესობანი, როგორიცაა მოხერხებულობა, გადატვირთვის ოპერაციათა სიმცირე, გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი დანაკარგების სიმცირე და ა. შ.

საქალაქთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა ხასიათდება გადაზიდვის დიდი სიშორით, მოძრაობის დიდი სიჩქარითა და მდგრადი ტვირთდენით. ამის გამო ტვირთის საქალაქთაშორისო გადაზიდვაში, ფართო გამოყენება ჰპოვეს დიდი ტვირთამწეობის ავტომობილებმა და ავტომატარებლებმა.

ტვირთის მოკლე და საშუალო მანძილზე გადაზიდვასთან დაკავშირებით უკანასკნელ წლებში ჩატარდა დიდი კვლევითი მუშაობა კომპლექსური სატრანსპორტო პრობლემების ინსტიტუტში [2]. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა სარკინიგზო ტრანსპორტის განტვირთვის მიზნით ავტოტრანსპორტით 200 კმ-ის ფარგლებში შესრულებული გადაზიდვა. კვლევის შედეგად შემუშავდა ცხრილები, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ცხრილების საფუძველზე ოპტიმალური გადაზიდვა მერყეობს 1,5 — 150 კმ-ის ფარგლებში [3].

საავტომობილო ტვირთზიდვის ტიპიური ნიშნებია იმ დროისა და საექსპლოატაციო ხარჯების სიმცირე, რომლებიც გადაზიდვის საწყის და საბოლოო

---

[2] იხ. Сферы применения железнодорожного и автомобильного транспорта при перевозке грузов на короткие расстояния, Изд-во АН СССР, М., 1961.

[3] იხ. Г. А. Буачидзе, Координация автомобильного транспорта и железных дорог местного значения, Изд-во «Мецниереба», Тбилиси, 1964 г., стр. 238—239.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერაციებთანაა დაკავშირებული. მართალია, გადაადგილება შედარებით მა-ღალ დანახარჯებს თხოულობს, მაგრამ ამის მიუხედავად გადაზიდვა მოკლე და საშუალო მანძილზე მეტად ეკონომიურია.

ჩვენს ქვეყანაში მოკლე და საშუალო მანძილზე გადაზიდვის დროს ტექნი-კური და ეკონომიური თავისებურებების გათვალისწინებით ძირითადში სარკი-ნიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი გამოიყენება. მაგრამ აქაც კი, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გარკვეულ მანძილზე მიზანშეწონილია უპირატესობის მიკუთვნება საავტომობილო ტრანსპორტისათვის.

ამ მანძილზე გადაზიდვისას რკინიგზის ვაგონი გზაში რამოდენიმე საათს იმყოფება, ხოლო დანარჩენი დრო მიაქვს დატვირთვა-გადმოტვირთვასთან დაკა-ვშირებულ ოპერაციებს. გადაზიდვაზე საერთო ჯამში 3—4 დღე-ღამე იხარჯება. ტვირთის იმავე მანძილზე ავტოტრანსპორტით გადატანა კი სულ რამოდენიმე საათში ხორციელდება. სწორედ ამ უპირატესობითაა გამოწვეული ტვირთის სკმაოდ დიდი ნაწილის სარკინიგზო ტრანსპორტიდან საავტომობილოსათვის გა-დაცემა.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორ-ტის მიერ გადაზიდული ტვირთი ყველა სახის ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის მასაში შეადგენს:

1965 წელს 34,6%
1966 „ 36,2%
1970 „ 36,5% (გეგმა)

ტვირთბრუნვა კი

1965 წელს 6,5%
1966 „ 7,2%
1970 „ 8,8% (გეგმა)

ტვირთის გადაზიდვის ოპტიმალობაზე გავლენას ახდენს არა მარტო ტრან-სპორტის სახე, არამედ ტვირთბრუნვის მოცულობაც. როგორც მოსალოდნელი იყო, რაც უფრო მეტია ტვირთბრუნვა, მით უფრო ნაკლებია გადაზიდვის სრუ-ლი ღირებულება. ამასთანავე გადაზიდვის ღირებულება ტვირთზიდვის საშუ-ალო მანძილზეცაა დამოკიდებული.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

წლიური ტვირთბრუნვა მლ. ტკმ.	5	10	25	50	75	100	150	200	250
გადაზიდვის ოპტიმალური სიშორე კმ-ში	10	13	20	27	34	40	50	60	75

გადაზიდვის ოპტიმალური სიშორის ეს ფორმულა გამოყვანილი იყო მოძ-რაობის საშუალო სიჩქარისას 32 კმ/სთ. მაგრამ შემდგომმა ცდებმა ნათელყვეს, რომ სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობისას გადაზიდვის ოპტიმალური მანძილი არ იცვლება [4].

თანდათანობით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება საქალაქთაშორისო გადაზიდვაში ავტოტრანსპორტის ფართო გამოყენებისათვის. ამას ხელს უწ-ყობს ავტომანქანების წარმოების ზრდა, კეთილმოწყობილი გზების მშენებლო-

[4] იხ. Г. Н. Буачидзе, указанный труд, стр. 134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და რიგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება, როგორიცაა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის განვითარება, სპეციალიზირებული ავტომეურნეობების შექმნა და სხვ.

საქალაქთაშორისო გადაზიდვის ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხებია „გამჭოლი გადაზიდვის სისტემა", „ქანქარის სისტემა" და „წევის მხრების სისტემა".

„გამჭოლი გადაზიდვის სისტემით" წარმოებული გადაზიდვა ყველაზე უფრო ცნობილია, მისი არსი მდგომარეობს გაგზავნის პუნქტიდან მიღების პუნქტამდე ტვირთის მხოლოდ ერთი ავტოტრანსპორტით გადაზიდვაში.

ე. წ. „ქანქარის სისტემა" ჩვეულებრივ გზის მოკლე მონაკვეთზე გამოიყენება; ამ დროს ტვირთის ერთი პუნქტიდან მეორეში მიტანის შემდეგ, საწევარი არ უცდის ნახევრადმისაბმელის გადმოტვირთვას და მის სხვა ტვირთით დატვირთვას. გადაებმება წინასწარ მომზადებულ სხვა ნახევრადმისაბმელს და გააგრძელებს ტვირთის უკუ მიმართულებით გადაზიდვას.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება „წევის მხრების სისტემით" გადაზიდვა. ამ სისტემის გამოყენების დროს მარშრუტის მთელი ტრასა იყოფა უბნებად — წევის მხრებად. გადაზიდვა ხორციელდება საწევრებითა და ნახევრადმისაბმელებით. ტვირთის გაგზავნის პუნქტიდან მიღების პუნქტამდე გადაადგილება ხორციელდება თანამიმდევრობით რამდენიმე მძღოლისა და საწევარის მეშვეობით. ამასთან, გადაზიდვაში მონაწილე მძღოლთა რიცხვი წევის მხრების რიცხვის ტოლია.

ეს სისტემა უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვის უფრო მაღალ სიჩქარეს „გამჭოლი გადაზიდვის სისტემასთან" შედარებით და მძღოლთა შრომის კარგ ორგანიზაციას. მისი გამოყენებისას გადაზიდვის ღირებულება მოსკოვიდან 350 კმ ფარგლებში, დატვირთვა-გადმოტვირთვის ღირებულების ჩათვლით არ აღემატება ამავე მანძილზე რკინიგზით ტრანსპორტირების ღირებულებას [5].

უკანასკნელ დრომდე ავტომეურნეობები არ მონაწილეობდნენ პირდაპირ — შერეულ გადაზიდვებში. მხოლოდ 1958 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნდა პირდაპირ-შერეული სარკინიგზო-საავტომობილო მიმოსვლის დროებითი წესები, აგრეთვე პირდაპირ-შერეული წყლისა და საავტომობილო მიმოსვლის დროებითი წესები[6].

ასეთი სახის გადაზიდვაში ავტოტრანსპორტის მონაწილეობა შესაძლებელია გადაზიდვის ერთ ან რამდენიმე სტადიაში (დასაწყისში, შუაში ან ბოლოში).

პირდაპირ და პირდაპირ-შერეულ გადაზიდვას დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. ის ამარტივებს, აიაფებს და ბევრ შემთხვევაში აჩქარებს ტვირთის გადაზიდვას. ტვირთის პირდაპირ-შერეულ გადაზიდვაში ჩართული არიან საერთო სარგებლობის ავტოსადგურები, სააგენტოები და ავტომეურნეობები. მათ ნუსხას განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანო[7].

შეიძლება ითქვას, რომ ტვირთის პირდაპირი და პირდაპირ-შერეული გადაზიდვის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება ტვირთის გამგზავნსა და გადამ-

---

[5] იხ. газ. «Правда», 1959, 27 марта, № 86.

[6] იხ. Сборник правил перевозок и тарифов железнодорожного транспорта Союза ССР, 1962, № 81; сборник правил перевозок и тарифов Министерства автомобильного транспорта и шоссейных дорог РСФСР, 1959.

[7] იხ. Устав железных дорог союза ССР, с. 98, п. «г».

ზიდავს შორის, რომლითაც გადამზიდავი ღებულობს გამგზავნისაგან ტვირთს და კისრულობს მიიტანოს იგი დანიშნულების პუნქტში როგორც თავისი, ისე სატრანზიტო გადამზიდავებისა და დანიშნულების პუნქტის სატრანსპორტო საწარმოს სახელით. ამასთან ხელშეკრულების დამდები გამოდის როგორც ხელშეკრულების მონაწილე და როგორც სხვა გადამზიდავების ლეგალური წარმომადგენელი.

როგორც წესი, პირდაპირი და პირდაპირ-შერეული გადაზიდვა გეგმის შესაბამისად ხორციელდება, თუმცა სატრანსპორტო სამინისტროებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია გეგმის ზევით გადაზიდვაც.

ავტოტრანსპორტით წარმოებულ გადაზიდვაში წამყვანი ადგილი უკავია ტვირთის ცენტრალიზებულ გადაზიდვას. მაგალითად, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტმა 1967 წელს გადაზიდა 73 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი. ამასთან, ტვირთბრუნვა შეადგენდა ერთ მილიარდ ტონა — კილომეტრზე მეტს. ტვირთზიდვის საერთო მოცულობიდან ცენტრალიზებულმა გადაზიდვამ შეადგინა 73 პროცენტი[8]. ავტოტრანსპორტის ცენტრალიზებულ საწყისებზე ექსპლოატაციის გარეშე შეუძლებელია ავტოპარკის მაქსიმალურად სრული გამოყენება, ავტომეურნეობისა და კლიენტურის შეთანხმებული მუშაობა, მოვალეობათა სწორი განაწილება გადამზიდავს, ტვირთის გამგზავნსა და ტვირთის მიმღებს შორის. ამავე სისტემასთანაა დაკავშირებული ავტოტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ყველაზე ფართო სპეციალიზაციაც. მისი ზოგადი და მარტივი დახასიათებისათვის შეიძლება ითქვას, რომ მყიდველს კი არ გამოაქვს პროდუქცია მიმწოდებლის საწყობიდან, არამედ მიმწოდებელი უზრუნველყოფს პროდუქციის დროულ მიტანას მყიდველამდე. ამ მიზნით მიმწოდებელს მიემაგრება ერთი ავტოსატრანსპორტო ორგანიზაცია ეს გამორიცხავს იმის საჭიროებას, რომ მყიდველებმა იქონიონ თავისი ავტოსატრანსპორტო საშუალებანი.

სწორედ ცენტრალიზებული გადაზიდვის სისტემით სარგებლობის დროს შეიქმნა მისაბმელების, ნახევრადმისაბმელებისა და დიდი ტვირთამწეობის ავტომობილთა გამოყენების პირობები. დაიწყო ცემენტის გადაზიდვა სპეციალური ცემენტმზიდებით, ლითონისა — სპეციალურად მომარჯვებული ავტონანქანებით, ფართო მოხმარების საგნებისა — ფურგონებით, მალფუჭებადი პროდუქტებისა — რეფრეჟერატორებით და ა. შ.

ეს სისტემა საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული მოძრავი შემადგენლობის გადარბენა. უკან წამოსვლისას ავტომანქანები ან ტარით იტვირთებიან, ან ხელახლა მიდიან ტვირთის მისაღებად მახლობელ პუნქტში და ყველაფერი ეს ეკონომიური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით კეთდება.

დეცენტრალიზებული გადაზიდვის დროს კლიენტი ავტომანქანას ხშირად თავისი შეხედულებისამებრ იყენებს, ტვირთს თან კლიენტის აგენტი ახლავს. ეს კი, რიგ შემთხვევებში, საშუალებას აძლევს გადამზიდავს პასუხი არ აგოს ტვირთის დაზიანებისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაა ცენტრალიზებული გადაზიდვის დროს. ავტომეუ-

---

8 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1968, 28 იანვარი. „სსრ კავშირის 1967 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნეობა თითონ ახდენს გადაზიდვის ორგანიზაციას — ღებულობს ტვირთის გამგზავნისაგან ტვირთს და გადზიდვის დამთავრების შემდეგ აბარებს მას ტვირთის მიმღებს. ამ დროს მასვე ეკისრება გზაში ტვირთის დაცვაც. გადაზიდვის რაციონალიზაცია თხოულობს სატრანსპორტო დანახარჯების მაქსიმალურად შემცირებას. ამის გამო ცენტრალიზებული გადაზიდვის სისტემაზე გადასვლა იწვევს მცველებისა და განსაკუთრებით, მტვირთავების რიცხვის შემცირებას, ამასთან საჭირო აღარ არის მიმღების აგენტების თანხლება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცენტრალიზებული გადაზიდვის ხელშეკრულებით ავტოსატრანსპორტო ორგანიზაცია კისრულობს ამა თუ იმ გამგზავნის ყველა ტვირთის გადაზიდვას მოცემული მიმართულებით; გამგზავნი კი კისრულობს ყველა თავისი გადაზიდვა ამ სატრანსპორტო ორგანიზაციას შეასრულებინოს.

ტვირთის მიტანა დანიშნულების პუნქტში რიგ შემთხვევებში ე. წ. „რგოლისებური გადაზიდვითაც“ ხორციელდება. ამ სახის გადაზიდვის დროს ავტოტრანსპორტი წინასწარ დადგენილი და ყველაზე ეკონომიური მარშრუტით მოძრაობს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამგზავნის, გადამზიდავისა და ტვირთის მიმღების მიერ „რგოლისებური გადაზიდვის“ გრაფიკის დაცვას. ეინაიდან მხოლოდ გრაფიკის და ყველა სხვა პირობების დაცვის შედეგად მიიღება ის დიდი ეკონომიური ეფექტი, რომელიც ცენტრალიზებულ გადაზიდვას ახასიათებს.

საქალაქთაშორისო ცენტრალიზებული გადაზიდვა განიხილება, როგორც ავტოტრანსპორტის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულება[9].

ასეთი კურსი გაპირობებულია რიგი მიზეზებით. მათ შორის უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მოკლე მანძილზე გადაზიდვის დროს რკინიგზის ტრანსპორტიდან საავტომობილოზე გადატანის ეკონომიური მიზანშეწონილობა[10].

დასასრულს, საქალაქთაშორისო ავტოგადაზიდვების განვითარება ხელს შეუწყობს მოქმედების სფეროების დანაწილებას საავტომობილო და სხვა სახის, უპირველეს ყოვლისა სარკინიგზო ტრანსპორტს შორის; ამით განხორციელდება მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანა — სატრანსპორტო კავშირების რაციონალიზაცია.

---

9 იხ. Междугородные перевозки грузов автомобильным транспортом. Труды Московского инженерно-экономического института им. С. Орджоникидзе, вып. XX, под общей редакцией Л. А. Александрова — Автотранспортные перевозки грузов и пассажиров автомобильным транспортом общего пользования, с. 3—51; В. А. Язев, А. И. Малышев, И. Б. Островский, А. С. Шустов, Междугородные регулярные автомобильные перевозки грузов, Автотрансиздат, 1959, с. 5—8; О. Смирнов, К новым формам организации междугородных перевозок грузов, «Автомобильный транспорт», 1962, № 6, с. 2.

10 იხ. Б. Б. Бещев, Речь на XXIII съезде КПСС, «Известия» 6 апреля 1966 г.; Я. И. Ливянт, Ю. Н. Тихончук, М. Д Эрлих, Координация работы автомобильного и железнодорожного транспорта. Автотрансиздат, 1963. с. 39; Об эффективности и улучшении организации междугородных перевозок грузов. «Автомобильный транспорт», 1965, № 12, с. 14—15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიული პრინციპების სრულყოფა ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში

ბ. ბაბრიაძე

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ ხანს განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების და ადგილობრივი საბჭოების უფლებათა გაფართოებისათვის, საბჭოების მუშაობაში ისეთ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრისათვის, როგორიც იყო სესიების მოწვევის არარეგულარობა, ფორმალიზმი, მიღებულ გადაწყვეტილებათა არაკონკრეტულობა და სუსტი კონტროლი მათი შესრულებისადმი. ყოველივე ამან გაამდიდრა საბჭოთა დემოკრატიის ფორმები, გააქტიურა საბჭოების საქმიანობა ყველა რგოლში. ამჟამად უფრო ხშირად ეწყობა საბჭოების, აღმასკომების და მუდმივი კომისიების გამსვლელი სესიები და სხდომები. აღმასკომები, მათი განყოფილებები და სამმართველოები, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები სისტემატურად აბარებენ მოსახლეობას ანგარიშს. აღმასკომების ხელმძღვანელები და დეპუტატები მოსახლეობას უშუალოდ იღებენ საცხოვრებელ ადგილზე, საწარმოებში და ა. შ. ამით საბჭოები უფრო დაუახლოვდა მასებს, გაძლიერდა ხალხთან მათი კავშირი, ამომრჩეველთა ახალი ათასები ჩაებნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ყოველმხრივ მუშაობაში, სახელმწიფოს მართვაში.

რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესება, კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის შემდგომი ამაღლება განაპირობა სესიების მნიშვნელობის ამაღლებამ. სესიები საბჭოს დეპუტატების საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ფორმაა, საბჭოს უმაღლესი ორგანოა, დეპუტატის ტრიბუნაა. სესიების მუშაობაში მონაწილეობით დეპუტატები, მათი მეშვეობით კი ამომრჩევლები, ერთობლივად წყვეტენ სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საბჭოების მუშაობის სასესიო წესი საშუალებას აძლევს მშრომელებს თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით წარმართონ და კონტროლი გაუწიონ ყველა სახელმწიფო ორგანიზაციისა და დაწესებულების საქმიანობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXIII ყრილობისადმი ნათქვამია, რომ „საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესება უნდა ხორციელდებოდეს მათი შემდგომი დემოკრატიზაციის საფუძველზე. კიდევ უფრო ავამაღლოთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიების მნიშვნელობა, მეტი დამოუკიდებლობა მივანიჭოთ ადგილობრივ საბჭოებს სამეურნეო, საფინანსო, მიწის საკითხების გადაჭრაში, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების ხელმძღვანელობაში, აგრეთვე გავააქტიუროთ მუდმივი კომისიების მუშაობა, უზრუნველვყოთ დეპუტატთა რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე“[1].

---

[1] სკკპ XXIII ყრილობის მასალები თბილისი, 1966, ვვ. 93—94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობდნენ რა ამ მითითებებით რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააძლიერეს ყურადღება ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობისადმი. საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობისა და მათი პარტიული ჯგუფების გააქტიურების საკითხები სისტემატურად იხილება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ", პარტიულ კომიტეტებს და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაავალა მუდმივად აამაღლონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონე, სრულყონ საბჭოების მუშაობის სტილი და მეთოდები, მიაღწიონ მასებთან მათი კავშირის შემდგომ განმტკიცებას, გააქტიურონ სესიებისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში; სესიებისა და აღმასკომების განსახილველად გაიტანონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის გაუმჯობესების საკითხები, სისტემატურად მოისმინონ მმართველობის ორგანოების და საწარმოების ანგარიშები, მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, რათა საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ცხოვრება მუდმივ იმყოფებოდეს ყველა საბჭოთა ორგანოს ყურადღების ცენტრში.

პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ადგილობრივმა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა ორგანოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს სესიების მაღალ დონეზე მომზადებისა და ჩატარებისათვის. ამჟამად რესპუბლიკაში სესიები ტარდება უფრო რეგულარულად, ძალზე იშვიათად გვხვდება მისი მოწვევის ვადების დარღვევის შემთხვევები, გაუმჯობესდა აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების ორგანიზატორული საქმიანობა სესიების მომზადებისათვის. უკანასკნელ წლებში, აღმასრულებელი კომიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა იცავს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადებს, წლიდან წლამდე მცირდება იმ საბჭოების რიცხვი, სადაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი სესიების მოწვევის ვადების დარღვევებს. 1959 წელს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების 1082 საბჭოდან სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადები დაარღვია 167 საბჭომ[2], ხოლო 1967 წელს — მხოლოდ 14-მა საბჭომ[3]. ამჟამად რესპუბლიკაში თითქმის აღარ არის საბჭოების სესიების კანონით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევები.

დიდი ყურადღება ექცევა სესიების მომზადებას. იგი მზადდება არა მარტო საბჭოების აღმასკომების აპარატის ძალებით, არამედ დეპუტატების, მუდმივი კომისიების და საბჭოების აქტივის დახმარებით. ეს საშუალებას იძლევა უფრო გულდასმით მომზადდეს თითოეული სესია და ჩატარდეს იგი მაღალ ორგანიზაციულ და საქმიან დონეზე.

სესიების დღის წესრიგი უფრო ზუსტი, კონკრეტული, პრაქტიკული გახდა, გაფართოვდა იმ საკითხების წრე, რომლებიც გამოაქვთ სესიებზე განსახილველად და უკვე მარტო ამ გარემოებამ გააქტიურა მუდმივი კომისიების

---

[2] „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები" № 2/100;, 1960 წ, გვ. 3.

[3] იქვე, № 1 (324), 1968 წ. გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა, როგორც წესი, ყველაფერი, რაც განხილული უნდა იქნეს საბჭოს სესიაზე, წინასწარ ტარდება მუდმივ კომისიებში. დეპუტატები წინდაწინ ადგენენ ამა თუ იმ საგანზე დასაბუთებულ აზრს[4].

განხილული საკითხების დიდი უმრავლესობა მუდმივი კომისიების მიერ არის მომზადებული. ახლო წარსულისაგან განსხვავებით ახლა მომხსენებლებად სესიებზე ხშირად გამოდიან მუდმივი კომისების თავმჯდომარეები და არა აღმასკომების საშტატო მუშაკები. ყოველივე ეს განაპირობებს სესიების ქმედითობას, მიღებულ გადაწყვეტილებათა კონკრეტულობას და მათი განხორციელების რეალურობას.

ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების მე-10 მოწვევის რაიონული საბჭოს პარტიულმა ჯგუფმა თავის სხდომაზე მე-6 სესიის წინ მიზანშეწონილად მიიჩნია რაისაბჭოს მორიგ სესიას განეხილა საკითხი — „რაიონის კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წესდების, სოციალისტური კანონიერებისა და შინაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ“. ამ საკითხის მომზადება ჯგუფის წინადადებით დაევალა რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობს მევენახეობისა და მეხილეობის ინსტიტუტის საქარის საცდელი სადგურის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი. საკითხის შესწავლას შეუდგნენ სასოფლო საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტები, პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკები. შემოწმებამ გამოავლინა მიწათსარგებლობის წესების, სოციალისტური კანონიერებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ფაქტები. რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ მიღებული მასალების საფუძველზე შეიმუშავა შინაარსიანი მოხსენება და გადაწყვეტილების პროექტი. სესია უაღრესად საქმიანად და მაღალ დონეზე ჩატარდა. განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ამ დარგში ნაკლოვანებათა აღმოფხვრას[5].

ჭიათურის საქალაქო საბჭოს მე-4 სესიამ 1967 წლის სექტემბერში მოისმინა საგზაო მშენებლობისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუდმივი კომისიის მიერ მომზადებული საკითხი „საავტომობილო გზების მშენებლობის, მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ამ საკითხის შესწავლაში მონაწილეობა მიიღო 170-ზე მეტმა დეპუტატმა და აქტივისტმა. შემოტანილი იქნა ბევრი საყურადღებო წინადადება. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე მუდმივმა კომისიამ ინჟინერის დეპუტატ მ. ლაბაძის ხელმძღვანელობით დააწესა მტკიცე კონტროლი. კომისიის ინიციატივით რამდენჯერმე მოეწყო მასობრივი გასვლა გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის, წარმოება-დაწესებულებებმა უზრუნველყვეს საგზაო სამუშაოებში სავალდებულო მონაწილეობის გეგმების პირნათლად შესრულება.

მუდმივი კომისიები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ სადაბო და სასოფლო საბჭოებში, რომელთაც საშტატო მუშაკების მცირე რაოდენობა ჰყავთ. წულუკიძის რაიონის ივანდიდის სასოფლო საბჭოს სესიამ 1965 წლის 23 ივ-

---

[4] **Г. Джавахишвили.** Время Новое — стиль новый, «Известия», 4 июля 1967 г. № 155.

[5] ცნობები საბჭოების მუშაობის შესახებ მოყვანილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების მიმდინარე არქივებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისს განიხილა საკითხი — „სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც მოამზადა და განსახილველად შეიტანა სახალხო განათლების, კულტსაგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივმა კომისიამ. სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. შესრულების შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

უკანასკნელ პერიოდში საბჭოების დიდი უმრავლესობა თითონ განსაზღვრავს მომავალი სესიის დღის წესრიგის საკითხებს. დეპუტატები სესიის მუშაობის ბოლოს საბჭოების პარტიული ჯგუფების ინიციატივით თათბირობენ და შეთანხმდებიან იმ საკითხზე, რომლებიც განხილულ უნდა იქნას მორიგ სესიაზე. საბჭოების სესიების დღის წესრიგის განსაზღვრის ასეთი პრაქტიკა დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა იმისათვის, რომ საბჭოების აღმასკომები, მუდმივი კომისიები და დეპუტატები უფრო ღრმად და საფუძვლიანად ამზადებდნენ სესიებს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოების მუშაობაში საჯაროობის პრინციპების განვითარებას. ვ. ი. ლენინი არაერთგზის მიუთითებდა, რომ საბჭოები „ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა“[6]. გამომდინარეობს რა ამ ლენინური დებულებიდან, პარტიის ახალი პროგრამა სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების სრულყოფისა და განუხრელად დაცვის ერთ-ერთ ძირითად პირობად მიიჩნევს საბჭოების სესიებზე სახელმწიფო მმართველობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხის საჯაროდ, თავისუფალ და ყოველმხრივ განხილვას[7]. საჯაროობა ხელს უწყობს არა მარტო საკითხების ღრმად და ყოველმხრივ განხილვას, არამედ განამტკიცებს ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოების კავშირს მასებთან, საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ძმართველობის ჩვევები. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1957 წლის 22 იანვრის დადგენილებაში — „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მასებთან მათი კავშირის გაძლიერების შესახებ“ — მოითხვა, რომ ბოლო მოეღოს ისეთ არანორმალურ მოვლენებს, როცა მოსახლეობამ არსებითად არ იცის რა საკითხები განიხილება და როგორი გადაწყვეტილებები მიიღება ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების მიერ. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოთ საბჭოების მუშაობის საჯაროობა, ფართოდ გავაშუქოთ მათი საქმიანობა ადგილობრივ პრესაში და რადიოთი, ვაცნობოთ მოსახლეობას მიღებულ გადაწყვეტილებებზე[8].

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა საქალაქო საბჭოს მორიგ სესიას განეხილა საზოგადოებრივი კვების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი. საკითხის მომზადებაში

---

6 ვ. ი. ლენინი, თხზ, ტ. 31, გვ. 426.

7 სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 492.

8 Справочник партийного работника, 1957, стр. 452.

9 იხ. გაზეთები „თბილისი“ და „ვეჩერნი ტფილისი“ 1967 წლის ივნისი, №№ 135, 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაებნენ საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატები, შესაბამისი მუდმივი კომისიები. გაზეთები „თბილისი“ და „ვეჩერნი ტბილისი“ მთელი თვე აქვეყნებდნენ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებას დეპუტატთა ჯგუფებისადმი, საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და ქალაქის ყველა მცხოვრებლისადმი, რათა მათ გამოეგზავნათ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები ქალაქში საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების შესახებ[9].

ამავე გაზეთებმა დაიწყო მშრომელთა წერილებისა და შენიშვნების გამოქვეყნება რუბრიკით: „თბილისის საქალაქო საბჭო განიხილავს საზოგადოებრივი კვების პრობლემებს“. მუდმივმა კომისიებმა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შემოწმებაში ჩააბეს დეპუტატები და აქტივისტები, მოეწყო დეპუტატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან საარჩევნო ოლქებში. პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით ჩატარდა მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებები. ქალაქის საბჭოს აღმასკომში შემოვიდა ბევრი საქმიანი წინადადება, მიმართული საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის მუშაობისა და მომხმარებელთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. საქალაქო საბჭოს სესია უაღრესად საქმიანი და პრინციპული კრიტიკის ნიშნით ჩატარდა[10]. მიღებული გადაწყვეტილებებით დაინერგა ბევრი სიახლე, პროგრესული ფორმები და მეთოდები საზოგადოებრივ კვებაში, გაუმჯობესდა კვების საწარმოთა მუშაობა და ქსელის დისლოკაცია, ამაღლდა ვაჭრობის კულტურა.

მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი, რაიონული გაზეთისა და ადგილობრივი რადიოს საშუალებით ერთი თვით ადრე მოსახლეობას აცნობს საბჭოს მორიგი სესიის მოწვევის თარიღს და დღის წესრიგს. აღმასკომში დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მეშვეობით მშრომელებს შემოაქვთ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებსაც ითვალისწინებენ გადაწყვეტილებების პროექტებში.

მასებთან საბჭოების კავშირის განმტკიცების, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ხელმძღვანელობაში მშრომელების ფართოდ ჩაბმის ინტერესებმა მოითხოვეს პრაქტიკაში ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ისეთი ახალი ფორმის შემოღება, როგორიცაა საბჭოების გამსვლელი სესიები. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გამსვლელი სესიები საუკეთესო ფორმაა განსაკუთრებით იმ დროს, როცა საბჭოები იხილავენ კონკრეტულ საწარმოო საკითხებს. მშობელთა ფართო აქტივმა მიიღო საქმიანი მონაწილეობა, მაგალითად, საჩხერის რაიონის ჩიხის სასოფლო საბჭოს გამსვლელი სესიის მუშაობაში, რომელიც ჩიხის რვაწლიან სკოლაში ჩატარდა. ეს ფორმა არა მარტო აფართოებს საჯაროობას საბჭოების მუშაობაში და ზრდის მშრომელთა ინტერესსა და აქტივობას, არამედ მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ასეთ სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებანი ყოველთვის განუხრელად ხორციელდება.

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ წარმოიშვა საბჭოების მუშაობაში ფართო მასების ჩაბმის კიდევ ერთი ახალი ფორმა. ეს სიახლე ის არის, რომ სესიების მომზადებაში, ჩატარებასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ სახალხო კონტროლის ორგანოები. ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებებში ნათქვამია: „საბჭო-

[9] იხ. გაზეთები „თბილისი“ და „ვეჩერნი ტბილისი“, 1967 წლის ივნისი, №№ 135, 139, 143.
[10] გაზეთი „თბილისი“, 4 ივლისი, 1967 წ. № 155.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების საქმიანობის წარმატებას დიდად განსაზღვრავს ხალხის ფართო მასების ჩაბმა მათს მუშაობაში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო კონტროლის ორგანოებს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველდღიურად წარმართავდნენ მათს მუშაობას, ყოველნაირად ეხმარებოდნენ და მხარს უჭერდნენ მათ"[11].

სახალხო კონტროლის მახარაძის რაიონულმა კომიტეტმა ყრილობის ამ მითითებათა განხორციელებისათვის საჭიროდ ჩათვალა სახალხო კონტროლის ჯგუფებს გულმოდგინედ შეემოწმებინათ და სადაბო, სასოფლო საბჭოების სესიებზე განსახილველად შეეტანათ საკითხი „მშრომელთა შრომის პირობებისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". 1967 წლის აპრილ-მაისში საკითხი შეისწავლა სასოფლო და სადაბო საბჭოების 415 დეპუტატმა, სახალხო კონტროლიორმა და აქტივისტმა. რაიონის 26 სადაბო და სასოფლო საბჭოს სესიებზე მოხსენებებით გამოვიდნენ სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები. სესიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რაიონული საბჭოს დეპუტატებმა, სახალხო კონტროლის კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს წარმომადგენლებმა, სოფლისა და მუშათა კოოპერატივების თავმჯდომარეებმა. სესიებზე მთელი პრინციპულობით გააკრიტიკეს საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მომსახურეობაში არსებული ნაკლოვანებები, დარღვევები, ილაპარაკეს გამოუყენებელი საშუალებების შესახებ.

სესიებზე სახალხო კონტროლის ჯგუფების მიერ საკითხის შეტანა ორგანიზაციული მუშაობის კარგი ფორმა აღმოჩნდა და თვალსაჩინო შედეგი მოჰყვა. მიღებულ გადაწყვეტილებებს რაიონის ყველა ორგანიზაცია საქმიანად გამოეხმაურა. სახალხო კონტროლის ჯგუფებმა შეამოწმეს სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების დონე, გაუმჯობესდა შრომის პირობები.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოიწონა მახარაძელთა ინიციატივა და განაზოგადა იგი რესპუბლიკის მასშტაბით, ხოლო საქართველოს ტელევიზიამ გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით მოაწყო სახალხო კონტროლის მახარაძის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის აკ. მჟავანაძის გამოსვლა.

ბევრი საბჭო გამოდის შესანიშნავი წამოწყებების ინიციატორად, მოწოდებებით მიმართავს მოსახლეობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ პრაქტიკულ საკითხზე. მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭო გამოეხმაურა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობისა და სოფლის კეთილმოწყობის ხუთწლიანი გეგმების მიღების თაობაზე ფორის, ზუგდიდისა და თელავის რაიონული საბჭოების წამოწყებას. შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის მშრომელთა თაოსნობამ — გადაექციათ თავისი სოფელი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ადგილად. ამ წამოწყებებიდან ერთი წლის მანძილზე სოფელ სვირში, ჟრეთ-

11 სკკპ XXIII ყრილობის მასალები, თბილისი, 1966 წ. გვ. 94.

ვე რაიონის მთელ რიგ სოფელებში არ გამოვლინებულა დანაშაულებრივი ქმედობის არც ერთი ფაქტი [12].

არსებითი ცვლილებები მოხდა საბჭოების სესიების რეგლამენტშიც. მოხსენებების შინაარსის გამდიდრებამ, მათში საკითხების მწვავედ დაყენებამ, გადმოცემის ფორმების გაუმჯობესებამ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლამ განაპირობა განსახილველი საკითხის საქმიანი ხასიათი.

საბჭოების სესიების მუშაობის გამოცოცხლების, განსახილველი საკითხების საქმიანი დონის ამაღლებისა და შაბლონურობის თავიდან ასაცილებლად ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი და პარტიული ჯგუფი ეძებს სესიების ჩატარების ახალ ორგანიზაციულ ფორმებს. ზოგიერთი აღმასკომი პრაქტიკაში იყენებს ისეთ ფორმას, როგორიც არის საბჭოს ზოგიერთი სესიის ჩატარება მომხსენებლის გარეშე. ასე ჩატარდა, მაგალითად, აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის დრანდას მე-9 მოწვევის სასოფლო საბჭოს მე-9 სესია, რომელმაც განიხილა საკითხი ფულადი სახსრების შემოსავლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ. სესიას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი კ. ნ. ბეჭვაია, პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი გ. ნ. ადამია) საქმის ფაქტიური მდგომარეობის ღრმა ანალიზის შემდეგ გადასწყვიტა მოეწვია გაფართოებული სესია აღნიშნული საკითხის განსახილველად, ამასთან დეპუტატთა აქტივობის ამაღლების მიზნით სესიაზე არ გაეთვალისწინებინათ მომხსენებელი. შედგენილი იქნა განსახილველ საკითხზე მოხსენების თეზისები და სესიის გადაწყვეტილების პროექტი. ეს დოკუმენტები გადამრავლდა და დაურიგდა სასოფლო საბჭოს დეპუტატებს. სესიის დღის წესრიგისა და მისი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ წინასწარ შეატყობინეს მოსახლეობას. შემოვიდა ბევრი წინადადება, რომლებიც გათვალისწინებული იქნა გადაწყვეტილების პროექტში. სესიას 75 დეპუტატიდან დაესწრო 72, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს და რაიონული საბჭოს დეპუტატები, სოფლის აქტივი, სულ 87 კაცი. კამათში ჩაწერილი იყო 27 კაცი, სიტყვით გამოვიდა 14. სესიამ მიიღო უაღრესად საქმიანი და კონკრეტული გადაწყვეტილება. ამის შედეგად წარმატებით შესრულდა ფულადი სახსრების შემოსავლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები.

ქალაქ თბილისის პირველი მაისის მე-10 მოწვევის რაიონული საბჭოს მე-8 სესიამ 1966 წლის 7 ივნისს განხილა საკითხი—„რაიონში სანიტარული მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". მომხსენებელი დოკუმენტურმა კინოფილმმა შესცვალა. რაიონული საბჭოს კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საბინაო მეურნეობის მუდმივმა კომისიებმა ფართო აქტივის მონაწილეობით ყოველმხრივ შეამოწმეს რაიონის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ამასთან გადაიღეს ნაკლოვანებათა მამხილებელი კინოკადრები. შემოწმების მასალების საფუძველზე შედგენილი იქნა უაღრესად კრიტიკული მოხსენება და სესიის გადაწყვეტილების პროექტი. პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ინიციატივით გადაწყდა მოხსენების მიხედვით შეექმნათ კინოფილმი და დაემუშავებინათ დიქტორის ტექ-

---

12 გაზეთი „ლენინელი" — საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო, 9 აპრილი, 1968 წელი, № 43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტი „ვინ არის დამნაშავე?“, რომელიც ეჩვენებინათ სესიის მონაწილეებისათვის მოხსენების მაგივრად. ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაწყვეტილი. დეპუტატებმა და სესიაზე მოწვეულმა 200-მდე ამხანაგმა უდიდესი ინტერესით ნახა შესანიშნავად გაკეთებული დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ულმობლად იყო გაკრიტიკებული ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და კონკრეტული დამნაშავეები.

ფილმის დემონსტრირების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა, აქედან 8 დეპუტატმა. ყველა მათგანი ერთსულოვნად მიესალმა ამ ინიციატივას და გამოთქვა აზრი, რომ ეს არის ორიგინალური, დამაჯერებელი ღონისძიება, რომელიც კარგ შედეგს გამოიღებდა. ნაყოფმაც არ დააყოვნა. სესიის მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილების განხორციელებაში ყველა მშრომელი აქტიურად ჩაება. რაიონი გამარჯვებული გამოვიდა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების საქალაქო ერთთვიურში.

სესიების მუშაობის ასეთი ფორმები, რა თქმა უნდა, „მოდად“, არ უნდა იქცეს, ეს საჭირო არ არის.

საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების ნათელ მაგალითს წარმოადგენს საბჭოების საკონტროლო ფუნქციების მნიშვნელოვანი გაზრდა. დიდი მნიშვნელობა აქვს აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების რეგულარულ ანგარიშგებას სესიების წინაშე. ახლა საბჭოების სესიები სისტემატურად ისმენენ მუდმივი კომისიების ანგარიშებს. მარტო 1966 წელს შესაბამისი საბჭოს სესიას ანგარიში ჩააბარა საბჭოების აღმასკომების 98,9 პროცენტმა, ხოლო ადგილობრივი საბჭოების 6 209 მუდმივი კომისიიდან — 4 397 კომისიამ, ანუ 71 პროცენტმა.

ადგილობრივი საბჭოების სასესიო მუშაობის ფორმების შემდგომი სრულყოფის მაჩვენებელია ის, რომ დეპუტატები უფრო აქტიურად იყენებენ შეკითხვის უფლებას აღმასრულებელი ორგანოებისადმი და სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი. შეკითხვა წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც მოითხოვს ამა თუ იმ თანამდებობის პირის მოკლე ანგარიშს. ამიტომ შეკითხვები გახდა არა მარტო დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმა, არამედ კულტურულ და სამეურნეო მშენებლობისადმი საბჭოების კონტროლის ქმედითი ფორმაც, საწარმოთა, დაწესებულებების და მათი ხელმძღვანელების საქმიანობის გაუმჯობესების საშუალება.

დეპუტატთა შეკითხვების ფართოდ დანერგვის მიზნით საინტერესო თაოსნობა გამოიჩინეს მახარაძის რაიონში. მეათე მოწვევის რაიონული საბჭოს მეთორმეტე სესიაზე 1966 წელს 2 დეკემბერს მოისმინეს რაისაბჭოს აღმასკომის მდივნის მოხსენება „რაიონული საბჭოს დეპუტატების შეკითხვებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ“. სესიაზე გადაწყვეტილება სასარგებლო მსჯელობა იმის შესახებ, თუ საბჭო და მისი აღმასკომი როგორ პასუხობდნენ დეპუტატთა შეკითხვებს, როგორ იქცევიან ისინი, როცა შეკითხვა მოითხოვს პრაქტიკულ გადაწყვეტას.

სამწუხაროდ, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პოლტავის ოლქის საბჭოების მუშაობის შესახებ, ყველა საბჭო როდი იყენებს დეპუტატთა შეკითხვებს, როგორც აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების საქმიანობაზე საბჭოს კონტროლისა და ადგილობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო და სოციალ-კულტურული დაწესებულებების საქმიანობაზე საბჭოს გავლენის გაძლიერების უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

საბჭოს სესიის გადაწყვეტილება დეპუტატთა კოლექტიური აზრის გამოცდილების შედეგია. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიღებულია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები თავის საქმიანობაში მთავარ ყურადღებას აქცევენ მისი შესრულების ორგანიზაციას, განუხრელად ხელმძღვანელობენ უმნიშვნელოვანესი ლენინური მოთხოვნით იმის შესახებ, რომ ორგანიზატორულ მუშაობაში მთავარია ადამიანების შემოწმება, საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება. პოლტავის ოლქის ადგილობრივი საბჭოების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია იმის აუცილებლობაზე, რომ გაძლიერდეს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლი: სისტემატურად მივაწოდოთ ინფორმაცია დეპუტატებს მიღებულ გადაწყვეტილებათა, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ, მოქალაქეთა წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ[13].

ამომრჩეველთა განაწესებისა და წინა სესიის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ სესიებზე ინფორმაციის სისტემატური მოსმენა არის სწორედ ის ახალი, რაც დამახასიათებელი გახდა რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების მუშაობისათვის უკანასკნელი წლების მანძილზე.

მაგრამ დიდი წარმატებანი, გასაგებია, ვერ ფარავენ იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში. რესპუბლიკის ყველა ადგილობრივი საბჭო როდი იცავს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადებს, ფართოდ არ აბამს მოსახლეობას სესიების მომზადებასა და ჩატარებაში, არასაკმაოდ ზრუნავს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციისათვის. ზოგიერთი საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება მათ წინაშე დაყენებულ მოთხოვნებს. ისინი ღრმად არ სწავლობენ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, გვერდს უვლიან სოციალისტური კანონიერების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და შინაკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტებს, საკმაო ინიციატივას არ იჩენენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და იმ წარმოება-დაწესებულებათა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში, რომლებიც მოწოდებული არიან მოემსახურონ მოსახლეობას.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მნიშვნელოვნად აამაღლებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების ავტორიტეტსა და პასუხისმგებლობას, მათ როლს ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

---

[13] Справочник партийного работника, выпуск шестой. 1966, стр. 396.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნისა და მისი დანართი მუხლების საკითხისათვის*

ზ. რატიანი

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი უმნიშვნელოვანესი იურიდიული ძეგლია, რომელშიც დიდი სიცხადით ასახულია XIII-XIV საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების რეალური სურათი. ამით აიხსნება ის ინტერესი, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები და იურისტები ამ ძეგლის მიმართ იჩენენ. ძეგლის შესასწავლად დიდი და სერიოზული მუშაობაა გაწეული. ამ მხრივ საკმარისია აღვნიშნოთ ნ. ურბნელის, ივ. ჯავახიშვილის, ი. დოლიძისა და ა. კიკვიძის გამოკვლევები,[1] რომლებშიც საფუძვლიანად არის შესწავლილი ბექა-აღბუღას სამართალი და მრავალი სადავო საკითხი მეცნიერულადაა გადაწყვეტილი.

მიუხედავად ამისა, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის შესწავლა დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, რადგან ამ ძეგლთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს იწვევს.

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ისტორიული, ისე იურიდიული თვალსაზრისით და რომელიც შემდგომ, გაღრმავებულ შესწავლას საჭიროებს, — ესაა ბექა-აღბუქას სამართლის წიგნის ე. წ. „დანართი მუხლების" რაობისა და მნიშვნელობის გარკვევა.

ჩვენამდე მოღწეულია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის პრინციპულად განსხვავებული ორი ნუსხა, რომლებსაც პირობითად აღნიშნავენ ასოებით A და B. ზემოთ მოხსენებული „დანართი მუხლები" ახლავს მარტო ერთ მათგანს, სახელდობრ ე. წ. ვახტანგისეულ ნუსხას (B), რომლის გადაწერის თარიღად XVIII საუკუნის დამდეგია მიჩნეული. მეორე ნუსხას კი, რომელიც ფეიქრიშვილისეულადაა ცნობილი (A) და რომელიც 1672 წელსაა გადაწერილი, „დანართი მუხლები" არ ახლავს.

რას წარმოადგენენ ეს „დანართი მუხლები", რომლებიც ვახტანგისეულ ნუსხას ახლავს?.

საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართალი შედგება 98 მუხლისაგან (აქედან ბექას ეკუთვნის 65, აღბუღას — 33 მუხლი). ამ სამართალს ვახტანგისეულ ნუსხაში ახლავს 72 ე. წ. „დანართი მუხლი", რომელთაგან 62 მუხლი (99-160), უკანასკნელი გამოკვლევებით, მიჩნეულია ბაგრატ კურაპალატის სამართლად, ხოლო 10 მუხლი (161-170) — კანონიკური სამართლის ფრაგმენტად.[2] ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ეს 72 მუხლი[3] თითქოს შეცდომით ერთვის ბექა-აღბუღას სამართალს და, მაშასადამე, არ წარმოადგენს ბექა-აღბუღას სახელით ცნობილი ძეგლის ნაწილს. ამის გამო მათი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის იმ პერიოდის შესასწავლად, რომელსაც საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართალი შეეხება, არსებითად გამიორიცხულია.

საკითხის ყოველმხრივ და გულდასმით შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებული თვალსაზრისი, თითქოს ზემოთ ხსენებული 72 მუხლი შეცდომით იყოს დართული ბექა-აღბუღას სამართალს, სწორი არ არის. ასევე მცდარია აზრი, თითქოს დანართი მუხლების ძირითადი ნაწილი (99-160) მარტო ბაგრატ კურაპალატის სამართალს წარმოადგენდეს.

ქვემოთ შევეცდებით დავანახოთ მკითხველს,

---

* იბეჭდება განხილვის წესით.

1 ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, თბ., 1890; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1, თბ., 1928; ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953; ა. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში (თსუ შრომები, XXXVII, 1949).

2 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 76.

3 ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ დანართი მუხლების უკანასკნელ (171-175) მუხლებს, რომლებიც, როგორც ეს ი. დოლიძემ ეჭვმიუტანლად დაამტკიცა წარმოადგენენ 73, 64, 72 და 84 მუხლების განმეორებას (ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-78).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბექა-აღბუღას სამართლისათვის 72 მუხლის დართვა მოხდა არა შემთხვევით ან შეცდომით, არამედ იგი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის კანონმდებელთა სრულიად შეგნებული და კანონზომიერი მოქმედების შედეგს. ჩვენ დავინახავთ აგრეთვე, რომ ბაგრატ კურაპალატის შემდეგ მისი სახელით ცნობილ სამართალს გარკვეული რედაქცია განუცდია და ეს რედაქცია სახელოვან მეფესა და დიდ რეფორმატორს დავით აღმაშენებელს შეუსრულებია.

დავიწყოთ საკითხის მოკლე ისტორიით.

1. დანართი მუხლების წარმოშობა-რაობაზე ამჟამად გავრცელებული შეხედულებანი. ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მუშაობის ხასიათი.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში დანართი მუხლების არსებობა პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაადასტურა. მანვე გამოთქვა მოსაზრება, თითქოს ეს მუხლები „შემთხვევითა და შეცდომით" იყოს დართული ბექა-აღბუღას სამართალზე. „ქართული სამართლის ისტორიის" პირველ წიგნში, რომელიც 1928 წელს დაიბეჭდა, იგი წერდა: „1907 წ. ბექასი და აღბუღას სამართლის წიგნის შესწავლამ დამარწმუნა, რომ ...ძეგლში მარტო ბექასი და აღბუღას საკანონმდებლო შემოქმედება კი არაა დაცული, არამედ სხვა-დროინდელიც... ფეიქრიშვილისეულმა ხელნაწერმა ამ დაკვირვების სისწორე დაამტკიცა... ცხადია, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი თავდაპირველად მართლაც 98-ით მრავლდებოდა და დანარჩენი შემდეგში შემთხვევითა და შეცდომით არის ამ ძეგლთან დაკავშირებული".[4]

მაგრამ რას წარმოადგენს ეს „სხვადროინდელი" კანონმდებლობა, რომელიც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნზე თითქოს „შემთხვევით და შეცდომით" არის დაკავშირებული?

ივ. ჯავახიშვილმა იმავე ნაშრომში მიუთითა, რომ ამ „სხვადრინდელი" კანონმდებლობის ზოგიერთი მუხლი, სახელდობრ 100-103, მეფე ბაგრატ III კურაპალატს ეკუთვნისო, ხოლო დანარჩენი მუხლების რაობის გამორკვევა მეცნიერმა შემდგომი კვლევა-ძიების ამოცანად გამოაცხადა.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ქართველმა მკვლევარებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს დანართი მუხლების შესასწავლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. ი. დოლიძის გამოკვლევა, რამაც ნათელი გახადა დანართი მუხლების პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი ბუნდოვანი საკითხები. კერძოდ დამტკიცდა, რომ დანართი მუხლები, გარდა ბაგრატ კურაპალატის (ი. დოლიძის მიხედვით, ბაგრატ IV) კანონმდებლობისა, შეიცავს აგრეთვე კანონიკური სამართლის ფრაგმენტს (მუხლები 161-170). რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის მუხლების დართვა ბექა-აღბუღას სამართალზე, ამაზე ი. დოლიძე შემდეგ პასუხს იძლევა:

„ბექასა და აღბუღას სამართალი თავდაპირველად სწორედ 98 მუხლისაგან შედგებოდა და სხვა მუხლები შემდეგში შეცდომითა და შემთხვევით მიუმატეს ამ საკანონმდებლო ძეგლს... ის კანონები, რომლებიც ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს 98 მუხლის შემდეგ დაუმატეს, უნდა მიეწეროს ვახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიას, რომელმაც შეკრიბა იმდროისათვის შემონახული საკანონმდებლო ძეგლები".[5]

როგორც ვხედავთ ,ავტორი არსებითად ივ. ჯავახიშვილის აზრს იმეორებს, ოღონდ თავის მხრივ დასძენს, ბექა-აღბუღას სამართალზე სხვადროინდელი კანონმდებლობის მუხლების შეცდომით დართვა ვახტანგ მეფის სწავლულ კაცთა კომისიას მიეწერებაო.

რა საბუთებს ემყარება ამგვარი დასკვნა? სამწუხაროდ, ამის შესახებ ი. დოლიძე არაფერს ამბობს.

დანართი მუხლების პრობლემას, ი. დოლიძის გარდა, სხვა ქართველი მკვლევარებიც ეხებიან, მაგრამ მათ შეხედულებათა განხილვას აღარ გამოუდგებით, რადგან ისინიც, არსებითად, ივ. ჯავახიშვილის აზრს იმეორებენ და ჩვენთვის საინტერესო პრობლემას ახალს არაფერს მატებენ.[6]

ერთად-ერთი ავტორი, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული, ესაა ფრანგი მეცნიერი ჟ. კარსტი. კარსტის შეხედულება მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:[7] ბაგრატის კოდექსი X-XI საუკუნეებში შედგენილი, მეორე რედაქციით გამოცემულ იქნა დავით აღმაშენებლის მიერ. ძველი კოდექსი გადასინჯული და შევსებული იყო სომხური, ბიზანტიური და კანონიკური სამართლის ელემენტებით.

---

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1, 1928, გვ. 107.

5 ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

6 იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1, თბ., 1952, გვ. 70-77.

7 ვსარგებლობთ პროფ. ალ. ვაჩეიშვილის თარგმანით (იხ. მისი „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან", თბ., 1946, გვ. 6-7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითის კოდექსი ხელახლა იქნა გადამუშავებული და შევსებული შემდგომ საუკუნეებში საეპისკოპოზო-საეკლესიო სამართლის ზეგავლენით და მოთავსებული თავისი ახლანდელი მოცულობით აღბუღას კოდექსში, თუ ამ მთავრის სიცოცხლეში არა, ყოველ შემთხვევაში ცოტა ხნის შემდეგ მაინც, ჯერ კიდევ XV საუკუნეში. ბაგრატ-დავითის კოდექსის ტენდენცია, მისი დანიშნულება გარკვევით არის ასახული მის თანმიმდევრობით განვითარებაში: შედგენილ იქნა სისხლის სამართლის კოდექსი შერეული იურისდიქციის დარგში, რომელიც განაწილებული იყო საერო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. ეს გარემოება სავსებით გასაგებს ხდის ამ კანონმდებლობაში კანონიკური სამართლის ძლიერი ელემენტების არსებობას.

როგორც ვხედავთ, კარსტი სულ სხვაგვარად უდგება დანართი მუხლების წარმოშობისა და რაობის საკითხს. მისი შეხედულებით ეს მუხლები ბექა-აღბუღას სამართლისათვის დაურთავთ არა რაიმე შემთხვევის, ან შეცდომის შედეგად, არამედ შეგნებულად და კანონზომიერად.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ კარსტს თავისი თვალსაზრისი დასაბუთებული არა აქვს, რის გამოც მისი განმარტება, როგორც ამას პროფ. ალ. ვაჩეიშვილი სამართლიანად შენიშნავს, „რასაკვირველია, ჰიპოთეზას წარმოადგენს“.[8] გარდა ამისა, კარსტს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის შესახებ გამოთქმული აქვს მრავალი დაუსაბუთებელი და სრულიად არასწორი აზრი. ამის გამო ჩვენ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია მისი შემცდარი შეხედულებების ის კრიტიკა, რომელიც ალ. ვაჩეიშვილისა და ი. დოლიძის ნაშრომებშია წარმოდგენილი[9]. მაგრამ, ამასთან ერთად, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კარსტის მიერ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გამოთქმული ჰიპოთეზა სრულიადაც არ არის საფუძველს მოკლებული, და თავის არსებით ნაწილში დასტურდება ისტორიული მასალების ობიექტური ანალიზის შედეგად.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ერთის მხრივ დანართი მუხლების წარმოშობა-რაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისის უსაფუძვლობა, ხოლო, მეორეს მხრივ, კარსტის მიერ გამოთქმული ჰიპოთეზის ყურადღებით შესწავლისა და დასაბუთების აუცილებლობა, საკმარისია, გავითვალისწინოთ ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მუშაობის ხასიათი და პასუხი გავცეთ კითხვას: შეეძლო თუ არა ზემოხსენებულ კომისიას ბექა-აღბუღას სამართლის წიგნისათვის შეცდომით და შემთხვევით დაერთო სხვა ეპოქის კანონმდებლობის მუხლები?

შეუძლებელია, ვახტანგ მეფის სწავლულ კაცთა კომისიას, რომელმაც უდიდესი საკოდიფიკაციო სამუშაო უნაკლოდ და მაღალკვალიფიციურად ჩაატარა, ბექა-აღბუღას სამართლისათვის სხვა ეპოქის კანონთა მუხლები შეცდომით და შემთხვევით დაერთო. ასეთი უხეში შეცდომის დაშვება გამორიცხულია, როგორც ვახტანგის კომისიის მუშაობის ხასიათით, ისე იმ ფაქტით, რომ ხსენებულ კომისიას და თვით ვახტანგ მეფეს ხელთ ჰქონიათ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ორივე ნუსხა, — როგორც დანართებიანი (B), ისე უდანართო (A), და უპირატესობა მიუნიჭებიათ სწორედ დანართებიანი ნუსხისათვის, რომელიც ფართოდ გამოუყენებიათ კიდევაც ახალი კანონმდებლობის შედგენის დროს.

შევეხოთ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით.

უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიას მიზნად არ ჰქონია სხვადასხვა კანონთა ერთმანეთში შერევა ან ერთმანეთზე გადაბმა-დაკავშირება. მართალია, კომისიამ და თვით ვახტანგ მეფემ თავიანთი ახალი კანონმდებლობა შეიმუშავეს უკვე მანამდე არსებული კანონების (საკანონმდებლო ძეგლების) საფუძველზე, მაგრამ თვით იმ ძეგლთა ტექსტისათვის ,რომლებითაც მათ ისარგებლეს, როგორც ცნობილია ხელიც არ უხლიათ. ამით აიხსნება, რომ ვახტანგის კრებულში ცალ-ცალკე და სრულიად ხელუხლებლად ე. ი. ყოველგვარი შესწორების გარეშე არის შეტანილი ისეთი სამართლებლივი ძეგლები, როგორიცაა: სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული, სამართალი სომხური, სამართალი კათალიკოზთა და სამართალი მეფის გიორგისა. ამათ გვერდით იმავე კრებულში შეტანილია სამართალი ბექასი და აღბუღასი. აქედან ცხადია, რომ თვით მიზანდასახულობა და ხასიათი ვახტანგის კომისიის მუშაობისა გამორიცხავს სხვადასხვა კანონების ერთმანეთში აღრევის შესაძლებლობას. მართლაც თუ კი ხსენებულმა ავტორიტეტიანმა კომისიამ არა მარტო შეკრიბა და ყურადღებით შეისწავლა ყველა მანამდე არსებული საკანონმდებლო ძეგლი, არამედ მათი შინაარსი თავისი ეპოქის საზოგადოებრივ ვითარებასაც შეუწონა და, ამრიგად, სრულიად ახალი კანონმდებლობა შეიმუშავა; თუ კი, ამასთან, ამ კომისიამ ერთმანეთში არ აურია არცერთი წინანდელი ძეგლი, — რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, თითქოს კომისიამ მაინცდამაინც

[8] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, 1, თბ., 1946. გვ. 7.

[9] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 63-71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიმართ გამოიჩინა საოცარი წინდაუხედაობა და შეცდომით დაურთო მას 72 მუხლი სულ სხვა ეპოქის საკანონმდებლო ძეგლისა?

ცხადია, ამგვარი ეჭვისათვის რაიმე რეალური საფუძველი არ არსებობს.

მაგრამ დავუშვათ, რომ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ვახტანგის კომისიამ მართლაც დაუშვა შეცდომა და ბექა-აღბუღას სამართალს გადააბა სულ სხვა ეპოქის კანონმდებლობა, რომელსაც ამ ძეგლთან არაფერი საერთო არა აქვს. მაშინ ისმება შემდეგი სრულიად კანონიერი კითხვა: როგორ მოხდა, რომ ბექა-აღბუღას სამართალთან თითქოსდა შემთხვევით მიკერებული მუხლები, მექანიკურად კი არ არის მასზე გადაბმული, არამედ იმგვარადაა შერწყმული, რომ სპეციალისტებსაც კი უჭირთ ბექა-აღბუღას სამართლისაგან მათი გამოცალკევება? როგორ მოხდა, რომ ივ. ჯავახიშვილამდე მეცნიერებმა, მათ შორის ისეთმა გამოჩენილმა მკვლევარებმა, როგორიც დ. ბაქრაძე და ნ. ურბნელი იყვნენ, დანართი მუხლების თვით არსებობაც კი ვერ შენიშნეს და ეს მუხლები ბექა-აღბუღას სამართლის ორგანულ ნაწილად მიიჩნიეს? როგორ მოხდა, რომ თვით ივ. ჯავახიშვილმაც ვერ შესძლო ბოლომდე ამოეცნო დანართი მუხლების რაობა და ამ ამოცანის გადაჭრა მომავალ თაობას უანდერძა? ასეთი რამ, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა დანართი მუხლები, რომ „შემთხვევით და შეცდომით" ყოფილიყო მიკერებული ბექა-აღბუღას სამართლის წიგნზე.

კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვახტანგ მეფეს და მის სწავლულ კაცებს, — როგორც ამას მიუთითებს ი. დოლიძე [10],— ხელთ ჰქონიათ არა მარტო ბექა-აღბუღას სამართლის ის ნუსხა (B), რომელიც ვახტანგის კრებულშია შესული და რომელსაც დანართები ახლავს, არამედ 1672 წელს გადაწერილი, ე. წ. ფეიქრიშვილისეული ნუსხაც (A), რომელსაც დანართები არა აქვს და მარტო 98 მუხლისაგან შედგება. მაშასადამე, ვახტანგს და მის სწავლულებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი თვალით დაენახათ, რომ საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართალი 98 მუხლისაგან შედგებოდა. და თუ მათ მაინც უპირატესობა დანართებიან ნუსხას მიანიჭეს და ხწორედ ის შეიტანეს თავიანთ კრებულში, ცხადია, მათ საამისოდ ანგარიშგასაწევი საბუთი და საფუძველი ჰქონდათ.

ასევე საყურადღებო და დიდმნიშვნელოვან საბუთად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ვახტანგს და მის სწავლულ კაცებს, რომლებიც თავიანთი ახალი კანონის შედგენისას უხვად სარგებლობდნენ ძველი ქართული კანონებით, განსაკუთრებით კი ბექა-აღბუღას სამართლით, გამოყენებული აქვთ არა მარტო საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართალი, არამედ მისი დანართი მუხლებიც, კერძოდ 102-ე მუხლი, რომლის შინაარსი ვახტანგის სამართალში შესულია 25-ე მუხლის სახით [11]. მაშასადამე, რაკი სწავლულმა კაცებმა მათთვის საჭირო მუხლები ერთნაირად ამოკრიფეს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიდანაც და მისი დანართიდანაც, ცხადია, ეს დანართი მათ ბექა-აღბუღას სამართლის ნაწილად მიაჩნდათ. ასე რომ არ ყოფილიყო, ისინი ან სულ არ გამოიყენებდნენ ამ დანართ მუხლებს, ან კიდევ ცალკე, დამოუკიდებელ სამართლად მიიჩნევდნენ და მისი შესაფერი სახელით და დამოუკიდებელი ძეგლის სახით შეიტანდნენ ვახტანგის კრებულში.

დაბოლოს, ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ საინტერესო ფაქტს, რომ არცერთი დანართი მუხლი არ იმეორებს საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართლის მუხლებს, და, მაშასადამე ეს დანართები ზედმეტი კი არ არის, არამედ ავსებენ და სრულყოფენ ბექა-აღბუღას სამართალს.

ამრიგად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ არც ვახტანგ VI და არც მის მიერ შეკრებილ სწავლულ კაცებს არავითარი მუხლები არ დაურთავთ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნისათვის. ხსენებული მუხლები ამ ძეგლს მანამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა დართული და თანაც არა შემთხვევით, არამედ შეგნებულად და გარკვეული მიზნით.

2. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ორი ნუსხა. მათი წარმოშობის პიროობები და დანიშნულება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებული თვალსაზრისით ბექა-აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ორი ნუსხიდან უძველესად და, მაშასადამე, უფრო სანდოდ ითვლება ე. წ. ფეიქრიშვილისეული ნუსხა (A), რომელიც გადაწერილია 1672 წელს და შეიცავს მხოლოდ 98 მუხლს. რაც შეეხება ვახტანგის კრებულში წარმოდგენილ ნუსხას (B), რომელსაც დანართი მუხლები ახლავს და ე. თაყაიშვილი XVIII საუკუნის დამდეგს გადაწერილად თვლის , იგი შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან ნუსხადაა მიჩნეული.

---

10 ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77-78.

11 ქართული სამართლის ძეგლები, 1, გვ. 651-642.

12 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 42, 284.

13 იქვე, გვ. 110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დაკვირვებით, ე. წ. ვახტანგისეული ნუსხა გაცილებით უფრო ძველი, სანდო და მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ვიდრე ფეიქრიშვილისეული. ამ აზრს, უპირველეს ყოვლისა, ის საყურადღებო ფაქტი ადასტურებს, რომ ვახტანგ მეფემ და მისმა სწავლულებმა, რომლებსაც ორივე ნუსხა ხელთ ჰქონდათ, უპირატესობა მიანიჭეს არა 1672 წელს გადაწერილ ნუსხას, არამედ მეორე ნუსხას, რომელსაც დანართი მუხლები ახლდა და რომელიც მათ თავიანთ კრებულში შეიტანეს. ძნელი წარმოსადგენია, რომ იმდროინდელ სწავლულებს ვერ შეემჩნიათ რომელი ნუსხაა უფრო ძველი და სანდო, რომელია უფრო მნიშვნელოვანი თავისი დანიშნულებით.

მაგრამ დაუშვათ, რომ მეფე ვახტანგი და მისი სწავლული კაცები ამ შემთხვევაშიც შეცდნენ. ჩვენ თვითონ შევეცადოთ, გამოვარკვიოთ, ჯერ ერთი, რომელი ნუსხაა უფრო ძველი, ე. ი. ახლოა პირვანდელ დედანთან და, მეორეც, — რომელი ნუსხა რა დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი.

პირველი კითხვის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ არსებით განსხვავებას, რომელიც ნუსხებში შეიმჩნევა კანონის დასაწყისშივე. დავაკვირდეთ ორივე ნუსხის ტექსტს:

A

1. „თუ შერისხდეს ღმერთი ეშმაკსა და კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან — დიდებული, სადამდის პატონის კაცი და მაწყუერელისა დაესწრას და ყოვლად წმინდისა ხატი, დაწვას თუ ემტეროს, იგი სისხლსა შიგან არა მიეფასოს.

. . . . . .

თუ ვერ ამოუვიდეს, გარდაიხვეწოს და მისი მამული პატრონსა და მაწყუერელსა ჰქონდეს, და გამოსავ(ა)ლისა ნახევარი მესისხლეს აჭამონ“.

B.

1. „თუ შერისხდეს ღმერთი, ეშმაკისა ბირებითა და მანქანებითა კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან-დიდებული, სადამდისა პატრონისა ჯაყელისა და მაწყუერელისა კაცნი და ხატი ყოვლაწმინდისა მიესწრებოდნენ, მანამდის დაწვას თუ რასაც ემტეროს, იგი სისხლსა შიგან არ მიეფასოს.

. . . . . .

და თუ ვერ ამოუ(ვ)იდოდეს გარდაეხვეწოს, და მამული პატრონსა აქუნდეს — ჯაყელსა — და მაწყუერელსა, ნახევარი გამოსავლისა მესისხლეს აჭამონ“.

როგორც ვხედავთ, B ვარიანტში კანონის ტექსტი გაცილებით უფრო გამართულია ენობრივადაც და შინაარსითაც. ეს კი უეჭველად იმის მომასწავებელია, რომ B ხელნაწერი უფრო ახლოსაა პირვანდელ დედანთან, ვიდრე A. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ყურადღებას იქცევს ის საინტერესო ფაქტი, რომ B ვარიანტში ორჯერ არის მოხსენებული „პატრონი-ჯაყელი,“ რომელიც A ვარიანტში სავსებით გამოტოვებულია. ეს ფაქტი, ცხადია, უტყუარი ნიშანია იმისა, რომ B ვარიანტში ასახულია გაცილებით ადრინდელი ვითარება, — კერძოდ იმ ეპოქის ვითარება, როცა სამცხე-სათაბაგოს ჯაყელები განაგებდნენ, — ხოლო A ვარიანტი გაცილებით გვიანდელია და ასახავს იმ ვითარებას, როდესაც ჯაყელები თავის ადგილას აღარ იჯდნენ. ბუნებრივია, ფეიქრიშვილისეული ნუსხის გადამწერს არ შეეძლო პატრონი ჯაყელი მოეხსენებია, რადგან მის დროს — 1672 წელს, სამცხე-საათაბაგო უკვე თურქეთის ხელში იყო. ასევე ბუნებრივი და ლოგიკურია იმის დაშვებაც, რომ „პატრონი ჯაყელი“ მოხსენებული იქნებოდა და არის კიდევაც იმ ნუსხაში, რომელიც სამცხეში მათი მთავრობის დროს უნდა იყოს გადაწერილი. აქედან ცხადია, რომ B ნუსხა გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე A ნუსხა.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ნუსხის სიძველის მაჩვენებელი სხვა ფაქტებიც დავასახელოთ. ყურადღება მივაქციოთ, თუნდაც ორივე ნუსხის ტექსტის ზმნის დროებს. A ვარიანტი იმეორებს უკვე არსებულს, დადგენილ კანონს, ხოლო B ვარიანტი კანონს ახლად ადგენს. ამით აიხსნება, რომ ხშირად მათ ტექსტებში ზმნის დროები განსხვავებულია. დავაკვირდეთ, მაგალითად, წინადადებებს, რომლებითაც დიდებულისა და აზნაურის სისხლია განსაზღვრული. A ვარიანტში ვკითხულობთ: „სისხლი დიდებულისა ორმოცი ათასი თეთრია“, „თუ დიდებულმან აზნაური მოკლას... მისი სისხლი ოცი ათასი, იგი დაუურვოს“. ივივე წინადადებები B ვარიანტში შემდეგნაირად იკითხება: „სისხლი (დიდებულისა) ორმოცი ათასი თეთრი იყოს“, „და თუ დიდებულმან აზნაური მოკლას. მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს და იგი დაუურვოს“.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური ფასკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო მეფის რუსეთის ნახევრადბატონყმური საადგილმამულო წყობილება, რომელსაც სიღატაკე მოჰქონდა გლეხობისათვის და აფერხებდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას. სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის 1917 წლის 26 ოქტომბრის (8 ნოემბრის) დეკრეტით „მიწის შესახებ" სამუდამოდ გაუქმდა მიწის კერძო საკუთრება, მთელი მიწა გახდა საყოველთაო-სახალხო კუთვნილება და უსასყიდლოდ გადაეცათ მშრომელებს სარგებლობისათვის.

მიწის სახელმწიფო საკუთრება, რაც წარმოიშვა ნაციონალიზაციის შედეგად, სსრ კავშირში საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძველია. მიწა, რომელიც კერძო საკუთრების პირობებში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის იარაღი იყო, სსრ კავშირში გამოყენებულია ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის მთელი ხალხის სასარგებლოდ.

მიწის სახელმწიფო საკუთრებამ უდიდესი როლი შეასრულა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფაში. მან შექმნა შესაძლებლობა, ყველაზე მიზანშეწონილად განლაგებულიყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და მიწათსარგებლობის სოციალისტურ ფორმებზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა.

როცა სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში შეიქმნა დაქუცმაცებულ ინდივიდუალურ მეურნეობათა მასობრივი კოლექტივიზაციის პირობები, გლეხობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის ყოველმხრივი დახმარებითა და მხარდაჭერით დაადგა სოციალიზმის გზას. ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელებისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად გლეხთა საკითხი ნამდვილად გადაიჭრა.

მიწის სახელმწიფო საკუთრება ჩვენს ქვეყანაში ხელს უწყობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, თანდათანობითს გადასვლას კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების ლიკვიდაციას.

მიწა — საბჭოთა საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სიმდიდრე — არის წარმოების მთავარი საშუალება სოფლის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განლაგებისა და განვითარების სივრცობრივი ბაზისი. მთელი მიწების მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენება, მათი დაცვა და ნიადაგთა ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გაზრდა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა.

ნაწილი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა მიწის კანონმდებლობის ამოცანები.

საბჭოთა მიწის კანონმდებლობის ამოცანებია საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგება მიწების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის, მათი ეფექტიანობის გადიდების პირობების შექმნის მიზნით, სოციალისტურ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, აგრეთვე საადგილმამულო ურთიერთობის დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობა.

სსრ კავშირში საადგილმამულო ურთიერთობას აწესრიგებენ ეს საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის მიწის კანონმდებლობის სხვა აქტები, მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსები და მიწის კანონმდებლობის სხვა აქტები.

წიაღისეულით, ტყეებითა და წყლებით სარგებლობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სპეციალური კანონმდებლობა.

მუხლი 3. მიწის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მიწა სახელმწიფო საკუთრებაა, ესე იგი საყოველთაო-საახალხო კუთვნილებაა.

სსრ კავშირში მიწა მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და გადაეცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია მოქმედება, რომლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც პირდაპირი თუ ფარული ფორმით ირღვევა მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლება.

მუხლი 4. ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი.

მთელი მიწა სსრ კავშირში შეადგენს ერთიან სახელმწიფო მიწის ფონდს, რომელშიც ძირითადი მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად შედის:

1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც სარგებლობისათვის გადაცემული აქვთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლეებს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის;

2) დასახლებული პუნქტების (ქალაქები, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების) მიწები;

3) მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

4) სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწები;

5) სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები;

6) სახელმწიფო მარაგის მიწები.

აღნიშნული კატეგორიებისათვის მიწების მიკუთვნებისა და ერთი კატეგორიიდან მეორეში მიწების გადაყვანის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 5. სსრ კავშირის კომპეტენცია საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში.

ააადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში სსრ კავშირის გამგებლობაში შედის:

1) ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის განკარგვა იმ ფარგლებში რომლებიც საჭიროა სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად;

2) მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ძირითად დებულებათა დადგენა:

3) ქვეყნის მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების იმ პერსპექტიული გეგმების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოთხოვნილებებს;

4) მიწების მელიორაციის საერთოსაკავშირო ღონისძიებათა და ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების სხვა ღონისძიებათა გეგმების დადგენა, აგრეთვე ეროზიისაგან, დამლაშებისა და ნიადაგების გამაუარესებელი სხვა პროცესებისაგან ნიადაგების დაცვის ძირითად დებულებათა კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

5) მიწების გამოყენების სახელმწიფო კონტროლის დადგენა;

6) სსრ კავშირისათვის მიწების სახელმწიფო აღრიცხვის, მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის ერთიანი სისტემისა და მიწის კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

7) სსრ კავშირის მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენის წესის დადგენა.

მუხლი 6. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში.

საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას მიეკუთვნება ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის განკარგვა რესპუბლიკის ფარგლებში და მისი გამოყენების პერსპექტიული გეგმების დადგენა, მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ორგანიზაციის წესის დადგენა, მიწების მელიორაციის, ეროზიასთან ბრძოლისა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების გეგმების დადგენა, აგრეთვე საადგილმამულო ურთიერთობის სხვა საკითხთა რეგულირება, თუ ისინი არ შედიან სსრ კავშირის კომპეტენციაში.

მუხლი 7. მიწათმოსარგებლენი.

სსრ კავშირში მიწა სარგებლობისათვის ეძლევათ:

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

სამრეწველო, სატრანსპორტო, სხვა არასასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს:

სსრ კავშირის მოქალაქეებს.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიწა შეიძლება სარგებლობისათვის მიეცეს სხვა ორგანიზაციებსა და პირებსაც.

მუხლი 8. მიწის უსასყიდლო გადაცემა სარგებლობისათვის.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და სსრ კავშირის მოქალაქეებს მიწა სარგებლობისათვის ეძლევათ უსასყიდლოდ.

მუხლი 9. მიწათსარგებლობის ვადები

მიწა გადაეცემა უვადოდ ან დროებითი სარგებლობისათვის.

უვადოდ (მუდმივად) სარგებლობა ნიშნავს, რომ მიწათსარგებლობის ვადა წინასწარ არ არის დადგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უკავიათ, კოლმეურნეობებს სარგებლობისათვის უმკვიდრდებათ უვადოდ, ესე იგი სამუდამოდ.

დროებითი მიწათსარგებლობა შეიძლება იყოს მოკლევადიანი — სამ წლამდე და გრძელვადიანი — სამიდან ათ წლამდე. საწარმოო საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ამ ვადის გაგრძელება იმ პერიოდისათვის, რომელიც არ აღემატება შესაბამისად მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დროებითი მიწათსარგებლობის ვადას.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით სხვადასხვა სახეობის მიწათსარგებლობისათვის შეიძლება დადგენილი იყოს გრძელვადიანი მიწათსარგებლობის უფრო დიდი ვადა, მაგრამ არაუმეტეს 25 წლისა.

მუხლი 10. სარგებლობისათვის მიწის მიჩენის წესი.

სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების მიჩენა ხორციელდება მიკუთვნების წესით.

სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების მიკუთვნება ხდება მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, ან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა. მიწის ნაკვეთების მიჩენის შესახებ დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში უნდა აღინიშნოს, თუ რა მიზნით წარმოებს მათი მიკუთვნება, და მიწათსარგებლობის ძირითადი პირობები.

სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მიჩენა სხვა მიწათმოსარგებლისათვის ხდება მხოლოდ ამ ნაკვეთის ჩამორთმევის შემდეგ იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლების 16 მუხლით.

ის მიწები, რომლებსაც დადგენილი წესით ვარგისად ცნობენ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოეყოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი ობიექტების, რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, მაგისტრალური მილსადენების მშენებლობისათვის, აგრეთვე სხვა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისთვის უწინარეს ყოვლისა გამოიყოფა არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი მიწები ან ცუდი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. აღნიშნული მიზნებისათვის მიწის ნაკვეთების მიჩენა სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან უპირატესად წარმოებს იმ ფართობების ხარჯზე, რომლებიც დაფარული არ არის ტყით ან იმ ფართობებიდან, რომლებიც დაფარულია ბუჩქნარით და მცირე ღირებულების ნარგავებით. მიწის ნაკვეთების მიჩენა მშენებლობისათვის ფართობებზე, სადაც არის სასარგებლო წიაღისეული, ხდება სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით. ელექტროგადაცემის, კავშირგაბმულობის ხაზების და სხვა კომუნიკაციები უმთავრესად გაჰყავთ გზების, არსებული ტრასების — გასწვრივ და ასე შემდეგ.

მიჩენილი მიწის ნაკვეთის გამოყენება იქამდე, ვიდრე სათანადო მიწათმომწყობი ორგანოები არ დაადგენენ ამ ნაკვეთის მიჯნებს ნატურაზე (ადგილზე), და არ გასცემენ მიწით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, აკრძალულია.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწით მოსარგებლეების უფლება დასტურდება მიწათსარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტებით. აქტების ფორმებს აწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

დროებითი მიწათსარგებლობის გაფორმების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 11. მიწათმოსარგებლეთა უფლებამოვალეობანი

მიწათმოსარგებლეთ უფლება აქვთ და მოვალენი არიან გამოიყენონ მიწის ნაკვეთები იმ მიზნით, რისთვისაც მიიღეს.

სარგებლობისათვის მიჩენილი მიწის თვითეული ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, მიწათმოსარგებლეებს უფლება აქვთ დადგენილი წესით:

ააშენონ საცხოვრებელი, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ნაგებობანი და შენობები;

დათესონ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, გაამშენონ ტყე, ხეხილი, დეკორატიული და სხვა ნარგავები;

ისარგებლონ სათიბებით, საძოვრებითა და სხვა სავარგულებით;

გამოიყენონ მეურნეობის საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთზე არსებული საზოგადოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული, ტორფი და წყლის ობიექტები, გამოიყენონ აგრეთვე მიწის სხვა სასარგებლო თვისებანი.

მიწათმოსარგებლეთათვის მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს.

მიწათმოსარგებლეთა დარღვეული უფლებანი უნდა აღადგინონ იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათმოსარგებლეთა უფლებანი შეიძლება შეიზღუდოს კანონით სახელმწიფო ინტერესებისათვის, აგრეთვე სხვა მიწათმოსარგებლეთა ინტერესებისათვის.

მიწის გამოყენება არაშრომითი შემოსავლის მიღებისათვის აკრძალულია.

მიწათმოსარგებლენი მოვალენი არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის მიჩენილი მიწის ნაკვეთები, თავიანთ ნაკვეთზე არაფერი მოიმოქმედონ ისეთი, რაც არღვევს მეზობელ მიწათმოსარგებლეთა ინტერესებს.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულს ამუშავებენ ღია ან მიწისქვეშა წესით, ეწევიან გეოლოგიურ-საზვერ, სამშენებლო ან სხვა სამუშაოებს მათთვის დროებით სარგებლობაში მიჩენილ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ან ტყის სავარგულებზე, მოვალენი არიან თავიანთ ხარჯზე მოიყვანონ ეს მიწის ნაკვეთები ისეთ მდგომარეობაში, რომ გამოსადეგი იყოს სოფლის, სატყეო თუ თევზის მეურნეობისათვის. ხოლო აღნიშნულ სამუშაოთა სხვა მიწებზე წარმოების დროს — დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში. მიწის ნაკვეთების გამოსადეგ მდგომარეობაში მოყვანა წარმოებს მუშაობის პროცესში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, არაუგვიანეს ერთი წლისა სამუშაოთა დამთავრების შემდეგ.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო ან სხვა მშენებლობას, ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს ღია წესით, აგრეთვე აწარმოებენ ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს, მოვალენი არიან მოაცილონ და შეინახონ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა იმ მიზნით, რომ იგი გამოყენებული იყოს მიწების რეკულტივაციისა და მცირეპროდუქტიული სავარგულების ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

მუხლი 12. მეორადი მიწათსარგებლობა

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლიათ მათთვის მიჩენილი მიწებიდან მეორადი სარგებლობისათვის გადასცენ მიწის ნაკვეთები.

მეორადი მიწათსარგებლობის წესი და პირობები განისაზღვრება ამ საფუძვლების 25, 27, 28, 41, 42 და 43 მუხლებით, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობით.

მუხლი 13. მიწების დაცვა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება

მიწათმოსარგებლენი ვალდებულნი არიან განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის, განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, ტყის სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის თავიდან აცილებისათვის, არ დაუშვან მიწების დაძლაშება, დაჭაობება, გაჭუჭყიანება, სარეველების მოდება, აგრეთვე სხვა პროცესები, რომლებიც აუარესებენ ნიადაგების მდგომარეობას.

მიწების მელიორაციისა და დაცვის, მინდორსაცავი ტყის გაშენების, ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მიწების ძირეული გაუმჯობესება, გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებით და მათ ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და მიწათმოსარგებლენი.

სპეციალურად დაცულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, განსაკუთრებით სარწყავი და ამოშრობილი მიწები. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც სარგებლობენ სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი მიწებით, ვალდებული არიან იცავდნენ, აღადგენდნენ და ამაღლებდნენ ნიადაგის ნაყოფიერებას.

სამრეწველო და სამშენებლო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი ვალდებული არიან არ დაუშვან სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების გაჭუჭყიანება საწარმოო და სხვა ნარჩენებით, აგრეთვე ჩამდინარე წყლებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს მიწათმოსარგებლეთა მატერიალური წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ მიწების დაცვის, ნიადაგთა ნაყოფიერების გადიდებისა და გამოუყენებელი მიწების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩაბმის ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 14. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწათსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყდება იმ შემთხვევაში, როცა:

1) საჭირო აღარ იქნება მიწის ნაკვეთი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) ამოიწურება ვადა, რომლითაც მიჩენილი იყო მიწის ნაკვეთი;

3) მოხდება საწარმოს, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების ლიკვიდაცია;

4) საჭირო გახდება მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის;

5) ზედიზედ ორი წლის მანძილზე არ აითვისებენ მიჩენილ მიწის ნაკვეთს.

მიწათსარგებლობის უფლება შეიძლება აგრეთვე შეწყდეს იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთს არ იყენებენ იმ მიზნით, რომლითაც მიჩენილია.

მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 15. მოქალაქეთა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

მოქალაქეთა მიწათსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყდება იმ შემთხვევაში, როცა:

1) ნებაყოფლობით უარს განაცხადებენ მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე;

2) ამოიწურება ვადა, რომლითაც მიჩენილი იყო მიწის ნაკვეთი;

3) კომლისა თუ ოჯახის ყველა წევრი სამუდამოდ გადასახლდება მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილას;

4) შეწყდება შრომითი ურთიერთობა, რომლის გამო მიჩენილი იყო სამსახურებრივი მინაზომი, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით;

5) გარდაიცვლება კომლისა თუ ოჯახის ყველა წევრი;

6) საჭირო გახდება მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება შეიძლება გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ ჩაიდინა ამ საფუძვლების 50 მუხლით გათვალისწინებული მოქმედება, აგრეთვე ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ გამოიყენა მიწის ნაკვეთი ან გამოიყენა არა იმ მიზნით, რომლისთვისაც მიეცა.

მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოქალაქეთა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 16. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესი

სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის ჩამორთმევა წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების, ან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე იმ წესის შესაბამისად, რომელსაც დაადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწებიდან ნაკვეთების ჩამორთმევა, რომლებსაც კულტურული ან მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ, დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევებში.

სარწყავი და ამოშრობილი მიწების, სახნავის, მრავალწლიანი ხეხილითა და ვენახებით დაკავებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, აგრეთვე წყალდამცავი, დამცავი და სხვა პირველი ჯგუფის ტყეებით დაკავებული მიწების ჩამორთმევა იმ მიზნებით გამოსაყენებლად, რომლებიც დაკავშირებული არ არის ტყის მეურნეობის წარმოებასთან, ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში და მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც დაინტერესებული არიან არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევით, ვალდებული არიან საპროექტო სამუშაოთა დაწყებამდე წინასწარ შეუთანხმონ მიწათმოსარგებლეებსა და მიწის გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს ობიექტის აშენების ადგილი და ფართობის ჩამორთმევისათვის დასახული დაახლოებითი ზომები.

კოლმეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწებიდან ნაკვეთების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ კოლმეურნეობის წევრების საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების თანხმობით. ხოლო იმ მიწებიდან, რომლებიც სარგებლობისათვის აქვთ გადაცემული საბჭოთა მეურნეობებს, საკავშირო ან რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, — მიწათმოსარგებლეებთან და სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

მუხლი 17. საძიებო სამუშაოებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყენების წესი

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც გეოლოგიური აგეგმვის, საძიებო, გეოდეზიურ და სხვა საძიებო სამუშაოებს ახორციელებენ, შეუძლიათ ეს სამუშაოები აწარმოონ ყველა მიწაზე იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, მიწათმოსარგებლეთათვის მიწის ნაკვეთების ჩამოურთმევლად. აღნიშნულ სამუშაოთა დაწყების ვადებს უთანხმებენ მიწათმოსარგებლეებს, ხოლო თუ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ამ ვადებს განსაზღვრავენ შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებენ, მოვალენი არიან დაკავებული მიწის ნაკვეთები თავიანთ ხარჯზე მოიყვანონ ისეთ მდგომარეობაში, რომ გამოსადეგი იყოს დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. მიწის ნაკვეთების გამოსადეგ მდგომარეობაში მოყვანა წარმოებს სამუშაოების დროს, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არის — ერთ თვეში მაინც სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ნიადაგის გაყინვის პერიოდის ჩაუთვლელად.

მუხლი 18. მიწათმოსარგებლეთათვის იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც გამოიწვია მიწის ნავეთების ჩამორთმევამ ან დროებითმა დაკავებამ

მიწათმოსარგებლეებს უნდა აუნაზღაურდეთ ის ზარალი, რომელიც გამოიწვია სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევამ ან მიწის ნაკვეთების დროებითმა დაკავებამ.

ზარალს ანაზღაურებენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც მიუჩინეს მიწის ნაკვეთები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

მუხლი 19. არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგის ანაზღაურება

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, რომლებსაც მშენებლობისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიუჩინენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით დაკავებულ მიწის ნაკვეთებს, ანაზღაურებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგს, რომელიც დაკავშირებულია ამ ნაკვეთების ჩამორთმევასთან (გარდა მიწათმოსარგებლეთათვის ზარალის ანაზღაურებისა ამ საფუძვლების მე-18 მუხლის თანახმად).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასანაზღაურებელი დანაკარგის ოდენობასა და განსაზღვრის წესს, აგრეთვე შესაბამისი სახსრების გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 20. სახელმწიფო კონტროლი მიწების გამოყენებისადმი

ყველა მიწის გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე მოქალაქენი იცავდნენ მიწის კანონმდებლობას, მიწით სარგებლობის წესს, მიწის კადასტრის და მიწათმოწყობის წარმოების სისწორეს მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით.

ყველა მიწის გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

ნაწილი II

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები

მუხლი 21. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად ითვლება მთელი მიწები, რომლებსაც იყენებენ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ან განკუთვნილია ამ მიზნისათვის.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს იყენებენ სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების შესაბამისად იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

შეუწყნარებელია სარწყავი და ამოშრობილი, სახნავი მიწების, ძვირფასი მრავალწლიანი ხე-

ხილისა და ვენახების, აგრეთვე სხვა დიდპროდუქტიულ სავარგულთა ფართობების შემცირება და მათი გარდაქმნა ნაკლებპროდუქტიულ სავარგულებად გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის საჭიროება გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 22. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემა სარგებლობისათვის

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს უვადო სარგებლობისათვის გადასცემენ:

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს — სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის;

სამეცნიერო-კვლევითს, სასწავლო და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს — მინდვრის კვლევითი მუშაობისათვის, სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პრაქტიკული გამოყენებისა და გავრცელებისათვის, აგრეთვე საწარმოო მიზნებისათვის.

არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს — დამხმარე სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის;

მოქალაქეებს — პირადი მეურნეობის წარმოებისათვის დაქირავებული შრომის გამოუყენებლად.

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეიძლება მიეცეს მიწის ნაკვეთები კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის ამ წესითა და იმ პირობებით, რასაც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს.

ამ მუხლში აღნიშნული უვადო სარგებლობისათვის მიჩენილი მიწების გარდა მიწათმოსარგებლეებს შეიძლება მიეცეთ მიწები დროებითი სარგებლობისათვის.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-საცდელი და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების მიწათსარგებლობის საზღვრებისა და ოდენობის შეცვლა მეურნეობათა გამსხვილებისა და დაწვრილერთეულების, მიწათმოსარგებლეთა შორის მიწის გადანაწილების დროს შეიძლება მოხდეს დადგენილი წესით დამტკიცებული მიწის მოწყობის მეცნიერულად დასაბუთებული პროექტების საფუძველზე.

მუხლი 23. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიწათმოსარგებლეთა მოვალეობანი

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სარგებლობენ სასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწებით მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების საფუძველზე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მოვალენი არიან:

1) ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმებსა და საწარმოო ფინანსურ გეგმებში გაითვალისწინონ ნიადაგების ნაყოფიერების გადიდებისა და მიწების რაციონალური გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი;

2) ზონალური პირობებისა და მეურნეობის სპეციალიზაციის შესაბამისად დანერგონ მიწათმოქმედების ყველაზე ეფექტიანი სისტემები, მეურნეობის დარგების ეკონომიურად ხელსაყრელი შეხამება, შემოიღონ და აითვისონ თესლბრუნვა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩააბან გამოუყენებელი მიწები;

3) განავითარონ მიწების რწყვა, ამოშრობა და გაწყლიერება, გააუმჯობესონ მდელოები და საძოვრები, გააკირიანონ და გაათაბაშირიანონ ნიადაგები;

4) განახორციელონ ღონისძიებანი ნიადაგის, ეროზიის, მიწების დაჭაობებისა და დამლაშების წინააღმდეგ, გაშენონ მინდორსაცავი ნარგავები, მოატყეონ და შეამაგრონ ქვიშრობები, ხევები და ფლატეები, არ დაუშვან ნიადაგის გაჭუჭყიანება;

5) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გაწმინდონ ქვებისაგან, ბუჩქ-ჯაგნარისაგან, იბრძოლონ სარეველების, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ.

მუხლი 24. საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები და კოლმეურნეობათა საკარმიდამო მიწები

მიწები, რომლებიც კოლმეურნეობებს მიცემული აქვთ უვადო (სამუდამო) სარგებლობისათვის სახელმწიფო აქტით, შედგება საზოგადოებრივი სარგებლობისა და საკარმიდამო მიწებისაგან. საკარმიდამო მიწები ნატურად გაიმიჯნება საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებისაგან.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ნორმებით კომლებისთვის მიწის ნაკვეთების მისაცემი საკარმიდამო მიწების ნაკლებობის დროს, შეიძლება საკარმიდამო ფონდის ფართობის გადიდება საზოგადოებრივი სარგებლობის მიწების ხარჯზე, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქო (სამხარეო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ხოლო რესპუბლიკებში, სადაც არ არის საოლქო დაყოფა, — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

კოლმეურნეობებისათვის დამკვიდრებული მიწების შიდასამეურნეო გამოყენება ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების საფუძველზე ამ საფუძვლების, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 25. საკოლმეურნეო კომლის უფლება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე

თითოეულ საკოლმეურნეო კომლს უფლება აქვს ჰქონდეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, რომელიც მას ეძლევა იმ წესითა და ნორმების ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია კოლმეურნეობის წესდებით.

საკარმიდამო ნაკვეთის შენარჩუნების უფლება აქვს იმ საკოლმეურნეო კომლებს, რომლებშიც ერთადერთი შრომისუნარიანი წევრი გაწვეულია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან არის არჩევითს თანამდებობაზე, სწავლობს, დროებით გადავიდა სხვა სამუშაოზე კოლმეურნეობის თანხმობით ან ორგანიზებული შეგროვების წესით, აგრეთვე, როცა საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობაში დარჩნენ მხოლოდ არასრულწლოვანი წევრები.

საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლება რჩებათ აგრეთვე საკოლმეურნეო კომლებს, რომელთა ყველა წევრმა დაკარგა შრომის უნარი მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო.

კოლმეურნეობის წესდების შესაბამისად საკოლმეურნეო კომლებს ეძლევათ საძოვრები საკუთარი პირუტყვისათვის.

მუხლი 26. საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საკარმიდამო მიწები

შიდასამეურნეო მიწათმოწყობის დამტკიცებული პროექტის შესაბამისად საბჭოთა მეურნეობისა თუ სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის სარგებლობისათვის გადაცემული მიწებიდან გამოიყოფა და ნატურად გაიმიჯნება საკარმიდამო მიწები, რომლებიც განკუთვნილია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მისაცემად მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

თუ მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებით უზრუნველყოფისათვის არ არის საკმარისი საკარმიდამო მიწები, მეურნეობათა ხელმძღვანელების შუამდგომლობით შეიძლება ამ მიწების ფართობის გადიდება მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნებართვით, ხოლო იმ რესპუბლიკებში, სადაც არ არის საოლქო დაყოფა — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

მუხლი 27. საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის და სხვა, სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მიჩენა

საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს ან ბოსტნებს აძლევენ ამ მიზნებისათვის განკუთვნილი მიწებიდან მუდმივ მუშებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ სოფლად.

კოლმეურნეობა, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებისა ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს აძლევს მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ სოფლად.

თუ კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არის თავისუფალი საკარმიდამო მიწები, საკარმიდამო ნაკვეთები შეიძლება მიეცეს სოფლად მცხოვრებ მუშებს, მოსამსახურეებს, პენსიონერებსა და ინვალიდებს შესაბამისად კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების, ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს ,ორგანიზაციისა და დაწესებულების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ამ მუხლში აღნიშნულ მუშებსა და მოსამსახურეებს მოხუცებულობისა თუ ინვალიდობის გამო პენსიაზე გასვლის შემდეგ, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებს, რომლებიც გაწვეული არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან სწავლობენ, წინათ მიცემული საკარმიდამო ნაკვეთები იმავე ოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობით რჩებათ სარგებლობისათვის სამხედრო სამსახურში თუ სასწავლებელში ყოფნის მთელი დროის მანძილზე.

ამ მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიათა მოქალაქეებს, რომლებსაც ჰყავთ საკუთარი პირუტყვი, გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები საძოვრებისათვის სახელმწიფო მარაგის, სახელმწიფო სატყეო ფონდის, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების მიწებიდან, აგრეთვე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან. ასეთი მიწების უქონლობის შემთხვევაში პირუტყვის საძოვრებისათვის ნაკვეთები შეიძლება გამოიყოს დადგენილი წესით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწებიდან, ამასთან პირუტყვის მფლობელებმა უნდა აუნაზღაურონ მიწათმოსარგებლეებს ამ ნაკვეთების შენახვისა და გაუმჯობესების ხარჯები.

ზემოაღნიშნულ კატეგორიათა მოქალაქეებს სათიბი ნაკვეთები ეძლევათ სახელმწიფო მარაგის, სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან, რკინიგზებისა და გზატკეცილებისათვის მიჩენილი და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ზოლში.

მიწის ნაკვეთების მიცემა ხდება იმ წესითა და ნორმების ფარგლებში, რომლებიც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 28. მიწათმოსარგებლეთა მიერ სხვა მიწათმოსარგებლეთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების დროებით გამოსაყენებლად გადაცემის წესი და პირობები.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დროებით არ სარგებლობენ მათთვის დამკვიდრებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილით, შეუძლიათ ეს სავარგულები დროებით სარგებლობისათვის გადასცენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იმ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს, რომლებსაც ეს სავარგულები სჭირდებათ. მეურნეობა, რომელიც გარკვეული ვადით მიიღებს მიწის ნაკვეთს, მიწათმოსარგებლეს უნაზღაურებს გამოუყენებელ ხარჯებს მიწით სარგებლობის დროის შესაბამისად.

ერთი მეურნეობის მიწის სავარგულების ნაწილის გადაცემა მუდმივი სარგებლობისათვის მეორე მეურნეობისათვის წარმოებს იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლების 10 მუხლით.

მუხლი 29. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების მიწათსარგებლობა

ცალკეულ რაიონებში არსებული ერთპიროვნული გლეხური მეურნეობანი სარგებლობენ მათთვის მიჩენილი საყანე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთებით სოფლის მეურნეობის გაძღოლისათვის იმ წესითა და ნორმების ფარგლებში, რომლებიც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ნაწილი III
დასახლებული პუნქტების (ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების და სასოფლო დასახლებული პუნქტების) მიწები

მუხლი 30. ქალაქის მიწების შემადგენლობა

ქალაქის მიწებს განეკუთვნება ქალაქის საზღვრის ფარგლებში არსებული მიწები.

ამ მიწების შემადგენლობაში შედის:

1) საქალაქო განაშენიანების მიწები;

2) საერთო სარგებლობის მიწები;

3) სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწები და სხვა სავარგულები;

4) ქალაქის ტყეებით დაკავებული მიწები;

5) რკინიგზის, წყლის, საჰაერო, მილსადენი ტრანსპორტის, სამთო მრეწველობისა და სხვა მიწები.

მუხლი 31. ქალაქის მიწების გამოყენების წესი

ქალაქის ფარგლებში არსებული ყველა მიწა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების გამგეობაშია.

ქალაქის ფარგლების დადგენისა და შეცვლის, ქალაქების ტერიტორიის მიწათსამეურნეო მოწყობის, მიწის ნაკვეთების გადაცემისა და ჩამორთმევის წესი და მათი სარგებლობის პირობები განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, ხოლო ამ საფუძვლების 30 მუხლის 3-5 პუნქტებში აღნიშნული მიწების სარგებლობის წესი, — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 32. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათსარგებლობა ქალაქის საზღვრის ფარგლებში

კოლმეურნეობების საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწები, რომლებიც ქალაქის საზღვრის ფარგლებშია და რომლებზეც არ უნდა წარმოებდეს განაშენიანება ან კეთილმოწყობა ქალაქის დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტით, უმკვიდრდებათ მათ უვადო სარგებლობისათვის.

ამ მიწებზე საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნაგებობათა განლაგება წარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

მუხლი 33. მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების გადასვლა ქალაქად ნაგებობის საკუთრების უფლების გადასვლის დროს

ქალაქის მიწებზე არსებული ნაგებობის საკუთრების უფლების გადასვლის დროს გადადის აგრეთვე მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე სარგებლობის უფლება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 34. საგარეუბნო და მწვანე ზონები

ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე მიწები, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქის ტერიტორიის გაფართოების რეზერვს, იმ საჭირო ნაგებობათა განლაგებისა და მშენებლობის ადგილი, რომლებიც დაკავშირებულია საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობასა და ნორმალურ მუშაობასთან, აგრეთვე ტყეებით, ტყე-პარკებითა და სხვა მწვანე ნარგავებით დაკავებული მიწები, რომლებიც დამცავ და სანიტარულ-ჰიგიენურ ფუნქციებს ასრულებენ და მოსახლეობის დასვენების ადგილია, შესაბამისად გამოიყოფა ქალაქის საგარეუბნო და მწვანე ზონად.

საგარეუბნო და მწვანე ზონების გამოყოფის, აგრეთვე ამ ზონებში მიწათსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 35. ქალაქის ტიპის დაბების მიწები

ამ საფუძვლების 30, 31, 32, 33 და 37 მუხლების დებულებანი ვრცელდება იმ დასახლებულ პუნქტების მიწებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას.

დაბის ფარგლებში არსებული ყველა მიწა მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოების გამგებლობაშია.

მუხლი 36. სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწები

სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწებს მიეკუთვნება ყველა მიწა, რომლებიც ამ პუნქტებისათვის დადგენილი საზღვრების ფარგლებშია. სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწები, რომლებიც პერსპექტიულადაა მიჩნეული შემდგომი განვითარებისათვის, გაიმიჯნება სხვა მიწებისაგან დასახლებული პუნქტების ფარგლების დადგენის გზით მათი დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად. სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწები, რომლებიც პერსპექტიულად არ არის მიჩნეული, სხვა მიწებისაგან გაიმიჯნება შიდასამეურნეო მიწათმოწყობის წესით.

სასოფლო დასახლებული პუნქტების ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო ახორციელებს კონტროლს მიწის ყველა ნაკვეთის მიჩენისადმი და იღებს გადაწყვეტილებებს იმ მიწებიდან მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, რომლებიც არ შედის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწათსარგებლობის შემადგენლობაში.

სასოფლო დასახლებული პუნქტის ფარგლებში შემავალ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც დამკვიდრებული აქვთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ისინი იყენებენ საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო შენობებისა და ნაგებობებისათვის, აგრეთვე საკარმიდამო მიწათსარგებლობისათვის ამ საფუძვლების 24, 25, 26 და 27 მუხლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მიწებზე საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო შენობებისა და ნაგებობების განლაგება ხდება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

სასოფლო დასახლებული პუნქტების ფარგლების დაწესებისა და შეცვლის, შემდგომი განვითარებისათვის პერსპექტიულად მიჩნევის წესს, აგრეთვე სასოფლო დასახლებული პუნქტების მიწების სარგებლობის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 37. მიწის ნაკვეთების მიჩენა საბინაო-სამშენებლო და საგარაჟო სამშენებლო კოოპერატივებისათვის აგრეთვე მოქალაქეებისათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივებს, აგრეთვე მოქალაქეებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები ეძლევათ დასახლებული პუნქტების, სახელმწიფო მარაგის მიწებიდან და სახელმწიფო სატყეო ფონდის ქალაქის მწვანე ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე მიწებიდან იმ წესებისა და პირობების შესაბამისად, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ნაწილი IV

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები

მუხლი 38. მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად ითვლება ის მიწები, რომლებიც სარგებლობისათვის აქვთ გადაცემული საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაკისრებულ სპეციალურ ამოცანათა განსახორციელებლად (სამრეწველო წარმოება, ტრანსპორტი, კურორტების, ნაკრძალების მოწყობა და სხვ.).

აღნიშნული მიზნებისათვის მიჩენილი მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმებით ან საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციით, ხოლო ნაკვეთების მიჩენა ხორციელდება მიწების გამოყენების რიგრიგობის გათვალისწინებით.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების, მიწათსარგებლობის განსაკუთრებული პირობებიანი ზონების დადგენის წესებს (სანიტარული დაცვის ოლქი და სხვ). განსაზღვრავენ ამ მიწების შესახებ დებულებანი, რომლებსაც ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

მუხლი 39. კურორტების მიწები

კურორტების მიწებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთები, რომლებსაც სამკურნალო მნიშვნელობა და ხელსაყრელი პირობები აქვთ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა მოწყობისათვის და დადგენილი წესით აქვთ მიჩენილი სარგებლობისათვის სამკურნალო-საკურორტო დაწესებულებებს. კურორტების მიწები საგანგებოდ უნდა იქნეს დაცული.

მოსახლეობის მკურნალობისა და დასვენების აუცილებელი პირობების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ყველა კურორტზე ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვის მიზნით წესდება სანიტარული დაცვის ოლქები. ამ ოლქების ფარგლებში აკრძალულია სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთები გადაეცეთ იმ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობა შეუთავსებელია ბუნებრივი სამკურნალო თვისებების დაცვასთან და მოსახლეობის დასვენების ხელსაყრელ პირობებთან.

მუხლი 40. ნაკრძალთა მიწები

ნაკრძალთა მიწებად ითვლება დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, რომელთა ფარგლებში არის ბუნებრივი ობიექტები, რომლებიც განსაკუთრებულ მეცნიერულ თუ კულტურულ ღირებულებას წარმოადგენენ. (ტიპიური ან იშვიათი ლანდშაფტები, მცენარეული და ცხოველთა ორგანიზმების ჯგუფები, იშვიათი გეოლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა, ცხოველთა სახეობანი და სხვ.).

ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არღვევს ნაკრძალთა ბუნებრივ კომპლექსებს ან საფრთხეს უქმნის განსაკუთრებული მეცნიერული თუ კულტურული ღირებულების მქონე ბუნებრივი ობიექტების დაცვას, აკრძალულია როგორც ნაკრძალთა ტერიტორიაზე, ისე ნაკრძალთა გარშემო დაწესებული დაცული ზონების ფარგლებში.

მუხლი 41. სამრეწველო, სატრანსპორტო, სხვა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ მიწების გადაცემა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის

სამრეწველო, სატრანსპორტო, სხვა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით მათ მიერ გამოუყენებელ მიწებს დროებითი სარგებლობისათვის აძლევენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო მიზნით იმ წესისა და პირობების შესაბამისად, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 42. სასამსახურო მინაზომი მიწები

სასამსახურო მინაზომი მიწები ეძლევათ ტრანსპორტის, სატყეო მეურნეობის, ხე-ტყის მრეწველობის, კავშირგაბმულობის, წყლის, თევზის, სამონადირეო მეურნეობის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებს.

სასამსახურო მინაზომი მიწები გამოიყოფა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სარგებლობაში არსებული მიწებიდან, ხოლო ასეთი მიწების უკმარისობის შემთხვევაში — სახელმწიფო მარაგის მიწებიდან და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან.

იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხას, რომლებსაც სასამსახურო მინაზომი მიწის მიღების უფლება აქვთ, სასამსახურო მინაზომი მიწების ოდენობას, მიწების მიცემის პირობებსა და ამ მიწებით სარგებლობის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდელობა.

ნაწილი V

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები

მუხლი 43. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებად ითვლება ის მიწები, რომლებიც დაფარულია ტყით, აგრეთვე, რომლებიც არ არიან დაფარული ტყით, მაგრამ განკუთვნილია სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის.

სახელმწიფო ტყესამეურნეო სწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მრეწველობის საჭიროებისათვის თავიანთ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან გამოუყენებელ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს გადასცემენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო მიზნით დროებითი სარგებლობისათვის, თუ ასეთი სარგებლობა შეესაბამება სატყეო მეურნეობის ინტერესებს.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებით სარგებლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ნაწილი VI

სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები

მუხლი 44. სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები

სახელმწიფო წყლის ფონდის მიწებად ითვლება ის მიწები, რომლებიც უკავიათ წყალსატევებს (მდინარეებს, ტბებს, წყალსაცავებს, არხებს, შიგა ზღვებს, ტერიტორიულ წყლებს და სხვ.), მყინვარებს, ჰიდროტექნიკურ და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებს, აგრეთვე მიწები, რომლებიც გამოიყოფა მიჩენის ზოლში წყალსატევების ნაპირებზე, დაცულ ზონაში და სხვ.

სახელმწიფო წყლის ფონდის მიწებით სარგებლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ნაწილი VII

სახელმწიფო მარაგის მიწები

მუხლი 45. სახელმწიფო მარაგის მიწები

სახელმწიფო მარაგის მიწებია ყველა მიწა, რომლებიც უვადო ან გრძელვადიანი სარგებლობისათვის არ გადასცემიათ მიწათმოსარგებლეებს.

სახელმწიფო მარაგის მიწები მუდმივი თუ დროებითი სარგებლობისათვის ეძლევათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე მოქალაქეებს ამ საფუძველთა მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესით.

ნაწილი VIII

სახელმწიფო მიწის კადასტრი

მუხლი 46. სახელმწიფო მიწის კადასტრი, მისი შემადგენელი ნაწილები და დანიშნულება

მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის წარმოებს სახელმწიფო მიწის კადასტრი, რომელიც შეიცავს სარწმუნო და საჭირო ცნობებს მიწების ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი დებულების შესაბამისად.

სახელმწიფო მიწის კადასტრში შედის მიწათსარგებლობის რეგისტარციის, მიწების რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვის, ნიადაგების ბონიტირებისა და მიწების ეკონომიური შეფასების მონაცემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მიწის კადასტრის მონაცემები ემსახურება მიწების ეფექტიანი გამოყენების ორგანიზაციისა და მათი დაცვის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებისა და სპეციალიზაციის, მიწების მელიორაციისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის მიზნებს, აგრეთვე მიწების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა სახალხო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელების მიზნებს.

მიწის კადასტრი წარმოებს სახელმწიფოს ხარჯზე სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით. სახელმწიფო მიწის კადასტრის წარმოების წესს, საკადასტრო დოკუმენტაციის ფორმებს, კადასტრის მონაცემების დაზუსტებისა და განახლების პერიოდულობას ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ნაწილი IX

სახელმწიფო მიწათმოწყობა

მუხლი 47. მიწათმოწყობა და მიწათმოწყობითი მოქმედება

მიწათმოწყობა შეიცავს სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემას, რომელთა მიზანია სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელება მიწითსარგებლობის დარგში.

სახელმწიფო მიწათმოწყობის ამოცანებია მიწების, რაც შეიძლება სრული, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება და მიწების დაცვა.

მიწათმოწყობაში შედის შემდეგი მიწათმოწყობითი მოქმედებანი:

1) ახალი მიწათსარგებლობის შექმნა, აგრეთვე არსებული მიწათსარგებლობის მოწესრიგება, ამასთან ზოლმიწიანობისა და მიწების განლაგებაში სხვა მოუხერხებლობის აღმოფხვრა. რაიონული დაგეგმვის სქემების საფუძველზე მიწათსარგებლობის საზღვრების დაზუსტება და შეცვლა.

2) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ტერიტორიების შიდასამეურნეო მოწყობა, ამასთან ეკონომიურად დასაბუთებული თესლბრუნვების შემოღება და ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის (სათიბების, საძოვრების, ბაღებისა და სხვ) მოწყობა, აგრეთვე ნიადაგების ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება;

3) სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახალხო-სამეურნეო ათვისებისათვის ახალი მიწების გაშოვლინება;

4) მიწის ნაკვეთების მიჩენა და ჩამორთმევა;

5) ქალაქის საზღვრის, დაბის საზღვრისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების საზღვრის დადგენა და შეცვლა;

6) ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, ნიადაგობრივი გეობოტანიკური და სხვა გამოკვლევისა და ძიების მოწყობა.

მიწათმოწყობა საპროექტო-საძიებო აგეგმვისა და გამოკვლევის სამუშაოთა ჩათვლით ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე. მიწათმოწყობას ახორციელებენ მიწათმოწყობის სახელმწიფო ორგანოები.

მუხლი 48. მიწათმოწყობის დოკუმენტაცია

მიწათმოწყობის პროცესში ადგენენ მიწათმოწყობის პროექტებს, აგრეთვე მიწით სარგებლობის უფლების დოკუმენტებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ საფუძველზე მე-10 მუხლით.

მიწათმოწყობის პროექტებს ადგენენ დაინტერესებულ მიწათმოსარგებლეთა მონაწილეობით და დამტკიცების შემდეგ გადააქვთ ნატურზე (ადგილზე), ამასთან დადგენილი ნიმუშის სამიჯნე ნიშნებით აღნიშნავენ მიწათსარგებლობის საზღვრებს.

მიწათმოწყობის წესით დადგენილი ტერიტორიის შიდასამეურნეო ორგანიზაცია სავალდებულოა კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის.

ნაწილი X

საადგილმამულო დავის გადაწყვეტა

მუხლი 49. საადგილმამულო დავის გადაწყვეტის წესი

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების საადგილმამულო დავას წყვეტენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დავას სხვა მოკავშირე რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკის ტერიტორიაზე მიწით სარგებლობის საკითხთა გამო განიხილავს კომისია, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე იქმნება დაინტერესებულ მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლებისაგან. თუ კომისიამ ვერ გამოიტანა შეთანხმებული გადაწყვეტილება, დავას აღნიშნულ საკითხებზე განიხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების მიწებზე და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიჩენილ მიწის ნაკვეთებზე სასოფლო დასახლებულ პუნქტებში ინდივიდუალურ ნაგებობათა თანამფლობელებს შორის დავას საერთო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის შესახებ იხილავენ სასამართლოები.

საადგილმამულო ურთიერთობასთან დაკავშირებულ ქონებრივ დავას იხილავენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნაწილი XI

პასუხისმგებლობა მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 50. პასუხისმგებლობა მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, გაჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცვლა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევენ მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

ის პირნი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ასეთ გარიგებაში, აგრეთვე:

მიწის ნაკვეთების თვითნებურ დაკავებაში.

მიწების უყაირათო გამოყენებასა და არაშრომითი შემოსავლის მიზნით მათ გამოყენებაში;

სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების გაფუჭებაში, საწარმოო ან სხვა ნარჩენებით და ჩამდინარე წყლებით მათ გაჭუჭყიანებაში.

აგრეთვე იმაში, რომ არ ასრულებენ მიწების გაუმჯობესების და ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიისა და სხვა ნიადაგების მდგომარეობის გამაუარესებელი პროცესებისაგან ნიადაგების დაცვის სავალდებულო ღონისძიებებს;

დროზე არ უბრუნებენ დროებით დაკავებულ მიწებს ან არ ასრულებენ ამ მიწების ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მოვალეობებს, რომ ვარგისი იყოს დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის;

სპობენ მიწათსარგებლობის საზღვრებს სამიჯნე ნიშნებს, ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობამ შეიძლება დააწესოს პასუხისმგებლობა მიწის კანონმდებლობის სხვა დარღვევებისთვისაც.

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები დაბრუნებულ უნდა იქნეს კუთვნილებისამებრ იმ ხარჯების აუნაზღაურებლად, რომლებიც უკანონო სარგებლობის დროს იყო გაწეული.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მიწათმოსარგებლეებს, რომლებიც სისტემატურად არღვევენ მიწათსარგებლობის წესებს, შეიძლება ჩამოერთვათ მათ მიერ არასწორად გამოყენებული მიწის ნაკვეთები.

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და მოქალაქენი მოვალენი არიან აანაზღაურონ მიწის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოწვეული ზარალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ

თავი I

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო, მის მიერ გაერთიანებულ ტერიტორიაზე, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და, კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში, საერთო სახელმწიფოებრივი და სოფლის, დაბის მშრომელთა ინტერესების შესაბამისად, წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო მონაწილეობს რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს ორი წლის ვადით ირჩევენ ამ საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორუფლებიანი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების მოწყობის წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე — შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების დებულებებით.

მუხლი 3. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო-სადაბო საბჭო, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შესაბამისად, საბჭოს ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას, ადგენს სოფლის, დაბის ბიუჯეტს, ხელმძღვანელობს დაქვემდებარებული საწარმოების დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, უზრუნველყოფს კანონების, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას, ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო კონტროლს უწევს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სებინაოკომუნალური მეურნეობის საწარმოთა, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, კავშირგაბმულობის დაწესებულებათა და ზემდგომი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციათა მუშაობას, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას, აკონტროლებს, მათ მიერ კანონმდებლობის დაცვას, ისმენს, ამ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს და კოორდინაციას უწევს მათს საქმიანობას მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

მუხლი 4. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს ხელმძღვანელობის კოლექტიურობის, საჯაროობის, ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატების და საბჭოსა და მოსახლეობის წინაშე აღმასრულებელი კომიტეტის რეგულარული ანგარიშგების, საბჭოს მუშაობაში მშრომელთა ფართოდ მიზიდვის საფუძველზე.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო მუშაობს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

მუხლი 5. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კანონით „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ", სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმების ბრძანებულებებით და დადგენილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით.

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სასოფლო, სადაბო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციით, კანონით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 6. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა შესრულება, რომლებიც მიღებულია მათთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში, სავალდებულოა საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, დაწესებულებისა და სხვა ორგანიზაციისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირთა და მოქალაქეთათვის.

მუხლი 7. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შექმნა, გაერთიანება, გაუქმება ან გადარქმევა, მათი ტერიტორიის საზღვრის დადგენა და შეცვლა, სასოფლო საბჭოების ცენტრების გადატანა, აგრეთვე მათი ადმინისტრაციული დაქვემდებარების შეცვლა წარმოებს საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ემყარება ტერიტორიის ეკონომიურ მთლიანობას, მოსახლეობის რაოდენობასა და მშრომელთა მომსახურების ინტერესებს; ამავე დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი სასოფლო, სადაბო საბჭოების აზრი.

ასეთივე წესით წარმოებს სოფლების, მუშათა საკურორტო და საგარეკო დაბების შექმნა-გაუქმება, აღდგენა, გადარქმევა და ადმინისტრაციული დაქვემდებარების შეცვლა.

მუხლი 8. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების შესაბამისად, შენობაზე, სადაც მიმდინარეობს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სესია — სესიის დროს, ხოლო სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე — მუდმივად, აღიმართება საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა.

მუხლი 9. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით; სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის გერბიანი ბეჭედი.

თავი II

მშრომელთა დეპუტატების, სასოფლო, სადაბო საბჭოს უფლებები და მოვალეობები

მუხლი 10. დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) ამტკიცებს მის საქვეუწყებო სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებს;

ბ) ამტკიცებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო საფინანსო გეგმებს;

გ) მონაწილეობს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა პერსპექტიული და წლიური გეგმების განხილვაში; წინადადებანი შეაქვს კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ზემდგომი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციათა საწარმოო-საფინანსო გეგმების პროექტებზე საბინაო მშენებლობის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, ადგილობრივი გზების მშენებლობის, ადგილობრივი ნედლეულისა და შრომითი რესურსების გამოყენების თაობაზე;

დ) ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან იღებს საგეგმო მაჩვენებელთა მონაცემებს საბჭოს ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანიზაციებისათვის და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

ე) აკონტროლებს აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, დადგენილი ფორმების მიხედვით აწარმოებს სამეურნეო დავთრებს, მოსახლეობის აღრიცხვას და ანგარიშგებას წარუდგენს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებს;

ვ) საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მოითხოვს და იღებს, როცა ეს საჭიროა, დადგენილ სტატისტიკურ და სხვა მონაცემებს მათი მუშაობის შესახებ.

მუხლი 11. საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) განიხილავს და ამტკიცებს სოფლის დაბის ბიუჯეტს; ამტკიცებს ბიუჯეტის საკასო საბრუ-

ნავ სახსრებს და შემოსავლისა და გასავლის კვარტალურ განაწილებას; ანაწილებს ბიუჯეტის სახსრებს გასავლის მუხლების მიხედვით; საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტის სახსრები გადააქვს განყოფილებიდან განყოფილებაში, აგრეთვე მუხლიდან მუხლში (გარდა ხელფასის ასიგნებათა); ორგანიზაციას უწევს სოფლის, დაბის ბიუჯეტის შესრულებას, განიხილავს და ამტკიცებს მისი შესრულების ანგარიშს;

ბ) ამტკიცებს იმ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვას, რომლებიც სოფლის, დაბის ბიუჯეტზე იმყოფებიან და უზრუნველყოფს მათს დროულად დაფინანსებას, გამოყოფილი თანხების სწორად გამოყენებას და ამ დაწესებულებათა შუშაკებისათვის დადგენილ ვადებში ხელფასის გაცემას; განსაზღვრავს ბიუჯეტში გადასახდელის და აგრეთვე ბიუჯეტიდან საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა დაფინანსების ოდენობას; გადაწყვეტს საკითხს სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებსა ან სახელმფიწო შრომით შემნახველ სალაროებში მიმდინარე ანგარიშის გახსნის შესახებ;

გ) უზრუნველყოფს, რომ მოსახლეობიდან შემოვიდეს საგადასახადო, სადაზღვევო და სხვა გადასახდელები, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ეწევა მუშაობას ამ გადასახდელთა მისაღებად და უზრუნველყოფს მათ დროულად ჩაბარებას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში; ხელს უწყობს დაბის ტერიტორიაზე სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მუშაობას აღნიშნული გადასახდელების მოსახლეობისაგან მისაღებად;

დ) კონტროლს უწევს, რომ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დროულად შეიტანონ გადასახდელები სოფლის, დაბის ბიუჯეტში, აგრეთვე კოლმეურნეობათა ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში, ისმენს კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებებს ამ საკითხებზე;

ე) შეღავათს იძლევა ადგილობრივ გადასახდელებსა და გამოსაღებებზე ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, და რაიონული, საქალაქო საფინანსო ორგანოების წინასწარი დასკვნით — სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად;

ვ) სოფლის, დაბის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ სახსრებს, აგრეთვე შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ეკონომიის შედეგად წლის დამლევისათვის წარმოქმნილ ჭარბი შემოსავლის თანხას, კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით, წარმართავს საქვეუწყებო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, მათ შორის სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომის შენობის მშენებლობისა და რემონტისათვის, აღმასკომისათვის ტრანსპორტის, ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად (დამუშავებულია ამ პუნქტში მითითებული სახსრების ამოღება სასოფლო, სადაბო საბჭოდან);

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებმა დადგენილი წესით გასცენ ფულადი სესხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, სასოფლო, სადაბო საბჭოსათვის გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში;

თ) ხელს უწყობს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მუშაობასა და ნებაყოფლობითი დაზღვევის განხორციელებას;

ი) ორგანიზაციას უწევს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრას; უზრუნველყოფს თვითდაბეგვრის სახსრებით იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც მოქალაქეთა ყრილობებმა დასახეს, და ანგარიშს აბარებს მოსახლეობას ამ სახსრების დახარჯვის შესახებ;

კ) გადაანაწილებს ჭარბ ქონებას და მოწყობილობას იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, რომლებიც სოფლის, დაბის ბიუჯეტზე იმყოფებიან.

მ უ ხ ლ ი 12. სოფლის მეურნეობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) კონტროლს უწევს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მირ კანონმდებლობის დაცვას, გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებას;

ბ) ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, საწარმოო-საფინანსო გეგმების და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, მიწის სავარგულების, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში, დამხმარე საწარმოთა ორგანიზაციასა და განვითარებაში, შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში; განიხილავს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობათა გამგეობების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, ბრიგადების, ფერმებისა და განყოფილებების ხელმძღვანელთა მოხსენებებს ამ საკითხებზე, აძლევს მათ რეკომენდაციებს, ხოლო როცა საჭიროა, შეაქვს თავისი წინადადებანი ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში;

გ) წარუდგენს ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შენიშვნებსა და წინადადებებს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებათა გამო; კონტროლს უწევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვას;

დ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ნაგებობათა მოვლას, მათ სწორად გამოყენებას, აგრეთვე მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების შენახვასა და გამოყენებას;

ე) ხელს უწყობს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო ურთიერთკავშირის განვითარებას, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას;

ვ) ახორციელებს კონტროლს, თუ როგორ ტარდება ღონისძიებები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მეურნეობათა ნათესებისა და ნარგავების დასაცავად, როგორ ასრულებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სატყეო მეურნეობები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი მავნებლებთან, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის სავალდებულო ღონისძიებებს, როგორ იცავენ უსაფრთხობის ტექნიკის წესებს მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა და კარანტინის წესების გამოყენების დროს;

ზ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მეცხოველეობის ფერმების ვეტერინალურ-სანიტარულ მდგომარეობას, ვეტერინალური წესების დაცვას მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში მყოფი პირუტყვის მოვლისას, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკარანტინო წესების დაცვასა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებას ცხოველთა დაავადებების თავიდან აცილების და ლიკვიდაციის მიზნით;

თ) აკონტროლებს, თუ როგორ მუშაობენ დამამზადებელი ორგანიზაციები საბჭოს ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ნამეტის შესასყიდად;

ი) აკონტროლებს სამელიორაციო სამუშაოთა გეგმების შესრულებას, ამოშრობილი მიწების ათვისებასა და სწორად გამოყენებას, ხელს უწყობს სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების გაშენებასა და დაცვას, ტყის მელიორაციისა და ტყის მოწყობის ღონისძიებათა განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ამ საკითხებზე შეაქვს თავისი წინადადებანი ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში;

კ) უზრუნველყოფს კონტროლს, რომ ყველა საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია და მოქალაქე ასრულებდეს კანონმდებლობას ბუნების დაცვის შესახებ, ახორციელებდეს ბუნებრივი რესურსებისა და ცხოველთა სამყაროს შენარჩუნებისა და აღდგენის ღონისძიებებს; თვალყურს ადევნებს ნადირობისა და თევზჭერის დადგენილი წესების დაცვას.

მუხლი 13. მიწათსარგებლობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) ახორციელებს კონტროლს, რომ საბჭოს ტერიტორიაზე ყოველი მიწათმოსარგებლე იცავდეს კანონმდებლობას მიწათსარგებლობის შესახებ, ასრულებდეს ეროზიასთან, ნიადაგის დამლაშიანებასა და მინდვრების დაჭაობებასთან ბრძოლის ღონისძიებებს;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს ნაკვეთების გამოყოფის შესახებ სოფლის დასახლებული პუნქტის, დაბის მიწებიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ფარგლების შესაბამისად;

გ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკარმიდამო ფონდის სწორად გამოყენებას, საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების დაცვას; წყვეტს მოქალაქეთა შორის მიწის გამო წარმოქმნილ დავას;

დ) საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა შორის ანაწილებს სასოფლო, სადაბო საბჭოსათვის სახელმწიფო მარაგიდან დადგენილი წესით გამოყოფილ მიწას სამოსტნე, სათიბ და საძოვარ ნაკვეთებად

მუხლი 14. მრეწველობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ სამრეწველო საწარმოთა მუშაობას და უზრუნველყოფს მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას;

ბ) აწყობს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებში კანონმდებლობის დაცვის კონტროლს;

გ) ეხმარება საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოებს წარმოების განვითარებაში, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, მუშებისა და მოსამსახურეების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში, განიხილავს საწარმოთა ხელმძღვანელების მოხსენებებს ამ საკითხებზე, აძლევს მათ რეკომენდაციებს, ხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო საჭიროების შემთხვევაში შეაქვს თავისი წინადადებანი ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში;

დ) ზომებს იღებს, რათა განვითარდეს ფართო მოხმარების საქონლისა და სამშენებლო მასალათა წარმოება ადგილობრივი ნედლეულისა და საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოთა წარმოების ნარჩენების ბაზაზე, აგრეთვე რათა გადამუშავებულ იქნას სოფლის მეურნეობის პროდუქტები, განვითარდეს ხალხური რეწვა და ხელოსნობა; თვალყურს ადევნებს არამადნეული წიაღისეულის (თიხა, ქვიშა, ქვა, ტორფი და ა. შ.) სწორად დამუშავებას; ავლენს ადგილობრივი ნედლეულისა და სათბობის დამატებით რესურსებს და, საჭიროების შემთხვევაში, ზემდგომ ორგანოებში შეაქვს წინადადებანი მათი გამოყენების შესახებ;

ე) იღებს ზომებს თევზჭერისა და სამონადირეო სარეწების გასავითარებლად.

მუხლი 15. მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) განიხილავს და ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული დასახლებული პუნქტების აგეგმვისა და განაშენიანების პროექტებს, კონტროლს უწევს განაშენიანების გეგმების შესრულებას; შეაჩერებს მშენებლობას, თუ იგი წარმოებს დასახლებული პუნქტის განაშენიანების გეგმის დარღვევით;

ბ) კონტროლს უწევს, თუ როგორ მიმდინარეობს საბჭოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისა და კომუნალური საწარმოების მშენებლობა, განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს ამ ობიექტთა მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ;

გ) ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი საბჭოებისათვის გამოყოფილი სახსრებით საცხოვრებელი სახლების, კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა (წყალსადენის, კანალიზაციის, ენერგოთბომიმმარაგებისა და გაზის მეურნეობის, წყალსატევების, ჭების, აბანოებისა და სხვ.) მშენებლობას;

დ) საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, საწარმოებთან და სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმებით წყვეტს საკითხს საბინაო-კომუნალური მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ობიექტთა რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების ერთობლივი გამოყენების შესახებ და, თუ აუცილებელია, ახდენს ამ სახსრების ცენტრალიზაციას;

ე) ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გადასაყვან საშუალებათა მშენებლობასა და რემონტს, აკონტროლებს მათს მოვლა-პატრონობას, ამ სამუშაოთა განხორციელებაში დადგენილი წესით ჩაებამს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს;

ვ) ახორციელებს კონტროლს, თუ როგორ ასრულებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის გეგმებს;

ზ) კონტროლს უწევს, თუ როგორ მუშაობენ სატრანსპორტო ორგანიზაციები საბჭოს ტერიტორიაზე საავტომობილო და სხვა სახის ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურებისათვის;

თ) განკარგულებებს აძლევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომ გამოყონ ტრანსპორტი სტიქიურ უბედურებასთან, ხანძართან საბრძოლველად, ავადმყოფთა გადასაყვანად, მძიმე ავადმყოფებთან მედიცინის მუშაკთა გასაგზავნად და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში;

ი) ეხმარება კავშირგაბმულობის ორგანოებს ადგილობრივი სატელეფონო და საფოსტო კავშირის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის განვითარებაში, კავშირგაბმულობის სახაზო ნაგებობათა რემონტსა და დაცვაში; კონტროლს უწევს კავშირგაბმულობის განყოფილებათა და საგენტოების მუშაობას საფოსტო გზავნილებათა გადატანისა და საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის მათი ჩაბარების დარგში.

მუხლი 16. საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ საბინაო-კომუნალურ მეურნეობას; უზრუნველყოფს მის გამგებლობაში მყოფი საცხოვრებელი სახლების, კომუნალური საწარმოების, ადმინისტრაციული და სხვა შენობების სწორ ექსპლოატაციას, ორგანიზაციას უწევს მათს კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს; უზრუნველყოფს საქვეუწყებო არასაცხოვრებელი ნაგებობების სწორ სამეურნეო გამოყენებას;

ბ) კონტროლს უწევს მის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებათა და ზემდგომი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციების საქმიანობას საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგში, მათი კუთვნილი საბინაო ფონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის, კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა სწორ ექსპლოატაციას;

გ) ანაწილებს საბჭოს გამგებლობაში არსებულ საბინაო ფონდს; ამტკიცებს ადმინისტრაციისა და პროფესიულ კავშირთა საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების ერთობლივ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახლებში საცხოვრებელი ფართობის გაცემის შესახებ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს, რათა სათბობით, განათებით, ინვენტარით უზრუნველყოს სოფლის, დაბის ბიუჯეტზე მყოფი სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, შეაკეთოს მათი შენობები და საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნას ამ დაწესებულებათა მუშაკებს; აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებაში მონაწილეობის მისაღებად იზიდავს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს, მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად;

ე) ხელმძღვანელობს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, ამ სამუშაოებში აბამს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს, მიუხედავად მათი საუწყებო დაქვემდებარებისა; კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების თანხმობით აერთიანებს მათ მიერ კეთილმოწყობისათვის გამოყოფილ სახსრებს; კონტროლს უწევს საწარმოო ტერიტორიათა კეთილმოწყობას; აწყობს დასახლებული პუნქტების გამწვანებას; ახორციელებს ღონისძიებებს მწვანე ნარგავების შენარჩუნებისა და მოვლის, წყალსატევებისა და მშრომელთა დასვენების ადგილების დაცვისათვის; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელწოდებებს ანიჭებს დასახლებული პუნქტების ქუჩებს, მოედნებსა და სხვ., აწესებს სახლების ნუმერაციას;

ვ) ამტკიცებს და ათავისუფლებს თანამდებობიდან საბჭოსადმი დაქვემდებარებული საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოთა ხელმძღვანელებს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მმართველობის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით;

ზ) ორგანიზაციას უწევს დასახლებულ პუნქტებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას; ხელმძღვანელობს ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების მუშაობას;

თ) ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობს მედლებით „ხანძარზე მამაცობისათვის“ და „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დასაჯილდოებლად წარდგენის შესახებ;

ი) ახორციელებს ღონისძიებებს სტიქიურ უბედურებათა შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის, საჭიროების დროს მოსახლეობას მოუხმობს, დადგენილი წესით, სტიქიური უბედურებასთან ბრძოლის და მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის;

კ) უზრუნველყოფს სასაფლაოებისა და ძმათა საფლავების სათანადო მოვლას.

მუხლი 17. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო;

ა) კონტროლს უწევს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საკოლმეურნეო ვაჭრობას საბჭოს ტერიტორიაზე; ამტკიცებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა განლაგებისა და სპეციალიზაციის გეგმებს; ხელს უწყობს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვას;

ბ) ზომებს იღებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციისათვის, სამრეცხაოების, საპარიკმახეროების, ფეხსაცმლისა და სამკერვალო სახელოსნოების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სამეურნეო მოხმარების საგნების შემკეთებელი სახელოსნოების ქსელის გაფართოებისათვის, აკონტროლებს მათს მუშაობას; ხელს უწყობს საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალ სახეობათა და ფორმათა დანერგვას;

გ) კონტროლს უწევს მაღაზიების, სასადილოების, საჩაიეების, ბაზრების მუშაობას, ვაჭრობის წესების, დაწესებული ფასების დაცვას და მყიდველთა კულტურულ მომსახურებას, სამრეწველო და სასურსათო საქონლის დროულად შემოზიდვას მოსახლეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;

დ) აკონტროლებს სამომხმარებლო კოოპერაციის იმ საწარმოთა მუშაობას, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამუშავებასა და გაყიდვას;

ე) ისმენს ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობების ხელმძღვანელთა მოხსენებებს ვაჭრობის მდგომარეობის, საქონელბრუნვის დადგენილი გეგმებისა და სხვა საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელების მოხსენებებს მათი საწარმოო საქმიანობის თაობაზე;

ვ) კონტროლს უწევს სამომხმარებლო საზოგადოების წესდების დაცვას;

ზ) საყოფაცხოვრებო მომსახურების მმართველობის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით ამტკიცებს და ათავისუფლებს თანამდებობიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების იმ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც საბჭოს ექვემდებარებიან;

თ) ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით აწესებს სავაჭრო დაწესებულებათა საზოგადოებრივი, კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის საათებს, რომლებიც მოსახერხებელი იქნება მოსახლეობისათვის, კონტროლს უწევს მათი მუშაობის დაწესებული დროის დაცვას.

მუხლი 18. სახალხო განათლების დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) უზრუნველყოფს საყოველთაო სავალდებულო სწავლებას, აწარმოებს სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას;

ბ) კონტროლს უწევს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მუშაობას;

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტს საკითხს სოფლის, დაბის ბიუჯეტზე მყოფ გახანგრძლივებულ დღის სკოლებში (ჯგუფებში) კვების საფასურისაგან ბავშვთა განთავისუფლების შესახებ.

დ) ახორციელებს ღონისძიებებს სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების ქსელის გასაფართოებლად; მხარს უჭერს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების ინიციატივას მათი სახსრებით სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი ან სკოლის გარეშე მუდმივი და სეზონური დაწესებულებების მშენებლობაში, წყვეტს საბჭოს ტერიტორიაზე მათი განლაგების საკითხებს;

ე) ზომებს იღებს, რომ მშრომელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები მოეწყონ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში, აგრეთვე მოქალაქეთა ოჯახებში აღსაზრდელად, კონტროლს უწევს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საბავშვო სახლების მუშაობას; ახორციელებს ღონისძიებებს არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის თავიდან ასაცილებლად;

ვ) ზომებს იღებს, რათა უზრუნველყოს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სოფლად მცხოვრებ მოსწავლეთა უფასო მგზავრობა სკოლამდე და უკან, საცხოვრებელ ადგილამდე;

ზ) ამტკიცებს და ათავისუფლებს თანამდებობიდან საბჭოსადმი დაქვემდებარებული სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელებს, სახალხო განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით;

თ) სკოლებთან ქმნის საყოველთაო სწავლების ფონდს ბიუჯეტის სახსრების და კოლმეურნეობათა, სამომხმარებლო საზოგადოებათა და პროფკავშირთა სახსრების ხარჯზე. ანაწილებს საყოველთაო სწავლების ფონდს სკოლებს შორის, კონტროლს უწევს ამ ფონდის სწორად გამოყენებას;

მუხლი 19. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს საბჭოსადმი დაქვემდებარებული სოფლის კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეებისა და კულტურის სხვა დაწესებულებათა მუშაობას, კონტროლსა და კოორდინაციას უწევს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობას, მათი დაქვემდებარების მიუხედავად. ზომებს იღებს ამ დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად;

ბ) კონტროლს უწევს საბჭოსადმი დაქვემდებარებულ კულტურის დაწესებულებათა სპეციალური სახსრების სწორად გამოყენებას, აგრეთვე კოლმეურნეობების, სამომხმარებლო საზოგადოებების კულტფონდთა სახსრების გადარიცხვისა და ხარჯვის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში მათთან შეთანხმებით იღებს ზომებს აღნიშნული სახსრების ცენტრალიზებული წესით გამოყენებისათვის;

გ) აწყობს ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს მოსახლეობისათვის; ხელს უწყობს სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას;

დ) ამტკიცებს და ათავისუფლებს თანამდებობიდან საბჭოსადმი დაქვემდებარებულ კულტურის დაწესებულებათა ხელმძღვანელებს კულტურის დაწესებულებათა მმართველობის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით;

ე) ახორციელებს ღონისძიებებს მოსახლეობის რეგულარული კინომომსახურების უზრუნველყოფისათვის, ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარებისათვის;

ვ) აწყობს მასობრივ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო დღესასწაულებთან, ღირსშესანიშნავ თარიღებთან; ხელს უწყობს ყოფაცხოვრებაში ახალ სამოქალაქო წესჩვეულებათა დანერგვას;

ზ) უზრუნველყოფს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული, მათ შორის რევოლუციური და მემორიალური ძეგლების, სამხედრო და შრომითი დიდების, კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურის, არქეოლოგიის ძეგლებისა და, აგრეთვე, ნაკრძალების დაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 20. ჯანმრთელობის დაცვის, დედათა და ბავშვთა დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) ახორციელებს ღონისძიებებს მოსახლეობის უფასო სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად; ხელმძღვანელობს სოფლის, დაბის ბიუჯეტზე მყოფ სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობას; აკონტროლებს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ ზემდგომი დაქვემდებარების სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობას;

ბ) ზომებს იღებს, რომ საბჭოს ტერიტორიაზე რაციონალურად იქნას განლაგებული საუბნო საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები, საფერშლო-სამეანო პუნქტები, აფთიაქები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები;

გ) ისმენს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოხსენებებს მოსახლეობის სამედიცინო და სანიტარულ-პროფილაქტიკური მომსახურების მდგომარეობის შესახებ;

დ) ამტკიცებს და ათავისუფლებს თანამდებობიდან საბჭოსადმი დაქვემდებარებულ სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით;

ე) ეხმარება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სანიტარულ-პროფილაქტიკური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში, მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციაში; კონტროლს უწევს დასახლებული პუნქტების, წყალმომარაგების ობიექტების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სხვა დაწესებულებების სანიტარულ მდგომარეობას;

ვ) ეპიდემიურ ინფექციურ დაავადებათა გაჩენის შემთხვევაში ზომებს იღებს, რათა გამოიყენონ შენობები ავადმყოფების მოსათავსებლად, ატარებს საკარანტინო ხასიათის ღონისძიებებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას;

ზ) ახორციელებს ღონისძიებებს მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისათვის, სპორტული მოედნებისა და სხვა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისათვის;

თ) უზრუნველყოფს დედათა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

ი) აღძრავს შუამდგომლობას ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად და „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლით“ დასაჯილდოებლად მრავალშვილიანი დედების წარდგენის შესახებ.

მუხლი 21. შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) ხელს უწყობს მოქალაქეთა შრომით მოწყობას, ეხმარება მათ სპეციალობის შეძენაში; პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად აკონტროლებს, თუ როგორ იცავენ შრომის კანონმდებლობას, შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის წესებს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში; კონტროლს უწევს მოზარდთა და ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნის წესების დაცვას;

ბ) უზრუნველყოფს ინვალიდების, სამხედრო მოსამსახურეების, დაღუპული მეომრებისა და პარტიზანების ოჯახთა წევრების შრომითს მოწყობას, კონტროლს უწევს, რომ ამ პირთ მიეცეთ კანონმდებლობი თდადგენილი შეღავათები და უპირატესობანი; ხელს უწყობს ინვალიდთა პროფესიულ სწავლებას;

გ) კონტროლს უწევს საპენსიო კანონმდებლობის დაცვას; საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეობებსა და მათი ოჯახების წევრებს პენსიების დანიშვნაში; აკონტროლებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოებისა და, აგრეთვე კოლმეურნეობების საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების მუშაობას; ამოწმებს კოლმეურნეთა შრომის წიგნაკის სწორად წარმოებას და საარქივო დოკუმენტების შენახვას კოლმეურნეობებში;

დ) სოფლის, დაბის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში დახმარებას უნიშნავს იმ პირთ, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება;

ე) წინადადებანი შეაქვს ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების დანიშვნის, სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მოქალაქეებისათვის ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ; ხელს უწყობს ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომ მათ დაენიშნოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარება;

ვ) ზრუნავს მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

ზ) სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მეშვეობით ახორციელებს ღონისძიებებს ინვალიდთა და ღრმად მოხუცებულთა სახლებში იმ პირთა მოსაწყობად, ვინც ამას საჭიროებს; ხელს უწყობს ინვალიდთა და ღრმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცებულთა საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო სახლების შექმნას; აკონტროლებს ამ სახლების მუშაობას.

მუხლი 22. სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) კონტროლს უწევს, რომ კანონმდებლობას იცავდნენ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები, დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირნი და მოქალაქენი; უზრუნველყოფს მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, საბინაო თუ სხვა პირად ან ქონებრივ უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვას;

ბ) აუქმებს სასოფლო, სადაბო საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგება; შეაჩერებს მიწათსარგებლობის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და განაშენიანების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვის საკითხებზე საბჭოს ტერიტორიაზე მყოფ კოლმეურნეობათა და სოფლის კოოპერატივთა გამგეობების, კოლმეურნეთა და სამომხმარებლო საზოგადოების მეპაიეთა კრებების გადაწყვეტილებათა, აგრეთვე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, თუ ისინი კანონმდებლობის საწინააღმდეგოა, და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

გ) ეხმარება საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფებს;

დ) ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას; კონტროლს უწევს მილიციის უბნის რწმუნებულის მუშაობას საბჭოს ტერიტორიაზე;

ე) იღებს მოქალაქეებს კანონით დადგენილ ვადებში, განიხილავს მშრომელთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს და იღებს საჭირო ზომებს; აკონტროლებს, თუ როგორ იცავენ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში მშრომელთა წინადადებებს, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესს;

ვ) აწარმოებს დადგენილი წესით მოქალაქეთა ჩაწერას და ამოწერას; უზრუნველყოფს თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიერ საპასპორტო სისტემის წესების დაცვას;

ზ) ადმინისტრაციულ სასჯელს ადებს თანამდებობის პირთ და მოქალაქეებს, რომელნიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, დასახლებულ პუნქტებში სისუფთავის დაცვის, კეთილმოწყობისა და განაშენიანების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და სპორტიანი სასმელებით ვაჭრობის წესებს, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათესების წანახედისა და სხვა დარღვევებისათვის იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ კანონმდებლობით;

თ) ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით, საჭიროების შემთხვევაში, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან ქმნის ადმინისტრაციულ კომისიას სამართალდარღვევების იმ საქმეთა განსახილველად, რომელთა გამო გათვალისწინებულია სასჯელი ადმინისტრაციული წესით, აკონტროლებს მის საქმიანობას;

ი) საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას;

კ) ნიშნავს მეურვეებსა და მზრუნველებს, კონტროლს უწევს, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას;

ლ) რეგისტრაციაში ატარებს საკოლმეურნეო (გლეხთა) კომლის საოჯახო-ქონებრივ გაყოფას;

მ) აწარმოებს სანოტარო მოქმედებას საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შესაბამისად;

ნ) მოქალაქეებს აძლევს პიროვნების, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს;

ო) იღებს ზომებს უპატრონო ქონების, აგრეთვე მემკვიდრეობის წესით სახელმწიფოსათვის გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობისა და გამოყენებისათვის;

პ) კონტროლს უწევს რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

მუხლი 23. თავდაცვითი მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო:

ა) უზრუნველყოფს, რომ ყველა მოქალაქე ზუსტად ასრულებდეს კანონს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ; დადგენილი წესით აწარმოებს სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა პირველადს აღრიცხვას; აუწყებს სამხედრო ვალდებულებსა და გასაწვევებს სამხედრო კომისარიატში გამოძახების შესახებ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს უწყობს მათს დროულად გამოცხადებას გამოძახების შესაბამისად;

ბ) ზომებს იღებს სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციისათვის;

გ) უზრუნველყოფს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებიდან თადარიგში დათხოვნილ და დემობილიზებულ მოქალაქეთა შრომითს მოწყობას;

დ) ეწევა სათანადო მუშაობას მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

მუხლი 24. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ კანონით „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ", შეუძლია გადაწყვიტოს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებიც, რომლებიც მის გამგებლობას მიეკუთვნება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

თავი III

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

1. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სესია

მუხლი 25. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიას იწვევს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სულ ცოტა წელიწადში ექვსჯერ, ანუ ორ თვეში ერთხელ.

სასოფლო, სადაბო საბჭოს სესია შეიძლება მოწვეულ იქნას აგრეთვე სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

მთიან რაიონებში, სადაც სჭარბობს წვრილი დასახლებული პუნქტები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება სასოფლო საბჭოს სესია მოწვეულ იქნას სულ ცოტა წელიწადში ოთხჯერ, ახლად არჩეულ სასოფლო, სადაბო საბჭოს პირველ სესიას იწვევს წინა მოწვევის სასოფლო სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების შემდეგ. სესიას ხსნის სასოფლო, სადაბო საბჭოს ერთ-ერთი უხუცესი დეპუტატი.

ახლად შექმნილ სასოფლო, სადაბო საბჭოში სასოფლო, სადაბო საბჭოს პირველ სესიას იწვევს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირისა სასოფლო საბჭოს შექმნის ან მუშათა, საკურორტო, სააგარაკო დასახლების კატეგორიისათვის დასახლებული პუნქტის მიკუთვნების დღიდან ან დღიდან საბჭოს არჩევნების მოწყობისა.

მუხლი 26. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიის მოწვევის დროსა და ადგილს, აგრეთვე საკითხებს, რომლებიც შეაქვთ საბჭოს განსახილველად, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს დეპუტატებსა და მოსახლეობას არა უგვიანეს ათი დღისა სესიის გახსნამდე.

მუხლი 27. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიას ხსნის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. სესიის გასაძღოლად სასოფლო, სადაბო საბჭო დეპუტატთა შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

მუხლი 28. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სესია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის არანაკლებ ორი მესამედისა.

სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ზემდგომი საბჭოების დეპუტატებს სათათბირო ხმის უფლებით, სესიაზე აგრეთვე შეიძლება მოწვეულ იქნან მოქალაქენი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელნი.

მუხლი 29. საკითხები მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიაზე განსახილველად შემოაქვთ აღმასრულებელ კომიტეტს, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივ კომისიებსა და დეპუტატებს.

წინადადებანი სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიის დღის წესრიგის შესახებ შეიძლება წარადგინონ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობათა გამგეობებმა, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციათა ადმინისტრაციამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე დაბის მოქალაქეთა საერთო კრებებმა და სოფლის ყრილობებმა.

სესიის დღის წესრიგსა და მუშაობის წესს ამტკიცებს სასოფლო, სადაბო საბჭო.

მუხლი 30. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიაზე შეიძლება გადაწყდეს ყოველი საკითხი, რომელიც შედის სასოფლო, სადაბო საბჭოს კომპეტენციაში, ამასთან მხოლოდ სესიებზე შეიძლება გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

ა) დეპუტატთა რწმუნებების ცნობა; დეპუტატთა რწმუნებების მოხსნა მათი პირადი განცხადებით;

ბ) გადაწყვეტილებების მიღება დეპუტატთა შეკითხვების გამო;

გ) აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; მუდმივი კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიების შექმნა და მათი შემადგენლობის შეცვლა;

დ) აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მუშაობის ანგარიშების დამტკიცება;

ე) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან ადმინისტრაციული კომისიის შექმნა;

ვ) საქვეუწყებო სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების დამტკიცება;

ზ) დასახლებული პუნქტის განაშენიანებისა და დაგეგმარების პროექტების განხილვა;

თ) ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმების დამტკიცება;

ი) სოფლის, დაბის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

კ) სოფლის, დაბის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებისა და გასავლის ნაწილის ეკონომიის შედეგად მიღებული დამატებითი სახსრების წარმართვა;

ლ) საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სახსრების გაერთიანება და წარმართვა;

მ) სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დაწესებულებების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელების დამტკიცება და გათავისუფლება თანამდებობიდან;

ნ) სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებებზე შენიშვნებისა და წინადადებების განხილვა;

ო) მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შექმნის, გაერთიანების, გაუქმების ან გადარქმევის, მათი ტერიტორიის საზღვრის დადგენის და შეცვლის, სასოფლო საბჭოების ცენტრების გადატანის, მათი ადმინისტრაციული დაქვემდებარების შეცვლის, აგრეთვე სოფლების, მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბების შექმნის, გაუქმების, აღდგენის, გადარქმევის ან ადმინისტრაციული დაქვემდებარების შეცვლის შესახებ ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში წარდგინებათა დამტკიცება.

მუხლი 31. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს გადაწყვეტილებების მიღება ხდება ღია კენჭისყრით, საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

სასოფლო, სადაბო საბჭოს გადაწყვეტილებებს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის არჩევის ან შეცვლის შესახებ, აგრეთვე სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიის ოქმს ხელს აწერენ საბჭოს სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 32. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს გადაწყვეტილებებს ატყობინებენ დაინტერესებულ ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს არაუგვიანეს ხუთი დღის ვადისა.

სასოფლო, სადაბო საბჭოს გადაწყვეტილებებში დასახული წინადადებანი და რეკომენდაციები საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ზემდგომი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციების მიმართ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა განიხილონ ხუთი დღის განმავლობაში და შედეგები აცნობონ საბჭოს.

მუხლი 33. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს გადაწყვეტილებანი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, შეიძლება გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომმა საბჭომ და შეაჩეროს ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

2. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

მუხლი 34. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არის სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო, რომელსაც ირჩევენ დეპუტატთა შემდეგი შემადგენლობით: აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და აღმასკომის 2-4 წევრი.

სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასკომის რიცხობრივ შემადგენლობას საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს სასოფლო, სადაბო საბჭო.

მუხლი 35. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ აბარებს ანგარიშს მის ამრჩევ საბჭოს, აგრეთვე ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 36. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სასოფლო, სადაბო საბჭოს და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხელმძღვანელობს სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას საბჭოს ტერიტორიაზე.

სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას, წყვეტს საკითხებს, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედის საბჭოს გამგებლობაში, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ამ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად უნდა გადაწყდეს მხოლოდ სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიებზე.

მუხლი 37. სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას იწვევენ საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ორჯერ მაინც, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს იღებს აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობა ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებებს ხელს აწერს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — თავმჯდომარის მოადგილე.

აღმასრულებელი კომიტეტი უფლებამოსილია გააუქმოს ან შეცვალოს ეს განკარგულებები.

მუხლი 38. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი შეიძლება გააუქმოს სასოფლო, სადაბო საბჭომ და ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

მუხლი 39. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უზრუნველყოფს საბჭოს სესიების მომზადებას, აწყობს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების მოსახლეობის მიერ წინასწარ განხილვას.

მუხლი 40. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საჭირო დახმარებას უწევს დეპუტატებს მათ მიერ დეპუტატის მოვალეობათა შესრულებაში, ამომრჩევლისათვის ანგარიშის ჩაბარების მომზადებასა და მოწყობაში, დეპუტატებს აცნობებს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობას, აგრეთვე საბჭოს სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო მიღებული ღონისძიებების და სესიებს შორის პერიოდში ჩატარებული მუშაობის ძირითადი საკითხების შესახებ.

მუხლი 41. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საბჭოს სესიებს შორის პერიოდში, კოორდინაციას უწევს საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობა, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას საბჭოს სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში.

მუხლი 42. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავისი მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც აბარებს ანგარიშს სასოფლო, სადაბო საბჭოს, აგრეთვე მშრომელთა კრებებსა და მოქალაქეთა ყრილობებს.

მუხლი 43. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს საბჭოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, აგრეთვე რაიონული, საქალაქო სახალხო სასამართლოების არჩევნების მომზადება-ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

მუხლი 44. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას და სასოფლო, სადაბო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, იძლევა განკარგულებებს ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე არის სოფლის, დაბის ბიუჯეტის კრედიტთა განმკარგულებელი და სასოფლო, სადაბო საბჭოს მიმდინარე ანგარიშის განმკარგულებელი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში ან სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში.

მუხლი 45. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ამზადებს მასალებს სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიებისათვის, მისი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებისათვის, აწარმოებს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომების ოქმებს, თვალყურს ადევნებს, რომ სასოფლო, სადაბო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები დროულად ეცნობოს აღმსრულებლებს, პასუხს აგებს საქმის წარმოების, აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის, სასოფლო, სადაბო საბჭოს საბუთების შენახვისათვის, ასრულებს სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მისთვის დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 46. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ინარჩუნებს თავის რწმუნებებს მანამდე, ვიდრე ახლად არჩეული სასოფლო, სადაბო საბჭო შექმნიდეს აღმასრულებელ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიები

მუხლი 47. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს თავისი გამგებლობის საკითხთა წინასწარი განხილვისა და მომზადების, საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ხელის შეწყობის მიზნით დეპუტატთა რიცხვიდან ქმნის მუდმივ კომისიებს.

მუხლი 48. მუდმივ კომისიებს ირჩევენ სასოფლო, სადაბო საბჭოს რწმუნების ვადით და ისინი მთელი თავიანთი საქმიანობით ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელნი არიან სასოფლო, სადაბო საბჭოს წინაშე.

მუხლი 49. მუდმივი კომისიები თავის მუშაობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების დებულებით.

4. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი

მუხლი 50. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატების რწმუნებანი იწყება მისი არჩევის დღიდან და მთავრდება ახალი მოწვევის სასოფლო, სადაბო საბჭოს არჩევნების დღეს.

მუხლი 51. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასოფლო, სადაბო საბჭოს მუშაობაში, შეასრულოს მისი დავალებანი, მუდმივი კავშირი იქონიოს ამომრჩევლებთან, აუწყოს მათ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები, მიაღწიოს ამომრჩეველთა განწესებისა და წინადადების განხორციელებას, მიიღო მოქალაქენი და დაეხმაროს მათ განცხადებებსა და საჩივრებში დაყენებული საკითხების გადაწყვეტაში.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან მომიჯნავე საარჩევნო ოლქებში, ამომრჩეველთა შორის ერთობლივი მუშაობის ჩატარების მიზნით შეიძლება გაერთიანდნენ დეპუტატთა ჯგუფებად.

მუხლი 52. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტსა და მუდმივ კომისიებს განსახილველად წარუდგინოს წინადადებანი თავისი საქმიანობის მსვლელობაში წამოჭრილ საკითხებზე.

მუხლი 53. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს სესიაზე შეკითხვით მიმართოს სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, დაწესებულებისა და სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებსაც შეკითხვით მიმართავს დეპუტატი, ვალდებული არიან შეკითხვას უპასუხონ საბჭოს სესიაზეევე, ხოლო თუ პასუხის მოსამზადებლად საჭიროა უფრო მეტი დრო — იმ ვადაში, რომელსაც დაუწესებს სასოფლო, სადაბო საბჭო. დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე საბჭო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მუხლი 54. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი თავის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გამო მიმართავს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ისინი ვალდებული არიან პასუხი გასცენ დეპუტატს არაუგვიანეს ხუთი დღისა.

მუხლი 55. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატს შესაბამისი საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების დავალებით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობის შემოწმებაში და შემოწმების შედეგების შესახებ წარადგინოს თავისი წინადადებანი.

მუხლი 56. საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს თავისი მუშაობისა და სასოფლო, სადაბო საბჭოს მუშაობის შესახებ.

სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი ანგარიშს აბარებს სულ ცოტა წელიწადში ორჯერ, ამომრჩეველთა მოთხოვნით დეპუტატის ანგარიშის ჩაბარება შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ დროს.

მუხლი 57. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ სამუშაოდან საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ანდა გარიცხონ კოლმეურნეობიდან, აგრეთვე არ შეიძლება საბჭოს ტერიტორიაზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისი მიცემა ან დაპატიმრება, თუ არ იქნა სასოფლო, სადაბო საბჭოს თანხმობა, ხოლო სასოფლო, სადაბო საბჭოს სესიებს შორის პერიოდში — აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა.

მუხლი 58. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი სესიისათვის და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომისათვის, რომლის შემადგენლობაშიც იგი არჩეულია, თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და ენახება ხელფასი ან საშუალო გამომუშავება მუდმივი მუშაობის ადგილას.

მუხლი 59. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს მისთვის გამოცხადებულ ნდობას, შეიძლება გაიწვიონ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ნებისმიერ დროს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 60. იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატი მუდმივ საცხოვრებლად გადავა სასოფლო, სადაბო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ან სხვა მიზეზის გამო შესაძლებლობა არ ექნება, შეასრულოს დეპუტატის მოვალეობანი თავის საარჩევნო ოლქში, იგი მიმართავს სასოფლო, სადაბო საბჭოს განცხადებით დეპუტატის რწმუნებათა მოხსნის შესახებ. სასოფლო, სადაბო საბჭო მორიგ სესიაზე განიხილავს დეპუტატის განცხადებას და იღებს ამ საკითხზე გადაწყვეტილებას, რასაც აუწყებს ამომრჩევლებს.

მუხლი 61. მშრომელთა დეპუტატის სასოფლო, სადაბო საბჭოს დეპუტატის რწმუნებანი ვადამდე შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები დეპუტატს გაიწვევენ, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას დეპუტატის მიერ რწმუნებათა მოხსნის თაობაზე.

მუხლი 62. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შემადგენლობიდან დეპუტატის გასვლის შემთხვევაში, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შესაბამის საარჩევნო ოლქში ნიშნავს ახალი დეპუტატის არჩევნებს არაუგვიანეს ორი თვის ვადისა დეპუტატის გასვლის შემდეგ.

5. მოსახლეობის მონაწილეობა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს მუშაობაში. მოქალაქეთა საერთო კრებები, სოფლის ყრილობები

მუხლი 63. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო უზრუნველყოფს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში, აბამს მათ საბჭოს საქმიანობაში, ხელმძღვანელობს მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანოების მუშაობას.

მუხლი 64. უმნიშვნელოვანეს საკითხთა განსახილველად, რომლებიც მოქალაქეთა ცხოვრებას შეეხება, მშრომელებისათვის კანონმდებლობისა და ადგილობრივი საბჭოების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განსამარტავად სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს ან მთლიანად სასოფლო, სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა, ანდა სასოფლო, სადაბო საბჭოს ცალკეული დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა თუ უბნების მცხოვრებთა საერთო კრებებს, ყრილობებს, აგრეთვე სოფლის, დაბის მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებებს.

სოფლის, დაბის მოქალაქეთა კრება, ყრილობა განიხილავს კეთილმოწყობის, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს, ისმენს მოხსენებებს სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ და სხვა საკითხებს საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად. სოფლის ყრილობები განიხილავენ და წყვეტენ მოსახლეობის თვითდაბეგვრის საკითხებს.

მუხლი 65. მოქალაქეთა კრებები, ყრილობები ირჩევენ სოფლის საზოგადოებრივ კომიტეტებს, ქუჩებისა და უბნების კომიტეტებს სასოფლო, სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ცალკეული დასახლებული პუნქტების შესაბამისად, დაბებსა და სოფლებში — ქუჩებისა და უბნების შესაბამისად.

სოფლის საზოგადოებრივი კომიტეტები, ქუჩებისა და უბნების კომიტეტები ხელს უწყობენ სასოფლო, სადაბო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ორგანიზაციას უწევენ მოსახლეობას დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის სამუშაოთა ჩასატარებლად. ეხმარებიან კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს.

სოფლის საზოგადოებრივ კომიტეტს შეიძლება დაეკისროს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცალკეულ დავალებათა შესრულება სათანადო დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე.

სოფლის საზოგადოებრივი კომიტეტები, ქუჩებისა და უბნების კომიტეტები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ მოქალაქეთა კრებებს, ყრილობებს, რომლებმაც ისინი აირჩია, აგრეთვე სასოფლო, სადაბო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოზენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბეგაშვილი

თბილისი, 1968 წლის 25 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გასაძლიერებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ მძღოლებს, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს — ავტომოტოტრანსპორტს, საქალაქო ელექტროტრანსპორტს, ტრაქტორებს ან სხვა თვითმავალ მანქანებს, ნასვამ მდგომარეობაში მათი მართვისათვის, მიუხედავად სიმთვრალის ხარისხისა, ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით ერთიდან ორ წლამდე.

სამი წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლიდან მათი ნასვამ მდგომარეობაში მართვის განმეორებით შემთხვევაში მძღოლებს ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით ორიდან სამ წლამდე.

2. იმ შემთხვევაში თუ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა (გარდა მოტოციკლებისა) მფლობელებს, რომლებსაც ეს საშუალებები ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, ჩამორთმეული აქვთ მათი მართვის უფლება, მაგრამ მიუხედავად ამისა განაგრძობენ ამ საშუალებებით სარგებლობას, აგრეთვე თუ სამი წლის განმავლობაში განმეორებით ექნებათ შემთხვევა სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვისა, ამ ბრძანებულების პირველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ზომების გარდა, შეიძლება სასამართლოს დადგენილებით ჩამოერთვათ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებები ამ მფლობელებს და რეალიზებულ იქნენ დადგენილი წესით; მფლობელთ დაუბრუნდებათ რეალიზაციიდან მიღებული თანხა, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

ამ ზომას გამოიყენებენ ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა იმ მფლობელთა მიმართაც, რომლებსაც არა აქვთ ამ საშუალებათა მართვის უფლება მაგრამ მილიციის ორგანოების წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად სარგებლობენ მათს საკუთრებაში მყოფი ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებებით ან გამოსაყენებლად გადასცემენ მათ იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ ამ საშუალებათა მართვის უფლება.

მასალების გაფორმებას ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევის შესახებ მათი მფლობელებისათვის და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს განსახილველად ამ მასალების გადაცემას აწარმოებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოები.

3. ერთი წლის განმავლობაში გზებზე, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების ორი ან მეტი უხეში დარღვევისათვის ან ამ წესების უხეში დარღვევისათვის, რომელმაც გამოიწვია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, თუ ამ დაღვევაზე არ ვრცელდება ამ ბრძანებულების პირველი მუხლის მოქმედება, მძღოლებს ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით ერთ წლამდე ან დააჯარიმებენ თანხით 30 მანეთამდე.

ხმოვან სიგნალთა მიცემის წესების ბოროტად ან არაერთხელ დარღვევის შემთხვევაში მძღოლებს ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ვადით 6 თვემდე.

4. ის პირნი, რომელნიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს და არ არიან მათი მფლობელნი, თუ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ იყვნენ დაკავებულნი მართვის უფლების გარეშე სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის ან უნმრროდ მართვისათვის, აგრეთვე ამის გამო, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა გადაეცეს იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ ამის უფლება ან იმ პირთ, რომლებიც იმყოფებიან ნასვამ მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობაში, დაჯარიმდებიან თანხით 30 მანეთამდე.

5. სატრანსპორტო საშუალებათა პირადი ანგარების მიზნით გამოყენებისათვის მძღოლებს ჩამოერთმევათ მართვის უფლება ვადით ერთ წლამდე ან დაჯარიმდებიან თანხით 30 მანეთამდე.

6. ის პირნი, რომელთაც არა აქვთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, მათი ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის, მიუხედავად სიმთვრალის ხარისხისა, დაჯარიმდებიან თანხით 50 მანეთამდე.

7. მოსიარულენი, მგზავრები, ველოსიპედისტები, მზიდავები და სხვა პირნი, რომელნიც გზებით სარგებლობენ, მოძრაობის წესების უხეშად დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა ან შესაძლო იყო მოჰყოლოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაჯარიმდებიან თანხით 10 მანეთამდე.

8. ქუჩების, გზების ტრანსპორტსავალი ნაწილის, საგზაო ნიშნების, მოძრაობის რეგულირების და ორგანიზაციის საშუალებათა განზრახ დაზიანებისათვის, თუ ამას არ მოჰყოლია მძიმე შედეგები, დამნაშავე დაჯარიმდება თანხით 20 მანეთამდე.

9. თუ ის პირი, რომელსაც ადმინისტრაციული წესით ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ამეღვანებს შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას და სამაგალითო ყოფაქცევისაა, ორგანოებს, რომლებმაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება, დადგენილი ვადის არა ნაკლებ ნახევარის გასვლის შემდეგ შეუძლიათ საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით შეუმცირონ მართვის ჩამორთმევის ვადა დარჩენილი დროის ოდენობით.

10. ორგანოებს და თანამდებობის პირთ, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული სასჯელის დადების უფლება სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების, აგრეთვე გზებზე, ქალაქების და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების დარღვევისათვის, შეუძლიათ (გარდა სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევებისა), დამრღვევის პიროვნების და მის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სასჯელის ნაცვლად დამრღვევს მისცენ გაფრთხილება ან მასალები დამრღვევის მიმართ გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მისი მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასზე საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად.

გარდა ამისა, აღნიშნულ ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემოწმებულ იქნას თუ რამდენად ფლობს დამრღვევი გზებზე, ქალაქებსა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესებს, ტრანსპორტის ტარების ჩვევებს, ანდა გაგზავნონ იგი არასამუშაო საათებში სამეცადინოდ ამ წესების შესასწავლად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან ათი დღის ვადაში აცნობონ დამრღვევის მიმართ მიღებული ზომების შესახებ, სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის შესაბამისი განყოფილების (ქვეგანყოფილების) უფროსს ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) უფროსს.

11. მასალებს სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესებისა და გზებზე და ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ განიხილავენ დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, ხოლო ამ ბრძანებულების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში—სატრანსპორტო საშუალებათა მუდმივი აღრიცხვის ან მათი დროებითი ყოფნის ადგილის მიხედვით.

12. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გამოთვლა იწყება ასეთი გადაწყვეტილების მიღების დღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მძღოლი თავს არიდებს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობის ჩაბარებას — მისთვის ამ მოწმობის ფაქტიურად ჩამორთმევის მომენტიდან. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობის ჩამორთმევა არ შეიძლება, თუ გავიდა ვადა, რომლითაც მძღოლს ჩამორთმეული ქონდა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება.

13. ამ ბრძანებულებით დაწესებულ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს არ იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით.

14. იმ შემთხვევაში თუ მიღებულ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობს საფუძველი სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესებისა და გზებზე აგრეთვე ქალაქების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ამ პირისათვის ადმინისტრაციული

პასუხისმგებლობისა, სასჯელის დასადებად ვადის გამოთვლა ხდება შესაბამისი დადგენილების მიღების დღიდან. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება არ შეიძლება გადაცდომიდან ერთი თვის შემდეგ.

15. ამ ბრძანებულების პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ სასჯელებს ადებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილება (ქვეგანყოფილება), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (ქვეგანყოფილება), ხოლო სასჯელებს, რომლებიც გათვალისწინებულია მე-7 მუხლით — აგრეთვე სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მუშაკები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. საჩივრებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილების (ქვეგანყოფილების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომთა შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) დადგენილებებზე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ განიხილავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემდგომი ორგანოები, ხოლო ამ ბრძანებულების 1 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სახალხო სასამართლოები იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებაზე საჩივრების განხილვისათვის. საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ მიღებული დადგენილების აღსრულებას.

საჩივრის განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს დადგენილება. თუ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილების (ქვეგანყოფილების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) მოქმედება კანონიერია, სასამართლო უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე. თუ სასამართლო საჩივარს საფუძვლიანად მიიჩნევს, მაშინ იგი აუქმებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილების (ქვეგანყოფილების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) დადგენილებას სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ ან შეამცირებს ამ უფლების ჩამორთმევის ვადას.

სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე დამრღვევის პიროვნების და მის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით გააუქმოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილების (ქვეგანყოფილების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (ქვეგანყოფილების) დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ და მისცეს დამრღვევს გაფრთხილება ან მასალები მის შესახებ გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მისი მუშაობის, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად

სასამართლოს დადგენილება ზემოაღნიშნულ საკითხებზე, აგრეთვე ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა ჩამორთმევის შესახებ (მუხლი მე-2 ამ ბრძანებულებისა), საბოლოოა და მისი გასაჩივრება ან საკასაციო წესით გაპროტესტება არ შეიძლება.

დაჯარიმების შესახებ დადგენილებათა გასაჩივრება ხდება იმ წესით, რომელიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

17. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულება „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაშიშრობის და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტომოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წელი, № 34 მუხლი 594-ე), გარდა მეოთხე მუხლის პირველი ნაწილისა, რომელიც ეხება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლში დამატებათა შეტანას.

18. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიტანოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ დასახლებულ პუნქტებში, სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა, ცეცხლსასროლი იარაღით სროლა, თუ ის ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას ან არღვევს საზოგადოებრივ სიმშვიდეს, ასეთი იარაღის შეძენის და შენახვის წესების დარღვევა, ასევე სხვა პირთათვის იარაღის გადაცემა ან მისი რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციისათვის თავის არიდება, თუ ასეთი ქმედობისათვის გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის სასჯელი, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე, იარაღის ჩამორთმევით.

2. ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ცეცხლსასროლი კუთხვილი იარაღის, აგრეთვე სანადირო გლუვლულიანი თოფებისა და მათი საბრძოლო მასალის იმ პირთათვის მიყიდვა, რომელთაც არა აქვთ მათი შეძენის ნებართვა ან მონადირის ბილეთი, საუწყებო ცეცხლსასროლი კუთხვილი იარაღის აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, აგრეთვე დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების სარგებლობაში მყოფი გლუვლულიანი სანადირო თოფების და მათი საბრძოლო მასალის აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, თუ ასეთი ქმედობისათვის გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის სასჯელი, გამოიწვევს ამაში დამნაშავე დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე.

3. ნება მიეცეს მილიციის ორგანოებს ჩამორთვან სანადირო თოფები იმ პირთ, რომელნიც სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, ბოროტად სარგებლობენ სპირტიანი სასმელებით ან არიან ფსიქიურად დაავადებულნი.

4. მასალებს ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ დარღვევათა გამო დაჯარიმებისა და იარაღის ჩამორთმევის შესახებ განიხილავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

იარაღის ჩამორთმევა ვადით — ადმინისტრაციულ კომისიებში საქმის განხილვამდე წარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის (მოადგილის) მოტივირებული დადგენილების მიხედვით.

5. საბრძოლო და მცირეყალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის კუთხვილი სანადირო თოფები, რომლებიც ჩამორთმეულია ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებით, ბარდება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო ორგანოებს, ხოლო გლუვლულიან სანადირო თოფებს შეაფასებენ და გაყიდიან სავაჭრო ორგანიზაციები. თოფის რეალიზაციით მიღებული ფული, გარდა საკომისიო გადასახადისა, ეძლევა პატრონს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ბრძანებულების გამოყენებასთან.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება „ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ.ჯვაშაძე.

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი № 369

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეპრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილი იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 184-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 184. მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა

მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ან წინასწარ შეცნობით შეიძლებოდა მოჰყოლოდა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით“.

2. კოდექსის 241-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 241. მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს

მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც მართავს ავტომოტოსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალებას, ტრაქტორს ან სხვა თვითმავალ მანქანას, თუ ეს დარღვევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს და თუ ეს ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში ასეთივე ქმედობისათვის ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შემდეგ.- —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე ან ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ორ წლამდე.

მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც მართავს ავტომოტოსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალებას, ტრაქტორს ან სხვა თვითმავალ მანქანას, თუ ამის შედეგად დაზარალებულმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ან თუ ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე, ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

იგივე ქმედობა, თუ ამას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი ან მან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე, ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, თუ ამან გამოიწვია რამოდენიმე პირის დაღუპვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდ ან უამისოდ“.

3. დაემატოს კოდექსს მუხლები 241^1 და 241^2 შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 241^1. სატრანსპორტო საშუალებების მართვა ნასვამ მდგომარეობაში

ავტომოტოსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალების, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა, იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთივე დარღვევისათვის ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, ან ნასვამ მდგომარეობაში აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება და რომლის მიმართ ერთი წლის განმავლობაში გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სასჯელი ასეთივე დარღვევისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე.

მუხლი 241². ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციოდ გაშვება

წინასწარ შეცნობით ტექნკურად გაუმართავი ავტომოტოსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალებათა, ტრაქტორების ან სხვა თვითმავალი მანქანების საექსპლუატაციოდ გაშვება ან სხვა უხეში დარღვევა მათი ექსპლუატაციის წესებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძრაობის უსაფრთხოებას, რაც ჩადენილია სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან მათი ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, თუ ამას მოჰყვა შედეგები, რომლებიც აღნიშნულია ამ კოდექსის 241-ე მუხლში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობაზე მუშაობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1968 წლის 20 დეკემბერი № 370

ჯეიმს ჩეიზი

ჭორაკანი არ იყენებენ

ჯ. ჩეიზის რომანი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, უპირველეს ყოვლისა საინტერესოა იმით, რომ მასში აღწერილი განგსტერული „აქციის“ მეთოდიკა დოკუმენტალურია, და ამდენად ტიპიურიც. მწერალი აანალიზებს ამერიკული ცხოვრების ყაიდას, სადაც ელემენტარული კანონიერებაც კი არ არსებობს. განგსტერები და ბანდიტური სინდიკატები არაოფიციალურ სახელმწიფოებს წარმოადგენენ ოფიციალური სახელმწიფოს შიგნით და თავისი საკუთარი კანონების მისედვით მოქმედებენ. თუმცა ძლიერი, თავხედი და ყოვლისშემძლე განგსტერები ვერ ბედავენ აშკარად გამოვიდნენ წმინდა სახის ტერორისტებად პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე, მაგრამ ოსტატურად ინიღბებიან და „უბედური შემთხვევების“ წყალობით თავიდან იშორებენ არასასურველ ადამიანებს. რომანი ქვეყნდება მცირეოდენი შემოკლებით.

თავი პირველი

I

ტელეფონის ზარმა გაიწკრიალა და ჯენის მაშინვე შეეცვალა გამომეტყველება — სახე მტრული და გაბოროტებული გაუხდა.

— არ აიღო ყურმილი, პოლ, — უთხრა ქმარს გაბრაზებით.

მაგრამ პოლ კონრადი, ორმოციოდე წლის მაღალი, მხარბეჭიანი, შავგვრემანი მამაკაცი, რომელსაც სმოკინგი ეცვა და შავი ქუდი ხელში ეჭირა, ტელეფონისაკენ გაემართა.

— უნდა ვუპასუხო, ძვირფასო, — უთხრა მან დაყვავებით, — შესაძლოა სასწრაფო საქმეა.

— პოლ! — ჯენიმ ხმას აუწია, მაგრამ პოლმა უკვე ყურმილი აიღო.

ქმარმა გაუღიმა ცოლს და შემარიგებლურად დაუქნია ხელი.

— ალო, პოლ, ბარდენი გელაპარაკები, — გაისმა ყურმილში ლეიტენანტის დაბალი ხმა. — მე მგონია, უშენოდ არაფერი გამოგვივა. ჩიხში ვართ, ჯუნ არნოს სახლში. დიასახლისს წირვა გამოუყვანეს. დიდი აურზაური ატყდება. როდის შეძლებ გამოსვლას?

— ვფიქრობ, ჩქარა, — უპასუხა კონრადმა ბარდენს.

— კეთილი, ყველაფერს ხელუხლებლად დავტოვებ შენს მოსვლამდე. მხოლოდ იჩქარე, ვიდრე პრესა მოყნოსავდეს ამ ამბავს.

კონრადმა ყურმილი დადო და სასტუმრო ოთახში შევიდა. ჯენი ზურგშექცევით იდგა, ბუხარს მიშტერებოდა.

— მაპატიე, ჯენი, მაგრამ უნდა წავიდე....

— ეშმაკსაც დაუწყევლია მთელი პოლიცია და მასთან ერთად შენც! — ალაპარაკდა გაცოფებული ქალი. — სულ ერთი და იგივე გუთავებელი ამბავია! როგორც კი მოვემზადებით სადმე წასასვლელად, არ შეიძლება ტელეფონმა არ დარეკოს. შენი და შენი პოლიციის გამო სიცოცხლე მაქვს გამწარებული.

—რა თქმა უნდა, დამნაშავე ვარ, ჯენი, მაგრამ რას იზამ...

— ეშმაკსაც წაუღიხარ! — უპასუხა დაღლილმა და გაბოროტებულმა ქალმა.

— ყური მიგდე, ხვალ წაგიყვან საუკეთესო რესტორანში. ახლა კი აუცილებელია ჩემი წასვლა. ჯუნ არნო მოკლეს.

—ვიდრე ამ სახლში ტელეფონი იარსებებს, ფეხს ვერსად გავადგამთ. დღეს ფული მჭირდება.

— კი, მაგრამ ჯენი....

— უკვე გითხარი: ფული მჭირდება. თუ არ მომცემ, იძულებული გავხდები რამე წავიღო ლომბარდში.

კონრადმა მხრები აიჩეჩა, საფულედან ათდოლარიანი ამოიღო და ცოლს გაუწოდა. ქალმა ფული გამოართვა. მისმა ცივმა და გულგრილმა შეხედვამ გუნება გაუფუჭა კაცს.

კრიჭაშეკრული კონრადი მკვეთრად შეტრიალდა, წინაკარი გადაჭრა, კარი გამოაღო და მანქანისაკენ გაემართა. როცა საჭეს მიუჯდა, ყელში რაღაც მოაწვა. წარბშეკრულმა დააჭირა სტარტერს ფეხი.

დიახ, როგორც ჩანს დიდხანს აღარ უწერიათ ერთად ცხოვრება. თუმცა სამი წელიც არ გასულა, რაც იქორწინეს. პირველ წელს ყველაფერი კარგად მიდიოდა, — მას ჰქონდა მყარი სამუშაო დღე და თითქმის ყოველ საღამოს შეეძლოთ სადმე წასვლა. ხოლო, როცა საოლქო პროკურატურის უფროს გამომძიებლად გადაიყვანეს, ყველაფერი შეიცვალა. მართალია, თავდაპირველად ჯენი კმაყოფილი იყო მისი დაწინაურებით: ხელფასი უცბად გაორკეცდა და შეესაძლებლობა მიეცათ კარგ რაიონში ეყიდათ საკუთარი სახლი. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ახლა ქმრის გამოძახება ყოველ წამს შეეძლოთ განურჩევლად დღისა და ღამისა.

— შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ უბრალო პოლიციელი ხარ და არა უფროსი გამომძიებელი, — უთხრა უკმაყოფილო ქალმა.

— დიახაც, რომ პოლიციელი ვარ, — მოთმინებით აუხსნა კონრადმა. — მე ვარ საოლქო პროკურორის სპეციალური საპოლიციო გამომძიებელი და თუ კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმე გამოჩნდება, მე უნდა ვიყო მისი წარმომადგენელი.

დღეს ჯენიმ პირველად სთხოვა ფული, რომ უიმისოდ წასულიყო სადმე, და ეს ბევრად უფრო აღელვებდა კონრადს, ვიდრე ყველა სხვა კინკლაობა, რაც კი ადრე მოსვლოდათ.

II

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯუნ არნო ჰოლივუდის ყველაზე პოპულარულ მსახიობად ითვლებოდა და, როგორც ამბობდნენ, ყველაზე მდიდარიც იყო.

ტამანის ყურის აღმოსავლეთ მხარეს, პასიფიკსიტიდან რამდენიმე მილის დაშორებით მან აიშენა მდიდრული ცალკე მდგომი სახლი — უთავბოლო მხარჯველობისა და მყვირალა ბაქიობის ნიმუში. ჯუნმა, რომელსაც არ აკლდა იუმორის გრძნობა, თვითონ შეარქვა ამ სახლს ჩიხი.

მანქანა გაჩერდა სუროთი გადაბარდულ მეკარის პატარა სახლთან. მეკარეს ჩვეულებრივ ყველა მომსვლელის გვარი და სახელი შეჰქონდა სპეციალურ „სავიზიტო წიგნში“ მანამდე, ვიდრე მომსვლელს ნებას დართავდა გაევლო კიდევ ერთი მილი ცალკე მდგომ სახლამდე. როცა კონრადი მანქანიდან გადმოვიდა, სიბნელეში წამოიმართა სემ ბარდენის ძორძოხი ტანი. ლეიტენანტი მუშაობდა „მკვლელობათა გამოძიების ბიუროში“.

— კაპიტანი სან-ფრანცისკოშია, — უთხრა ბარდენმა, — და სამწუხაროდ, ხვალამდე არ დაბრუნდება. ამაზრზენი საქმეა, პოლ, და ძალიან კარგია, რომ შენ აქა ხარ. მარტო ჩვენ ვერ გავუმკლავდებოდით.

— ჰოდა, მოდი დავხედოთ. მხოლოდ ჯერ მომიყევი ყოველივე ეს საიდან დაიწყო.

ბარდენმა დიდ, წითელ სახეზე ცხიერსახოცი მოისვა და ქუდი კეფაზე მოიგდო. ეს მაღალი, ძორძოხი ლეიტენანტი ათი წლით უფროსი იქნებოდა კონრადზე.

— ასე და ამრიგად, პოლ, — დაიწყო მან, — რვა საათსა და ოცდაათ წუთზე დაგვირეკა ჰარისონ ფიდერმა, მის არნოს აგენტმა სარეკლამო საქმეში. ისინი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს რაღაც საქმის თაობაზე. აგენტი მოვიდა აქ და დაინახა რომ ჭიშკარი, რომელიც ჩვეულებრივ დაკეტილი იყო ხოლმე, ახლა მოფრიალებულია. როცა მეკარის სახლში შევიდა, ნახა, რომ თავგახვრეტილი მეკარე იატაკზე ეგდო. იქიდან დაურეკა მის არნოს, მაგრამ ტელეფონთან არავინ მოვიდა. მაშინ კი გადაუქანდა გული შიშისგან, სახლში წესვლა ვეღარ გაბედა და ჩვენ გამოგვიძახა.

— სად არის ახლა?

— მანქანაში ზის და ძალღონეს ვისკის მეშვეობით იკრებს. — ბარდენმა ჩაიცინა. — ჯერ რიგიანად არც კი მილაპარაკია მასთან, ვუბრძანე იქ მომიცადოს. მე კი უკვე თავად ვიყავი სახლში. მის არნოს საცურაო აუზში წავაწყდი, — იგი დაიღრიჯა, — უფრო სწორედ მის ნარჩენებს.

— ალბათ საშინელი სურათია.

— ჰო, სასიამოვნო სანახაობა არ არის. ბიჭები იქ, სახლში თავის საქმეს აკეთებენ, შესაძლებელია რამეს წააწყდნენ. შენ ალბათ თავად გინდა ყველაფერი დაათვალიერო.

— მომიწევს. ექიმი შეძლებს დადგენას, თუ როდის მოხდა მკვლელობა.

— ახლა სწორედ მაგას აკეთებს. მოდი შევიხედოთ მეკარის სახლში.

კონრადი შეყვა ბარდენს მომცრო ოთახში, რომლის მთელ მოწყობილობასაც შეადგენდა: საწერი მაგიდა, სკამი, რბილი დივანი და ტელეფონების ბატარეა. მაგიდაზე გადაშლილი იდო ტყავის ყდაში ჩასმული დიდი ფორმის „სავიზიტო წიგნი“.

იგი მიუახლოვდა მაგიდას, რათა „სავიზიტო წიგნში“ ჩაეხედა.

— მკვლელი, რა თქმა უნდა, არ ჩაეწერებოდა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიცინა ბარდენმა, — მაგრამ მეკარე უეჭველად იცნობდა მას, თორემ არ გაუღებდა კარს.

კონრადმა დახედა გადაშლილ წიგნს.

„15 საათი. მისტერ ჯეკ ბელინდი. ლენოკს-სტრიტი 3. წინასწარი შეთანხმებით. 17 საათი. მის რიტა სტრენდონი. კაუნ-სტრიტი 14. წინასწარ შეთანხმებით. 19 საათი. მის ფრენსის კოლემანი. გლენდალ-ავენიუ, 145“.

— გამოდის, რომ ეს მის კოლემანი დაახლოებით იმ დროს იყო აქ, როცა მკვლელობა მოხდა, არა? — იკითხა კონრადმა.

ბარდენმა მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი. მერე შევმოწმებთ. აბა, წავიდეთ. ბევრი რამის ნახვა მოგიწევს. მგონი მანქანით შეიძლება წასვლა. ნელა მოაყენე მანქანა მეორე მოსახვევთან.

კონრადი ზევით აუყვა გზას, რომელსაც ორივე მხარეზე მისდევდა გიგანტური პალმები და აყვავებული ბუჩქნარი. მალე მიუახლოვდნენ გზის ნაპირას მდგარ ავტომობილს. მანქანასთან დაინახეს ექიმი ჰოლმსი და სამედიცინო ინსტიტუტის ორი თეთრხალათიანი სტუდენტი.

— ალო, კონრად, — უთხრა ექიმმა ჰოლმსმა, მრგვალმა ვარდისფერსახიანმა კაცუნამ, რომელსაც შუაში მოტვლეპილ თავს ჭაღარა თმა არშიასავით მოვლებოდა. — ამ სასაკლაოს სანახავად მოხვედი?

— უბრალოდ მოვედი დასახედად, — უპასუხა კონრადმა. — რამდენი ხნის მკვდარია მეკარე, ექიმო?

—საათნახევრის, მეტის არა.

— მაშასადამე, შვიდი საათის შემდეგ მოუკლავთ.

— ვფიქრობთ, რომ ასეა. 45 კალიბრიანი პისტოლეტითაა მოკლული.

სამი წუთის შემდეგ უკვე სახლს მიადგნენ. ყველა ფანჯარა გაეჩახჩახებინათ. ორი პოლიციელი იცავდა მთავარ შესასვლელს. კონრადი და ბარდენი ავიდნენ ზევით, გაიარეს მომცრო მისაღები ოთახი და მოზაიკური ფილებით მოკირწყლულ შიდა ეზოში ჩავიდნენ.

სასტუმრო ოთახიდან მათ გამოეგება სერჟანტი ობრაინერი, მაღალი, ხმელ-ხმელი მამაკაცი, რომელსაც ჭორფლიანი სახე მოღუშოდა.

— აუზთან მივიდეთ, — თქვა ბარდენმა.

მან გააღო საგდულებიანი კარი და ისინი ტერასაზე გავიდნენ. სავსე მთვარე ცივ მოწითალო შუქს აფენადა ზღვას. ყვავილები სურნელებას აფრქვევდნენ. შანდლიანი შადრევანი მოჯადოებულ ელფერს ადებდა ირგვლივ ყველაფერს.

— მთელი სიცოცხლე ჩახჩახა სინათლესა და ლამაზ ყვავილებს ჭლტვოდა და სადამდე მივიდა? ჩიხამდე. ალბად არც თუ ისე სასიამოვნოა სიცოცხლესთან გამოთხოვება, როგორც ამას მოუხდა, — ფილოსოფოსობდა ბარდენი.

— შენ მეტისმეტადა გაქვს გამახვილებული კლასობრივი შეგნება, სემ, — უთხრა კონრადმა. — არც ისეთი ხალხი იქნება ცოტა, ვისაც შენი ცხოვრება შეშურდება.

— მაჩვენეთ ერთი ასეთი ხალხი, — თქვა ბარდენმა და უგემურად გაიღიმა. — მაჩვენე, და როცა გინდა მაშინ გავუცვლი ადგილს. შენთვის ადვილია ლაპარაკი, მომხიბლავი ცოლი მუშაობის შემდეგ ყველაფერს გავიწყებს.

III

ექიმი ჰოლმსი, ფოტოგრაფი და ოთხი პოლიციელი ცისფერი კაფელით მოფენილი აუზის პირას იდგნენ და წყალს ჩაყურებდნენ.

— ვერ ვიტყოდი, რომ კიდევ მიმიწევდეს გული ამის შესახედად, — ჩაილაპარაკა ბარდენმა.

პოლმა ჩახედა აუზის ფსკერს და როცა ჯუნის სხეულს თვალი შეავლო, თავბრუ დაეხვა.

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს ჯუნ არნოა?

— აბსოლუტურად დარწმუნებული.

კონრადი მიუბრუნდა ჰოლმსს.

— ასე და ამრიგად, ექიმო, უკვე ვნახე ყველაფერი, რისი ნახვაც მინდოდა. შეგიძლიათ ახლა გვამს მოჰკიდოთ ხელი.

— თქვენი დასკვნის ასლს გამომიგზავნით, არა?

ჰოლმსმა უხმოდ დაუკრა თავი.

— კარგით, ბიჭებო, — მიმართა ბარდენმა პოლიციელებს, ამოიღეთ გვამი წყლიდან. მხოლოდ ფრთხილად!

— წავიდეთ, ჯერ ფიდერს ვესაუბროთ. დაუძახე ერთი გეთაყვა, — თქვა კონრადმა.

— აბა რას იტყვი! — შეეკითხა ბარდენი კონრადს, როცა ეზოდან სახლში ადიოდნენ.

— ეტყობა ეს იმან მოიმოქმედა, ვინც ჯუნის ხშირი სტუმარი იყო. იგი ხომ დაუბრკოლებლად შეუშვა მეკარემ.

ბარდენმა პასუხად რაღაც წაიბურტყუნა.

— როგორ ფიქრობ, ფიდერის ხელი ხომ არ ურევია ამ საქმეში? — შეეკითხა კონრადი, როცა მოწნულ სავარძელში ჯდებოდა.

—ისეთი კაცი არ არის, რომ მსგავსი რამ გაბედოს. ანდა რისთვის დასჭირდებოდა? ჯუნ არნო მისი ერთადერთი კლიენტი იყო, რომლის მეშვეობითაც ცოტაოდენი ქონება მოაგროვა.

— ჯუნის მსგავს ქალს არ შეიძლება არ ჰყავდეს ბევრი მტერი, — თქვა კონრადმა. — ამის გამკეთებელს ალბათ ძალიან სძულდა იგი.

— ამბობენ, ჯუნს საეჭვო მეგობრები ჰყავდაო. ჯეკ მაურერსაც კი ასახელებენ მათ შორის.

— კონრადი ადგილზე გაქვავდა.

— რას ამბობენ?

— ასეც ვფიქრობდი, რომ შენ ამ ფაქტს გვერდს ვერ აუვლიდი. დანამდვილებით ვერ გეტყვი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, თითქოს მათ სამიჯნურო კავშირი ჰქონოდეთ.

— სავსებით დასაჯერებელია. სწორედ სასტიკ და ულმობელ მაურერს შეეძლო ამისი გაკეთება.

— გაგაგიჟებს ეს მაურერი და ის იქნება. მგონი სულს მიჰყიდი ეშმაკს, ოღონდ მას ციხეში ამოაყოფინო თავი.

— სულაც არ მინდა ციხეში იჯდეს, — თქვა ბრაზმორევით კონრადმა. — მე ის მინდა, ელექტრონის სკამზე იჯდეს. ძალიან აგვიანებს ამ ქვეყნიდან წასვლას.

პოლიციელი შემოვიდა, ჩაახველა და მოახსენა:

— მისტერ ფიდერი, სერ.

კონრადი და ბარდენი წამოდგნენ. ჰარისონ ფიდერი, ჯუნ არნოს აგენტი სარეკლამო საქმეში, აღმოჩნდა კაფანდარა კაცუნა, რომელსაც ულმობელი, გამჭვალავი თვალები, ჩაცვენილი ტუჩები და ხაფანგის მსგავსი პირი ჰქონდა. მან კონრადს ხელი სტაცა ხელში და მაგრად ჩამოართვა.

— მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრის! რა მოსდა? როგორაა ჯუნის საქმე? ხომ ყველაფერი წესრიგშია?

— სამწუხაროდ, არა. იგი მოკლეს.

— მოკლეს! წამოიძახა ფიდერმა. — ჰო-ჰო-ჰო, რა სენსაცია იქნება! ეშმაკმა დასწყევლოს, არც კი ვიცი, ვიტირო თუ ვიცინო?

— რა გსურთ თქვათ? — ჩაიბურდღუნა სიბრაზისაგან სახემოქცეულმა ბარდენმა.

ფიდერმა როგორღაც ცალყბად ჩაიცინა.

— თქვენ არ გიმუშავიათ მისთვის ხუთ გაუთავებელ წელს და ვერც გამიგებთ. რისი გულისათვის უნდა დავიტირო? შესაძლოა, ლუკმა პური დავკარგე, მაგრამ სამაგიეროდ აღარავინ გამიმწარებს სიცოცხლეს. ამ არაკაცმა წელში გამწყვიტა, ის რომ არ მოეკლათ, მე გამაფრთხობინებდა სულს. წყლული გამიჩინა მაგისმა საქციელმა. განა თქვენ იცით, რას არ ვითმენდი ამ ქალის გულისათვის?

— თქვენის აზრით, ვინ მოიმოქმედებდა ამას? — შეეკითხა კონრადი მშვიდად.

ფიდერმა განზე გაიხედა.

— არაფერი ვიცი. დალახვროს ეშმაკმა, პრესამ უკვე იკრა სუნი?

— არა, და ვერც მოყნოსავს, ვიდრე საკმაო ფაქტები არ მექნება, — თქვა მოღუშულმა ბარდენმა. — აბა, რაო! ვისზე გაქვთ ეჭვი? შეიგნეთ, რაც უფრო ადრე დავამთავრებთ ამ საქმეს, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის, მათ შორის თქვენთვისაც.

— არ ვიცი. — ფიდერმა მსრები აიჩეჩა. — მისი უკანასკნელი გატაცება იყო რალფ ჯორდანი. ამ დღეებში საშინლად წაეჩხუბნენ ერთმანეთს. მგონია, ფილმი, რომელშიც ჯუნს იღებს, მისთვის უკანასკნელი იქნება.

— როგორც ჩანს, უნდა გავესაუბროთ ამ ყმაწვილს, — თქვა ბარდენმა.

— მხოლოდ არ უთხრათ, რომ მე ვასხენე, — სთხოვა ფიდერმა, — ჩემი საზრუნავიც მეყოფა

— ხომ ვერ გაიხსენებთ კიდევ ვინმეს ჯუნის მეგობრებიდან? — ჰკითხა კონრადმა. — ისეთ მეგობარს ვინც ამას გაბედავდა.

— იცით რა! მის მეგობართაგან ბევრი იყო ხელიდან წასული არამზადა, მაგრამ მკვლელობას მაინც ვერც ერთი ვერ გაბედავდა.

— ამბობენ, თითქოს ჯეკ მაურერი იყო მისი საყვარელიო.

ფიდერი უცებ დადუმდა. სახეზე ცივი და გულგრილი გამომეტყველება აღებეჭდა.

— არ ვიცი.

— ეცადეთ გაიხსენოთ. იქნებ თქვენთან საუბარში როდესმე ახსენა მაურერი.

— რამდენადაც მახსოვს, არ უხსენებია.

შემოვიდა სერჟანტი ობრაინერი.

— ნება მომეცით, მოგახსენოთ, ლეიტენანტო!

ბარდენი გავიდა მასთან ერთად.

— აქ მოიცადეთ, — უთხრა პოლმა ფიდერს და გასულებს დაედევნა.

— პისტოლეტი უპოვნია, — უთხრა ბარდენმა და მოღუშული სახე გაეხსნა. მან კონრადს გაუწოდა 45 კალიბრიანი ავტომატური კოლტი.

— შეხედეთ ერთი!

კონრადმა პისტოლეტი გამოართვა... სახელურზე ამოტვიფრული იყო „რ. ჯ“.

— სად იპოვნეთ? — ჰკითხა ობრაინერმა.

— ბუჩქებში. ალაყაფის კარებიდან ოცდაათი იარდის მოშორებით. დავნაძლევდეთ, ხუთ დოლარს ჩამოვალ ერთ ცენტში, თუ ეს ის პისტოლეტი არ იყოს. სწორედ 45 კალიბრისაა და ახლახანს გასროლის კვალიც ემჩნევა.

IV

კონრადი მიუახლოვდა მრავალბინიან სახლს, სადაც ჯორდანი ცხოვრობდა, მანქანა დაამუხრუჭა და გარაჟების გვერდით ჩრდილში დააყენა. მისი ყურადღება მიიპყრო დიდმა, შავმა „კადილაკმა“ რომელიც ნახევრად შესულიყო ერთ-ერთ გარაჟში და კარებში გაჩხერილიყო.

— ვიღაც ბრმად შესულა სხვის გარაჟში, თუ რა არის? — უთხრა მან ბარდენს, როცა მანქანიდან გადმოვიდა.

— ისინი მიუახლოვდნენ „კადილაკს“. წინა ფრთა ძალზე შეჭყლეტილი ჰქონდა, ხოლო ფარი გარაჟის კარებზე მიმსხვრეული. ბარდენმა ავტომობილის კარი გამოაღო და სარეგისტრაციო იარლიკი დაათვალიერა.

— სწორეა, — თქვა მან. — ჯორდანის მანქანაა, როგორც ჩანს, გალეშილი იყო.

— ყოველ შემთხვევაში, შინ მაინც იქნება, — უპასუხა კონრადმა და სადარბაზოსაკენ გაემართა. შვეი-

ცარმა ქალმა უთხრა, რომ ჯორდანი შინ არ იყო საღამოს 6-დან 8 საათამდე.

— ამრიგად, — უთხრა ბარდენმა კონრადს, როცა ლიფტს სწრაფად და რწევით აპყავდა ისინი ზემოთ,— იგი არ ყოფილა ექვსიდან რვამდე. ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ჩიხამდე მისულიყო, ბიღლო მოეღო ჯუნისათვის და უკან დაბრუნებულიყო.

— ფრთხილად იყავი, — გააფრთხილა კონრადმა, როცა ლიფტიდან გამოდიოდნენ, — თუ მთვრალია, სახიფათო იქნება.

— არაფერია, ეს არ არის პირველი თავზე ხელაღებული, რომლის გონზე მოყვანაც მე მომიწევს. შეხედე ერთი: კარი ღიაა.

— ეი! არის თუ არა ვინმე აქ? — დაიყვირა კონრადმა.

პასუხად გამეფდა დუმილი, სამარისებული და თოვლის ნამქერივით ცივი.

მათ შეიხედეს საწოლში, მაგრამ იქაც არავინ აღმოჩნდა.

— შევიხედოთ აბაზანაში, — თქვა ბარდენმა და მის ხმაში კონრადმა მღელვარება ამოიკითხა.

— რალფ ჯორდანი, რომელსაც პიჟამოზე ხალათი გადაეცვა, იწვა იატაკის ღონეზე მდებარე ცარიელ აბაზანაში. თავი უსიცოცხლოდ ესვენა მკერდზე. აბაზანის კედლები და ხალათი წითლად იყო დალაქული. მარჯვენა ხელში ჩაებღუჯა ძველი სამართებელი, რომლის პირსაც სისხლი შეშრობოდა.

ბარდენმა მიცვალებულის ხელი აიღო და შეეცადა პულსი მოეძებნა.

— მკვდარია, — თქვა მან. — საქმე ნათელია. ჯერ ჯუნს აუგო წესი, მერე აქ დაბრუნდა და თავი მოიკლა. ძალზე ტაქტიკურად მოქცეულა: ზედმეტი დავიდარაბისაგან გაგვათავისუფლა.

ბარდენმა პაპიროსს მოუკიდა და გააბოლა.

— ექიმ ჰოლმსს მოუსვენარი ღამე ექნება.



6. საბჭოთა სამართალი № 1.

კონრადმა თაროს შეხედა და თვალში მოხვდა ელექტროსაპარსი.

— გამაგებინეთ, — თქვა მან, რაში ჭირდება ადამიანს, რომელიც ელექტროსაპარსს ხმარობს, იქონიოს სახლში სამართებელი. თანაც ისე, რომ საჭირო შემთხვევაში სამართებელი ხელთ ჰქონდეს.

— გინდა მაინც რაღაცა გამოჩხრიკო. იქნებ ფეხის კოჟიჟებს იჭრიდა.

ბარდენმა გამოაღო კარი, რომელიც აბაზანიდან გადიოდა მდიდრულად მოწყობილ საპირფარეშოში და დაინახა სკამზე გადაკიდებული კოსტუმი, პერანგი და აბრეშუმის ქვედა საცვალი, ფეხსაცმელი და წინდებიც იქვე ეწყო. კონრადი მიჰყვა მას და უცებ ერთ ადგილას გაშეშდა.

— აი, ეს კი საბოლოოდ გაგაბედნიერებს სემ, — უთხრა მან და იატაკზე დაგდებულ რაღაც ნივთზე მიუთითა.

— ეშმაკმა დალახვროს! — დაიყვირა ბარდენმა. — ეს ხომ მაჩეტეა, სამართებელივით მჭრელი. სანაძლეოს ვდებ, რომ სწორედ ეს არის ნახმარი.

— ნუთუ არ გაინტერესებს გაგეგო საიდან შეიძლება ჰქონდა სამხრეთ ამერიკული დანა ისეთ ყმაწვილს, როგორიც ჯორდანი იყო.

— იქნებ სადმე შეიძინა სუვენირის სახით. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ნამყოფია სამხრეთ ამერიკაში ან ვესტ-ინდოეთში. უფრო კი ვესტ-ინდოეთში. ყოველ შემთხვევაში ამ დანას აცხია ჯუნ არნოს სისხლი, ეს საკამათო აღარ არის.

— ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი, რომ შეიძლება გვამი ასე დაასახიჩრო და პიჯაკზე ერთი წვეთი სისხლიც არ მოგეცხოს, — ჩაილაპარაკა კონრადმა, როცა ჯორდანის სკამზე გადაკიდებულ ტანსაცმელს ათვალიერებდა.

— შენ მგონი ის გინდა, ახლა თავად წამოდგეს და მოგიყვეს, როგორ მოახერხა ყოველივე ეს. არ მესმის, რატომ აკლავ თავს სამუშაოს.

— იცი, სემ, — უთხრა მოღუშულმა კონრადმა, ყველაფერი ისე ბედნიერად ემთხვევა ერთმანეთს, რომ სიყალბეს წააგავს. ჯორდანის ინიციალებიანი პისტოლეტი, დამტვრეული მანქანა, თვითმკვლელობა და კიდევ ეს დანა, რომელსაც ბრმაც შეატყობს... ყველაფერი წინასწარაა გააზრებული, შემზადებული, დაწყობილი. როგორღაც საეჭვოა.

— აქედან დავურეკავ ბიჭებს, — შესთავაზა ბარდენმა, — დაე, გაჩხრიკონ ეს ბუნაგი... როცა ისინი საქმეს შეუდგებიან. მე დავბრუნდები ჩიხში და ინტერვიუს მივცემ პრესის წარმომადგენლებს, შენ სახლში წახვალ?

კონრადმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

V

კონრადი მანქანას დიდი სისწრაფით მიაქროლებდა და გარეუბნის ქუჩებს ირჩევდა, რათა თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაედწია უსაძრაობისათვის, რომელსაც მანქანები ჩვეულებრივ ქმნიან ცენტრში სპექტაკლების დამთავრების შემდეგ. ერთ-ერთ ქუჩაზე დაამუხრუჭა, რათა პაპიროსისათვის მოეკიდებინა და უცებ, მანქანის ღია ფანჯრიდან შენიშნა წარწერა „გლენდალ-ავენიუ". გაახსენდა რომ ფრენსის კოლემანი, ის ქალიშვილი, ჯუნ არნოსთან რომ იყო საღამოს შვიდ საათზე, ამ ქუჩაზე ცხოვრობდა № 145 სახლში. ყოველ შემთხვევაში ასე ჩაეწერა მეკარეს.

კონრადმა მანქანა გააჩერა და ცოტა ხანს დაფიქრდა. ექიმმა ჰოლმსმა თქვა, რომ ჯუნ არნო გარდაიცვალა დაახლოებით 7 საათზე. შესაძლოა, ამ ფრენსისმა მოასწრო რამის შენიშვნა.

მანქანიდან გამოვიდა, რამდენიმე სახლს ჩაუარა და № 145-ს მიუახლოვდა. ეს იყო მაღალი, წითელი აგურის, ძველი სახლი. ზოგიერთ ფანჯარაში კიდევ ენთო სინათლე.

კონრადი შევიდა ვესტიბიულში და საფოსტო ყუთების მიხედვით დაადგინა, რომ მის კოლემანი მესამე სართულზე ცხოვრობდა. ჩამოცრცნილ საფეხურებს აუყვა. ერთ-ერთ კარზე მიკრულ მუყაოს თეთრ ქაღალდზე ეწერა იმისი გვარი, ვისაც ეძებდა.

კონრადი მოემზადა დასაკაკუნებლად და უცბად შეჩერდა, კარი ოდნავ იყო გამოღებული. შეშფოთებულმა უკან დაიხია. „კიდევ ერთი გვამი მაკლდა", გაიფიქრა მან. შემდეგ ძალღონე მოიკრიფა, უცებ შეაღო კარი და სიბნელეს დააკვირდა.

— არის ვინმე აქ? — იკითხა მან.

არავინ გამოეპასუხა. ოთახიდან მოდიოდა „კალიფორნიული ყაყაჩოს" სუსტი სუნი.

კონრადმა მხრები აიჩეჩა და ნელა დაეშვა კიბეზე. ძირს გასინჯა მის კოლემანის საფოსტო ყუთი, მაგრამ შიგ ვერაფერი ნახა. კედელზე ეკიდა განცხადება „სახლის მმართველი სარდაფის სართულშია".

„რას ვკარგავ?" გაიფიქრა მან და ჭუჭყიან საფეხურებს ჩაუყვა სიბნელეში. კიბის ბოლოს რაღაცას წააწყდა და დაბალი ხმით შეიგინა. კარი ფართოდ გაიღო და უაბაჟურო ნათურამ შიგ სახეში შეანათა.

— სულ დაკავებულია, მეგობარო, — გაიგონა ვიღაცის ხმადაბლა ნათქვამი სიტყვები, — ამ ხვრელს უფრო მეტი ხალხი ესევა, ვიდრე ძაღლს რწყილი.

პატარა ოთახში საწოლი, მაგიდა და ორი სკამი იდგა. მაგიდას მისჯდომოდა უსახელებო ზედატანში გამოწყობილი ჩასუქებული მამაკაცი.

— მესამე სართულზე ოთახი გაგითავისუფლდათ, — უთხრა კონრადმა. — მის კოლემანი ბინიდან გავიდა.

— თქვენ ვიდა ბრძანდებით?

— ქალაქის პოლიცია.

— არ ვიცოდი, თუ კოლემანი ბინიდან გავიდა, — თქვა ჩასუქებულმა. — დილით თავისთან იყო. რას იზამ, ასე ჯობია, ხვალ მაინც მომიწევდა ბინიდან მისი გაძევება.

— რატომ?

— სამი კვირაა, ბინის ქირა არ გადაუხდია.

— რა იცით მის შესახებ? როდის ჩასახლდა ამ ბინაში?

— ერთი თვე იქნება. სტატისტად ვმუშაობ ჰოლივუდში და იაფი ბინა ვერ ვიშოვნეო. კარგი ქალიშვილია. ქალიშვილი რომ მყოლოდა, ასეთს ვინატრებდი. სასიამოვნო ქცევა აქვს, მიმზიდველია, მშვიდი და თავაზიანი, — ჩასუქებულმა მხრები აიჩეჩა, — მაგრამ კაპიკიც არ გააჩნია.

— როგორც ჩანს, ასეა, — თქვა კონრადმა. მან უცებ იგრძნო დაღლილობა. „რისთვის მივიდოდა უმუშევარი მსახიობი ჯუნ არნოსთან?" გაიფიქრა მან. — მხოლოდ ფულის სასესხებლად. შესაძლოა მეკარის სახლსაც არ გასცილებია. ჯუნს, ალბათ, არც უნახავს, — თქვა მან.

საათს დახედა: — ღმერთო ჩემო, პირველი გამხდარა.

კონრადი შინ დაბრუნდა. მომცრო ბნელ ჰოლში შევიდა. სახლში სიჩუმეს დაესადგურებინა. საწოლი ოთახის კარი გამოაღო და სინათლე აანთო. ცარიელი ლოგინი სამუდამოდ მიტოვებულს წააგავდა. მაშასადამე, ჯენი ჯერაც არ დაბრუნებულიყო.

თავი მეოთხე

I

ჩარლზ ფორესტი, საოლქო პროკურორი, დიდ საწერ მაგიდას მისჯდომოდა, ხელში სიგარეტი ეჭირა და დაფიქრებულს თვალი გაშტერებოდა.

ფორესტი დაბალი, ჩასკვნილი მამაკაცი იყო. მკაცრ მსუქან სახეზე გამომცდელად უელავდა მწვანე თვალები. თხელი ტუჩები და წინ გამოწეული ოთხკუთხა ღაბაბი ჰქონდა.

— კაპიტანი მაკ კენი, მგონი, კმაყოფილია, რომ ეს საქმე ჯორდანის ნამოქმედარია, — უთხრა მან კონრადს და მიუთითა იატაკზე დაწყობილი გაზეთების დასტაზე. — ბარდენის პატაკი წავიკითხე, საკმაოდ დამაჯერებელია. რა გაწუხებს პოლ?

— ყველაფერი მეტისმეტად დალაგებულია სერ. ექიმმა ჰოლმსმა თქვა, რომ პროფესიონალს უზადოდ გაუკეთებია თავისი საქმე... და მეც ასე ვფიქრობ. იშვიათი მსროლელი ყოფილა და დარწმუნებული ვარ, რომ ადრეც არა ერთხელ გაუსვრია სისხლში ხელი.

— ჯორდანის შესახებ გავიკითხე, — თქვა ფორესტმა. — დიდებული მსროლელი ყოფილა. თურმე ოც იარდზე შეეძლო კარტის ქაღალდის გახვრეტა.

— მე თვითონ უნდა გამომერკვია ეს, — თქვა თავის თავზე გაბრაზებულმა კონრადმა. — განსაკუთრებით მაინტერესებს სამართებელი. დამტკიცდა, რომ უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე წელია მას არ უხმარია მსგავსი რამ და უცებ მის ხელში კი აღმოჩნდა. განა ეს უცნაურად არ გეჩვენებათ?

— არც თუ ისე. ეს მხილებაა, თუ გვეცოდინება, რომ მას ასეთი სამართებელი ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცით. არის ხოლმე შემთხვევები, როცა მას ხმარობენ ფეხის კოჟიჟების მოსაჭრელად.

— ბარდენმაც თქვა ეს. ექიმი ჰოლმსი კი ამტკიცებს, რომ ჯორდანს არავითარი კოჟიჟები არ ჰქონიაო. და კიდევ ერთ რამეს მიაქციეთ ყურადღება. მის ტანსაცმელზე არ აღმოჩნდა არც ერთი წვეთი სისხლი.

— ჰო, კარგი, გულახდილად თქვი, რასაც ფიქრობ.

— ბარდენმა თქვა, ასე ამბობენ ჯუნი მაურერის საყვარელი იყოო. დავუშვათ მაურერმა შეიტყო, რომ ცვლიდა ჯორდანზე. რამდენადაც მე მას ვიცნობ, სავსებით დასაშვებია, რომ იგი მივარდნოდა ჯუნს და კარგად მიებეგვა. როგორც კი შევხედე საქმეს, მაშინვე მივხვდი, რომ ეს განგსტერის ნამოქმედარი იყო. მხოლოდ პროფესიონალ განგსტერს შეეძლო ასეთი სასაკლაოს მოწყობა და მხოლოდ მაურერს შეეძლო ასეთი მოხერხებით წარემართა ძიება ჯორდანის საწინააღმდეგოდ.

ფორესტმა სიგარა საფერფლეში დააქრო. იგი თავისი ცივი, მწვანე თვალებით გამომცდელად უყურებდა კონრადს.

— არ ღირს იმაზე ლაპარაკი, პოლ, თუ რატომ დავთანხმდი შემოთავაზებულ თანამდებობაზე. ამისი ერთადერთი მიზეზი იყო, მაურერისათვის მომეღო ბოლო. უკვე ვიცი, რა აზრისა ხარ მასზე. მაშასადამე, ახლა ორნი ვართ. აქამდე სულ ვმარცხდებოდით მასთან შეტაკებაში. ერთხელაც არ მოქცეულა უგუნურად, ერთხელაც არ შემცდარა, არ მოუცია საბაბი რამეზე ჩაგვეკლო ხელი. არ შეგიშლი, იმოქმედე. იქნებ შენ მაინც მომცე შესაძლებლობა ანკესზე წამოვაგო მაურერი. შენ ამბობ, რომ ჯუნის მკვლელი მაურერია. ეს ჩემთვის საკმარისია, დაიწყე გამოძიება. მხოლოდ ფრთხილად იყავი, არავინ არ უნდა გაიგოს ეს. გახსოვდეს, ერთადერთი შესაძლებლობა მისი თავიდან მოშორებისა თავს წადგომაა, დანაშაულზე წასწრებაა. თუ ბედმა გაგვიღიმა, სასწაულს მივაწერ. თითქოს ჩვენს კედლებსაც მისი ყურები აქვთ გამობმული, ჩვენი არც ერთი ნაბიჯი არ გამოეპარება. უკეთესი იქნება, თუ კი ეს ჩემს გარდა მხოლოდ შენს თანამშრომლებს ეცოდინებათ. საქმეში ნუ ჩართავ პოლიციის სამმართველოს თუ აუცილებელი არ იქნება. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ სამმართველოდან ვიღაც მეტისმეტად ენატარტალაა.

გახარებულ კონრადს გაეღიმა.

— ო'კეი, სერ, დაუყოვნებლივ დავიწყებ. ვან როშისა და მის ფილდინგის მეტი არავინ იქნება საქმის კურსში. შევეცდები, რაც შეიძლება მეტი ცნობა შევკრიბო ჯუნ არნოს შესახებ. თუ კი მოვახერხე იმისი დადგენა, რა ურთიერთობა ჰქონდა მოკლულსა და მაურერს, მაშინ იქნებ გაგვიღიმოს ბედმა.

— იმოქმედე, პოლ! უთხრა ფორესტმა. — და, როგორც კი დაადგენ რამე მნიშვნელოვანს, შემატყობინე. — მან საათს შესედა, — ათი წუთის შემდეგ სასამართლოში უნდა ვიყო. ძიებას მაინცდამაინც დიდ დროს ნუ მოანდომებ, ისედაც ყელამდეა სამუშაო.

— კეთილი, სერ. — კონრადი კმაყოფილი წამოდგა სავარძლიდან.

— კიდევ ორი სიტყვა, — თქვა ფორესტმა და განზე გაიხედა. — ეს, რა თქმა უნდა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ შენთვის კეთილი მსურს და სამსახური მინდა გაგიწიო. თუ მიიჩნევ, რომ ეს ჩემი მხრივ უტაქტობაა, შემაწყვეტინე ლაპარაკი, არ მეწყინება.

— არა, როგორ გეკადრებათ... — ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა კონრადმა — რა მოხდა!

— ჯერჯერობით არაფერი — უპასუხა ფორესტმა და მახვილი დაუსვა „ჯერჯერობითს", თან ისევ განზე იყურებოდა. — კარგად თუ პატრონობ შენს მომხიბლავ ცოლს?

— ვერაფერი გამიგია, სერ...

— ვიღაცამ მითხრა, რომ გუშინ შენი ცოლი ნახეს პარადაიზ — კლუბში, — მშვიდად უთხრა ფორესტმა. — მთლად ფხიზელი არ ყოფილა. არ დაგჭირდება შეხსენება, რომ ამ კლუბის მეპატრონე მაურერია. არ არის გამორიცხული, მისმა ბანდამ იცოდეს, რომ იგი ჩემი უფროსი გამომძიებლის ცოლია. სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა, პოლ. გირჩევ ამაზე დაფიქრდე. ეს საქმისათვისაც ცუდია, და შენს ცოლსაც კარგს არაფერს უქადის.

II

კონრადის მთელი „რაზმი" შედგებოდა მდივანი ქალის მეჯ ფილდინგისა და მაძებარ ვან როშისაგან. ორივე მუშაობდა შიშის გამო კი არა, სინდისის კარნახით. როცა კონრადი თავის განყოფილებაში შევიდა, იმწამსვე შენიშნა, რომ ორივე მოუთმენლად ელოდა.

— რაო, პოლ, რა გადაწყვიტეს? — შეეკითხა ვან როში და თავის მაგიდასთან მივიდა.

— მივყვეთ მაურერის კვალს.

— მაღალმა, ხმელ-ხმელმა ვან როშმა, რომლის შავგვრემან სახეს შავი წვერი ამშვენებდა, ჩაიცინა და კმაყოფილებით მოიფშვნიტა ხელები.

— მწვენიერია! — წამოიძახა მან.—მაურერი ამ საქმისაგან განზე არ იდგომებოდა. საიდან დავიწყოთ?

კონრადმა არ უპასუხა და შეხედა დაბალ-დაბალ, მკვრივსა და ჩასხმულ მეჯს, თავის საწერ მაგიდას რომ მისჯდომოდა.

— შენ რაღას ფიქრობ მეჯ? — შეეკითხა კონრადი.

— მე ვფიქრობ, — უპასუხა მეჯმა, — თუ კი ორივე გამოვეჭავთ მაურერის წარსულს, მოგიწევთ

ტყვიაგაუმტარი ჟილეტების ჩაცმა. სულაც არ ვხუმრობ. — მშვიდად დაუმატა მან.

— იცი, რა, — უთხრა კონრადმა, — ათი წლის წინ მაურერი არც დაფიქრდებოდა, ესროლა თუ არა პოლიციელისათვის, მაგრამ ახლა ის საქმოსანია. ახლა ბევრ რამეს დაკარგავს და, არა მგონია, ასეთი რისკი გასწიოს. კარგად იცის, რომ ასეთ შემთხვევაში თავს ვეღარ დაიძვრენს. ამაზე არც ღირს თავის შეწუხება. მოწმეს — აი ვის უნდა გავუფრთხილდეთ ოვალის ჩინივით, თუ კი მივაგნებთ მას.

— ახლა კი დამშვიდდა ჩვენი პატარა მეჯი, — გაიღიმა ვან როშმა. — მაშ, საიდან დავიწყოთ?

— პირველ რიგში უნდა დავასაბუთოთ, რომ მაურერს ახლო ნაცნობობა ჰქონდა ჯუნთან. მე მგონია, შენ უნდა წახვიდე ჩიხში, იმ რაიონში თითოეული სახლი და ყველა ადამიანი შეამოწმო. შეეცადე გაარკვიო, ვინ დადიოდა რეგულარულად ჯუნთან. თუ კი ბედმა გაგვიღიმა, მის მევიზიტეებს შორის მაურერიც აღმოჩნდება. მაგრამ მაურერის სახელი არავითარ შემთხვევაში არ ახსენო, თორემ დავაფრთხობთ. აგრძნობინე, რომ წარმოებს ჯორდანის საქმის ძიება.

ისინი მთელ დღეს მუშაობდნენ და კონრადი შინ მხოლოდ საღამოს ათი საათისათვის დაბრუნდა. როცა სასტუმრო ოთახში შევიდა, ჯენი სავარძელში იჯდა და ჟურნალს ათვალიერებდა. გუშინდელივით ახლაც ცივი, მიუკარებელი და გულჩათხრობილი სახე ჰქონდა.

დილით როცა კონრადი სამსახურში მიდიოდა, მას ისევ ეძინა. ქმარმა არ გაალვიძა და არაფერი ჰკითხა. მით უფრო, რომ ცოლი გამთენიის ხანს დაბრუნდა. ახლა კი გადაწყვიტა, საუბარი აღარ გადაედო — სულ ერთია — უსიამოვნება მაინც არ ასცდებოდა, ეს წინასწარ იცოდა.

კონრადი დაეშვა ბუხართან მდგარ სავარძელში.

— ჯენი...

— რაშია საქმე? — უკმეხად ჰკითხა ქალმა.

— გუშინ პარადაიზ კლუბში გნახეს...

ქალი ერთ წამს შეცბა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და მტრულად შეხედა კაცს.

— მერე რაო? გიხაროდეს, რომ ამბასადორში არ წავედი, პარადაიზი ბევრად უფრო იაფფასიანია.

— საქმე ამაში არ არის. შენ ისევე კარგად იცი, როგორც მე, რომ პარადაიზ-კლუბის მეპატრონე ჯეკ მაურერია. რა იფიქრე, იქ რომ შეხვედი?

— იცი, პოლ, ძალიან ბევრს გითმენ, მაგრამ ჭკუის დარიგების ნებას მაინც არ მოგცემ. როცა გინდა მაშინ მოდიხარ და მიდიხარ, მე არ გიშლი. ისიც ვიცი, როგორ ეკურკურები იმ მოკუნტულ ფილდინგს. მგონი, შენ ერთადერთი უნდა იყო, ვინც მასთან არშიყობა გაბედა.

ქალი წამოდგა და ოთახიდან გავიდა, ამასთან კარი ხმაურით გაიჯახუნა.

როცა მეორე დილით კონრადი ცხრა საათზე, სამსახურში გამოცხადდა, მეჯი და ვან როში უკვე უსხდნენ თავიანთ მაგიდებს. მეჯი მანქანაზე ბეჭდავდა, ვან როში რაღაცას იწერდა ბლოკნოტში.

— გელოდებიან, პოლ, — უთხრა ვან როშმა.

— ახლა არა მაქვს დრო. ვინ არის?

— ფლო პრესერი.

— ხუმრობ!

— თავად ნახე. თუმცაღა შეხედვაც არ დაგჭირდება. გამოაღე მისაღების კარი და ისეთი სუნი შემოვარდება „ღამის კოცნისა", რომ მაშინვე მიხვდები, ვინც არის.

— რატომ მოვიდა ასე ადრე?

— ძმაკაცი დაკარგა და შენი დახმარება სჭირდება.

— რატომ არ უთხარი, რომ არა მცალია? ხომ იცი, ახლა სისულელეებისათვის არა მაქვს დრო. პოლიციაში წავიდეს.

— მერე იცი, ვინ არის მისი ძმაკაცი? — სერიოზულად შეეკითხა ვან როში.

— ვინ?

— ტონი პარეტი.

კონრადმა შუბლი მოისრისა.

— მგონი ეს სახელი სადღაც გამიგონია.

— დიახაც რომ გაგიგონია. ეს ხომ მაურერის მძღოლი და პირადი მცველია. ამიტომაც ვიფიქრე, რომ მოისურვებდი ფლოსთან ლაპარაკს.

— მართალი ხარ. რა გიამბო?

— გუშინწინ ტონის შეხვდა დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე. ტონიმ უთხრა, გადაუდებელი საქმე მაქვსო და ლენოკს-სტრიტზე სემის ბარში დამელოდე თერთმეტი საათისთვისო. ამაოდ ელოდა ორ საათამდე და მერე შინ დაბრუნდა. გუშინ მთელ დღეს ურეკავდა ტონის, მაგრამ ტელეფონთან არავინ მისულა. დღისით ბინაზე მიაკითხა, მაგრამ არც სახლში დახვდა. ვისაც არ ჰკითხა, არავის არ უნახავს პარეტი. საღამოს ისევ წავიდა სემის ბარში, მაგრამ ტონი ახლაც არ გამოჩენილა, ამიტომ მოგვაკითხა ჩვენ.

— ნუთუ არ იფიქრა, რომ ტონის შეეძლო მისი მიტოვება.

— საეჭვოა, რომ ისეთმა ვირთხამ, როგორიც პარეტია, ფლო მიატოვოს. ეს ხომ მისთვის ოქროს საბადოა.

— პარეტის შეუძლია სხვა ოქროს საბადოსაც მიაგნოს. კაცმა რომ თქვას, რაღა ჩვენ მოგვაკითხა და არა პოლიციას?

— მეც ვკითხე. მან მიპასუხა რომ შენ ნამდვილი ჯენტლმენი ხარ და უფრო გენდობა ვიდრე „ბინძურ" პოლიციას, მისი სიტყვებით რომ ვთქვა.

კონრადმა გამოაღო ხმაგაუმტარი კარი, რომელიც მისაღებ ოთახში გადიოდა და დაიღრიჯა ისეთი მკვეთრი სუნი ეცა. ფლო პრესერი აღელვებული დაბიჯებდა ოთახში, სქლად შეღებილ ტუჩებში სიგარეტი გამოეჩარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სალამი ფლო! — უთხრა კონრადმა. იგი არაერთხელ შეხვედრია ამ ქალს სასამართლოში.

— გამარჯობათ, მისტერ კონრად, — გაუღიმა ფლომ და მიუახლოვდა. — ნუ გამლანძღავთ, გეთაყვა, რომ თქვენ მოგაკითხეთ. ვიცი, ძალიან დატვირთული ხართ და არ უნდა შეგაწუხოთ. მაგრამ მეორე დღეა ტონის გამოისობით გული საგულეს აღარა მაქვს.

— კარგი, კარგი, — მოუთმენლად წეაწყვეტინა კონრადმა, — აქ არ უნდა მოსულიყავი, მაგრამ რადგანაც მოხვედი გულახდილად თქვი ყველაფერი. საიდან იცი, რომ ტონიმ არ მიგატოვა.

— ტონიმ? მე? არა მისტერ კონრად, ის ამას არ გააკეთებდა. ამას გარდა ნამდვილად ვიცი, რაღაცაშია საქმე.

— საიდან იცი?

ერთხანს ფლო დუმდა. ჩანდა, არ უნდოდა ძირითადი და მთავარი ეთქვა. მაგრამ კონრადი ელოდებოდა პასუხს და მანაც გადაწყვიტა ეთქვა.

— მისტერ კონრად, მის ანგარიშს ბანკში თვალყურს ვადევნებ. ტონი რომ წასულიყო, ფულსაც გაიტაცებდა, მე არ დამიტოვებდა. ისე კი ტონი არასდროს არ მიმატოვებს.

„კი, ისეთი ტიპი, როგორიც პარეტია, უფულოდ არ დასხლტება, კაპიკსაც არ დატოვებს“, გაიფიქრა კონრადმა.

— მაშ, შენ ფიქრობ, რომ უბედურება სჭირს?—შეეკითხა იგი ფლოს.

— რაღაც დაემართა, — დაუქნია თავი ქალმა.

— რატომ არ შეხვდით ერთმანეთს გუშინწინ, როგორც აპირებდით?

— ხუთ საათზე გამომიძახა და მითხრა, რომ გადაუდებელი საქმე აქვს.

— რა საქმე?

— ტონიმ მითხრა: „უფროსმა დამიბარა, სასწრაფოდ მჭირდებიო. სემის ბარში შევხვდეთ თერთმეტზეო“. ამის შემდეგ აღარ მინახავს.

— რომელ საათზე გქონდათ დათქმული შეხვედრა ვიდრე გადაგიდებდა?

— რვა საათზე.

— ტონი მაურერის ძმაკაცია?

ფლოს სახე უცებ შეეცვალა. თვალებმა უაზრო და გულგრილი გამომეტყველება მიიღო. იგი შეტრიალდა და სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩააგდო.

— ეს მე არ მესება, — წარმოთქვა მან. — ტონი ასეთ საქმეებზე არ მელაპარაკება.

— ზღაპრებს ნუ მოყვები! მაშასადამე მაურერის ძმაკაცია, არა?

ქალს სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა.

— ხომ გითხარით, არ ვიცი. ფარაონივით ნუ მექცევით, მისტერ კონრად!

კონრადმა მხრები აიჩეჩა.

— კეთილი, ფლო. გავიკითხავ. დაპირებით ვერაფერს დაგპირდები, მაგრამ შევეცდები დაგეხმარო. სად შეიძლება შენი ნახვა?

ქალს სახე გაუბრწყინდა.

— 144-ე ქუჩა, სახლი № 23.

III

— რაო,—იკითხა ვან როშმა, როცა კონრადი თავის ოთახში დაბრუნდა. — „ღამის კოცნის“ სუნმა არ დაგახრჩო?

— ჰო, მაგრად ისხამს სუნამოს, — კონრადმა შუბლი მოისრისა, — ჩვენთან ხომ არის პარეტის საქმე? — მიმართა მეჯს.

მეჯი მივიდა კარადასთან და მოძებნა საკმაოდ თხელი საქმე.

— მეტისმეტად თხელია, — თქვა კონრადმა და გახსნა საქაღალდე.

ვიდრე იგი საქმეს კითხულობდა, ვანი დაუფარავი ინტერესით ადევნებდა თვალს.

— ასე და ამრიგად, — ჩაილაპარაკა კონრადმა რამდენიმე ხნის შემდეგ, — პარეტის ჰქონია მხოლოდ ორი უმნიშვნელო ნასამართლობა, თუმცა პატიმრობაში ნამყოფია, გინდა დაიჯერეთ, გინდ არა, ოცდაექვსჯერ და მხოლოდ ორი უკანასკნელი შემთხვევის გარდა, რაღაც მანქანებით უსხლტებოდა სასჯელს. ამ ორ სასჯელს ვადა მანამდე გასვლია, ვიდრე მაურერს დაუკავშირდებოდა. სხვათა შორის, ერთი საინტერესო დეტალია: აქ წერია, რომ პარეტი შესანიშნავად ისვრის 45 კალიბრიან პისტოლეტს. ეს არაფერზე მეტყველებს?

— ამას ჩიხში მომხდარ მკვლელობას უკავშირებ?— ჰკითხა ვან როშმა.

— თავად იფიქრე, ფლო 8 საათზე უნდა შეხვედროდა იმ დღეს, როცა მკვლელობა მოხდა. მოულოდნელად პაემანი გადადო იმ მიზეზით, რომ უფროსმა გადაუდებელი საქმე დაავალა. ჩვენ ვიცით, ვინ არის მისი უფროსი. დაახლოებით 8 საათზე ამ საღამოს მოკლეს ჯუნ არნო.

— მაინც ვერ დავიჯერებ, რომ პარეტი ასე გაუსწორდებოდა ჯუნს.

— მას არც მოუკლავს. მან მაურერი მიიყვანა ჩიხამდე და ვიდრე ის ჯუნს უსწორდებოდა, პარეტიმ გამოიყენა 45 კალიბრიანი პისტოლეტი მეკარის მოსაკლავად.

— ნუთუ მაურერი ისეთი მხეცია, რომ თავად დაკლა ჯუნი?

— სანაძლეოს ვდებ, რომ მან გააკეთა ეს. დაფიქრდი ერთი: აქამდე მაურერს არ გადაუდგამს არცერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი. ყველა ჩაფიქრებულ მკვლელობას ჩადიოდა მისი რომელიმე დამქაში, რომელსაც, თავის მხრივ, ინსტრუქტაჟს უწევდა მეორე დამქაში. ამიტომაც სასამართლომ ჯერაც ვერ მიაღწია „უფროსამდე“. მაგრამ ახლა, როცა ჯუნის დალატი შეიტყო, თავზზა დაებნა და მოინდომა, თვითონ გასწორებოდა მას. მან წაიყვანა პარეტი და გაემართა ჩიხისაკენ. იქ მაურერი გაუსწორდა ჯუნს. მოწმე მაინც დარჩა, და ეს მოწმე — ტონი პარეტი იყო და მაურერმა პარეტი თავიდან მოიშორა. დარწმუნე-

ბული ვარ, რომ ფლოსაც ეს აეჭვებს, ამიტომაც მოგვმართა.

— ეშმაკმა დალახვროს, მგონი, მართალი ხარ! — თქვა აღელვებულმა ვან როშმა.

— პირველ რიგში პარეტის ბინაში წადი, უთხრა კონრადმა, მოაწყე დაწვრილებითი ჩხრეკვა თითქოს თვითნაბად ოქროს ეძებდე. ვერ გეტყვი, რომ აუცილებლად მიაგნებ რამეს, მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია. — კონრადმა ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერა მისამართი, რომელიც პარეტის საქმეში ნახა, და ვან როშს გაუწოდა.

IV

კონრადმა კინოსტუდიის საშუალებით იშოვნა სტატისტი ქალის ფრენსის კოლემანის ფოტოსურათი და განყოფილებაში დარეკა. ტელეფონთან მივიდა ვან როში.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა კონრადმა.

— ბედმა გაგვიღიმა, პოლ? — მღელვარე ხმით დაიწყო ვან როშმა. — მაკულატურის კალათში ვიპოვნე ძველი კონვერტი, რომლის უკანა მხარეს ჯორდანის ბინის გეგმაა დახაზული. როგორ მოგწონს ეს ამბავი?

— კიდევ რა იპოვნე?

— სამართებლის გასალესი ღვედი. თავად სამართებელი კი არსად ჩანს. ვფიქრობ, რომ იმ სამართებლით, რომელიც ჯორდანს ეჭირა ხელში, არა ერთხელ გაპარსულა პარეტი. თუმცა ამას კიდევ შევამოწმებთ. ამას გარდა, პარეტის ბინის სხვადასხვა კუნჭულში დამალული იყო 1600 დოლარი.

— კიდევ ერთი მტკიცება, რომ მაურერმა თავიდან მოიშორა პარეტი. ის არ გაიპარებოდა უფულოდ.

— რა თქმა უნდა! შენთან რა არის ახალი?

— ჯორდანის კოსტუმერს კემპბელს ჩვენება ჩამოვართვი ფიცის ქვეშ. თურმე, ჯორდანი არა ერთხელ ეუბნებოდა, რომ ჯუნი მაურერის საყვარელი იყო და საერთოდ, ცეცხლივით ეშინოდა მაურერისა.

— მაგრამ მარტო კემპბელის ჩვენება სასამართლოსათვის არასაკმარისია.

— ფლო პრესერის ჩვენებასაც დავუმატებთ. ახლავე წავალ და მოგიყვანთ. გადაეცი საოლქო პროკურორს, რომ ჩვენ საკმარისი მხილება გვაქვს, რომ ძიება დავიწყოთ. კაცმა რომ თქვას, მოგვიწევს ამ საქმეში პოლიციის ჩაბმაც, მათ გარეშე ვერაფერს გავხდებით. შეეკითხე საოლქო პროკურორს, მოიწვევს თუ არა დღეს თათბირს, თუ ჯერ ყველა მხილებას გაეცნობა.

— ყველაფერს გავაკეთებ.

— ძალიან კარგი! სამი საათისათვის შეეხვდებით!

კონრადმა ყურმილი დადო და ბარში შეევიდა, გადაყლაპა ყავა და ლორიანი სანდვიჩი და სწრაფად გაემართა მანქანისაკენ.

144-ე ქუჩა, რომელზეც ფლო ცხოვრობდა წარმოადგენდა ლოურენს ბულვარის, პასიფიკსიტის მთავარი სავაჭრო ცენტრის განშტოებას. ფლოს ბინა ეკავა მეოთხე სართულზე, საყვავილე მაღაზიისა და ორი კანტორის თავზე.

სახლს ლიფტი არ ჰქონდა და კონრადი სწრაფად აუყვა ფართო კიბეს. როცა მესამე სართულზე ავიდა, ზემოდან მოისმა გულშემზარავი კივილი, რომელიც უცებ შეწყდა. კონრადი სახელურს ეცა, თან თავის თავს წყევლიდა, რომ პისტოლეტი არ წამოიღო.

იგი უკვე შეხტა მეოთხე სართულის ბაქანზე, როცა ფლოს ბინის კარი გაიღო და იქიდან მხარბეჭიანი, მაღალი მამაკაცი გამოვიდა. დაინახა თუ არა კონრადი, ბოროტი სახე მოეღუშა. ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და მარჯვენა ხელი პალტოში შეაცურა.

კონრადი ეცა, მაგრამ დამხდურმა პისტოლეტი დაადრო და მომხვდურს ფეხი დაუდო. კონრადი გადა-

ვარდა, მაგრამ მოასწრო მოწინააღმდეგისათვის ნიკაპში გაერტყა და თან დაეთრია. ისინი ერთმანეთს შეებნენ იატაკზე დაცემულები და ერთხანს უხმოდ იბრძოდნენ. ბოლოს და ბოლოს უცნობმა მოახერხა პირველი წამომდგარიყო და კონრადისათვის პისტოლეტი გულზე დაედო. უცებ კონრადმა წამოიწია და მტერს ფეხში სწვდა, უცნობი ზურგზე დაეცა მაგრამ გასროლა მაინც მოასწრო. ტყვიამ ყურთან გაუზუზუნა კონრადს. კონრადმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა და მარჯვენა ხელი სთხლიშა ყბაში. უცნობს პისტოლეტი ხელიდან გაუვარდა და დაბარბაცდა. კონრადმა დაუმატა კიდევ დარტყმა მუცელში, მოწინააღმდეგე ხმაურით ჩაგორდა ძირა ბაქანზე, თავი დაკრა ქვის საფეხურს და გონება დაკარგა.

კონრადი რამდენიმე წამს გაჩერდა, თან თვალი არ მოუშორებია უცნობისათვის და ფლოს ბინისაკენ გაემართა. ქუჩიდან უკვე მოისმოდა პოლიციის მანქანის სირენის ხმა.

მან გადაჭრა უგემოვნოდ მოწყობილი გრძელი ოთახი, რომელიც სასტუმრო ოთახს ჩამოგავდა. მკვდარი ფლო გარდი-გარდმო იწვა ტახტზე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური ბრძოლა

1. საკავშირო საშუამავლო კანტორაში გარიგების რეგისტრაციაში გაუტარებლობა არ იწვევს გარიგების ბათილობას.

ცეკავშირის ქუთაისის ბაზამ გარიგება დადო კულტვაჭრობის როსტოვის ბაზასთან 1967 წლის I კვარტალში მისთვის ზედმეტი საქონლის — ტელევიზორების მიწოდებაზე. მიწოდება ნაწილობრივ არ იქნა შესრულებული, რისთვისაც სახელმწიფო არბიტრაჟში აღიძრა სარჩელი საქონლის უკმარმიწოდებისათვის პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე.

ცეკავშირის ქუთაისის ბაზამ უარყო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ 1966 წლის 22 ნოემბერს გარიგება რეგისტრირებული არ იყო საკავშირო საშუამავლო კანტორაში და ამიტომ იგი ბათილად მიიჩნია. აქედან გამომდინარე არ თვლიდა თავს პასუხისმგებლად ამ გარიგების პირობების შეუსრულებლობისათვის. სარჩელი დაკმაყოფილებული იქნა და ცეკავშირის ქუთაისის ბაზას დაეკალა პირგასამტეხლოს კუთვნილი თანხის გადახდა. სახელმწიფო არბიტრაჟი გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ გარიგება თავისი შინაარსით და ფორმით სავსებით შეესაბამება სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-14 და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 41-ე მუხლების მოთხოვნებს და არ შეიცავს არც ერთ იმ ნიშანთაგანს, რომელიც სსკ 48-ე, 49-ე და 50-ე მუხლების ძალით წარმოშობს გარიგების ბათილობას. ხელშეკრულება ზედმეტი საქონლის მიწოდებაზე არ ეწინააღმდეგება კანონს და არც სავაჭრო ორგანიზაციის მიზნებს. გარიგება დადებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ სათანადო რწმუნების საფუძველზე. საკავშირო საშუამავლო კანტორის ინსტრუქცია ვერ შეცვლის ძირითად კანონს და გარდა ამისა, იგი არ კრძალავს მის გარეშე გარიგების დადებას. მხოლოდ ის; რომ არ იყო დაცული გარიგების რეგისტრაციის ფორმა, თავისთავად არ იწვევს მის ბათილობას.

ცეკავშირის გამგეობა არ დაეთანხმა არბიტრაჟის გადაწყვეტილებას და გაასაჩივრა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. საქმე გაეგზავნა საკონსულტაციოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს. პრაქტიკის განზოგადოების და ინსტრუქტირების განყოფილების უფროსმა არბიტრაჟს აცნობა, რომ მას სწორად მიაჩნია საქართველოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება და რომ შედავებული გარიგების ბათილად ცნობისათვის საფუძველი არ არის.

2. თუ ტვირთი გაფუჭდა სატრანსპორტო ორგანიზაციის მიზეზით, პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის უნდა დაეკისროს რკინიგზას.

ტყიბულნახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებამ აღძრა სარჩელი თბილისის საკონდიტრო კომბინატის მიმართ რკინიგზის კონტეინერით გადაგზავნილი უვარგისი შოკოლადის ღირებულების ანაზღაურებაზე.

საქმის გარჩევის პროცესში დადგინდა, რომ სადაო საკონდიტრო ნაწარმი გადაგზავნილი იყო მოსარჩელის მისამართით რკინის კონტეინერით 1967 წ. 3 მაისს, ხოლო დანიშნულების სადგურზე მივიდა 14 ივნისს, ე. ი. 42-ე დღეს, ნაცვლად დადგენილი ორი დღე-ღამისა. გარედან კონტეინერი ხელუხლებელი იყო, ედო პლომბი. ამის გამო ტყიბულნახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებამ მიიღო იგი შეუდავებლად. კონტეინერის გახსნის დროს აღმოჩნდა, რომ საკონდიტრო ნაწარმის ნაწილი გაფუჭდა გზაში. ექსპერტიზის დასკვნით საქონლის გაფუჭების მიზეზია ტემპერატურული რეჟიმის დაუცველობა ხანგრძლივი ტრანსპორტირების დროს.

თბილისის საკონდიტრო კომბინატმა უარყო თავისი პასუხისმგებლობა საქონლის გაფუჭებისათვის იმის გამო, რომ მის მხრიდან დარღვევას ადგილი არ ჰქონდა. საკონდიტრო ნაწარმი არ არის შეტანილი სწრაფფუჭადი ტვირთის სიაში და ამიტომ მისი გაგზავნა კონტეინერით, სატვირთო სიჩქარით არ ეწინააღმდეგებოდა საკონდიტრო ნაწარმის მიწოდების წესს.

საქონლის მიმღებმა არ მოთხოვა თავის დროზე რკინიგზას კომერციული აქტის შედგენა იმის გამო, რომ კონტეინერი მან მიიღო დაუზიანებელი სახით. რკინიგზის წესდების 65-ე მუხლი ითვალისწინებს დანიშნულების სადგურის ვალდებულებას შეადგინოს კომერციული აქტი გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდვის ვადის დარღვევის შემთხვევაში მხოლოდ მალფუჭად ტვირთებზე, ხოლო წესდების 152-ე მუხლი — ჯარიმას გადაზიდვის ვადის დარღვევისათვის ე. ი. შეზღუდულ პასუხისმგებლობას.

ამასთან დაკავშირებით შეკითხვა გაეგზავნა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს, რომელმაც განმარტა, რომ მაშინაც, როდესაც ტვირთი მალფუჭადი არ არის, მაგრამ კომპეტენტურმა ორგანოებმა იცნეს, რომ ტვირთის გაფუჭება მოხდა სატრანსპორტო ორგანოს მიზეზით, პასუხისმგებლობა რკინიგზის წესდების 148-ე მუხლის ძალით უნდა დაეკისროს რკინიგზას.

აქედან გამომდინარე, ტყიბულნახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე საქონლის მიმწოდებლის მიმართ.

3. პირდაპირი-შერეული რკინიგზისა და წყლის მიმოსვლით გამოგზავნილი ტვირთის რაოდენობა უნდა იქნეს დადგენილი მთელი პარტიის გაცემის შედეგებით.

პურპროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარმა სამმართველომ სარჩელი აღძრა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ ხორბლის დანაკლისზე, რომელიც მიღებული იყო გზავნილით № 04847 ფოთი — კასპი. სარჩელის დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნა სადგურ კასპში შედგენილი კომერციული აქტი.

საქმის გარჩევის პროცესში დადგინდა, რომ ხორბლის სადავო პარტია გამოგზავნილი იყო რამდენიმე ვაგონით, ძირითად რკინიგზის ზედნადებით № 019862/110; დანარჩენი ვაგონების შემოწმების დროს დადგენილი იყო მეტ-ნაკლებობა, ხოლო საბოლოო დანაკლისი რკინიგზის ძირითადი ზედნადებით № 19862/110 არ აღემატებოდა ბუნებრივი დანაკარგის ნორმას. ამის საფუძველზე რკინიგზის სამმართველომ სარჩელი არ იცნო.

მოსარჩელე, ედავებოდა რა რკინიგზის სამმართველოს განმარტებას, ეყრდნობოდა იმას, რომ სადავო ვაგონში დანაკლისი დადგინდა კომერციული აქტით, ხოლო სხვა გზავნილებში აღმოჩენილი მეტობის მასში ჩათვლა არ არის სწორი. სახელმწიფო არბიტრაჟმა სარჩელი დააკმაყოფილა.

ზედამხედველობის წესით შემოტანილი განცხადების განხილვის შედეგად სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა, ხოლო მოსარჩელეს ძიებაში უარი ეთქვა. ზედამხედველობის წესით გამოტანილ დადგენილებაში ნათქვამია, რომ პირდაპირი — შერეული რკინიგზით და წყლით ტვირთის გადაზიდვის წესების მე-17 მუხლის ძალით, ფაქტიურად გაცემული ტვირთის რაოდენობის დადგენა ხდება სიაში ჩამოთვლილი ყველა ზედნადების შეჯამებით,რაზედაც დგება საერთო კომერციული აქტი. ძირითად № 019862/110 ზედნადებზე მოხდენილი აღნიშვნების თანახმად, საბოლოო დანაკლისი არ აღემატება ბუნებრივი დანაკარგის ნორმას და, მაშასადამე, ფაქტიურად ხორბლის ნორმაზე მეტ დანაკლისს ადგილი არ ჰქონია.

4. შესაფუთავი ქსოვილების დაუბრუნებლობისათვის ჯარიმის გადახდევინების უფლება აქვთ მხოლოდ ტარის შემგროვებელ ორგანიზაციებს.

უზბეკეთის სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკურმა სავაჭრო — შემსყიდველმა ბაზამ აღძრა სარჩელი საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილების მიმართ შესაფუთი ქსოვილების დროზე დაუბრუნებლობისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე. სარჩელი ემყარებოდა საკავშირო საგეგმო კომიტეტის მიერ 1961 წ. 11იანვარს დამტკიცებული ინსტრუქციას შესაფუთი ქსოვილის დაბრუნებისა და განმეორებით გამოყენების წესის შესახებ, რომლის თანახმად, შესაფუთი ქსოვილი უნდა დაბრუნებულ იქნას საქონლის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მოპასუხემ განაცხადა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი შესაფუთი ქსოვილის დაბრუნების დადგენილი ვადა, ხოლო მოსარჩელის პრეტენზიის მიღების შემდეგ ასეთი დაუბრუნდა საქქსოვილვაჭრობის ქუთაისის ბაზას.

სახელმწიფო არბიტრაჟმა განმარტა, რომ შესაფუთი ქსოვილის დაბრუნების მოთხოვნა და ჯარიმის გადახდევინების უფლება ინსტრუქციის მე-3 და23-ე მუხლების თანახმად მინიჭებული აქვს არა ქსოვილის ყველა მიმწოდებელს, არამედ მხოლოდ ტარის შემგროვებელ ორგანიზაციებს, როგორიცაა ვაჭრობის სამინისტროს ქსოვილების და შეკერილი მზანაწარმის საბითუმო ვაჭრობის სავაჭრო და გამოსასვლელი ბაზები, ხოლო მოსარჩელე არის სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ბაზა და არა ტარის შემგროვებელი ორგანიზაცია, ამის გამო მას არ ჰქონდა უფლება სარჩელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სტიქიური უბედურების პირობებში ტარის დამსხვრევა, თუ ამას ადგილი ჰქონდა ტარის დაბრუნების ვადის გასვლის შემდეგ არ ათავისუფლებს ორგანიზაციას პასუხისმგებლობიდან ტარის დროზე დაუბრუნებლობისათვის.

ძერჟინსკის ქიმკომბინატმა აღძრა სარჩელი საქართველოს ქიმმომარაგების სამმართველოს მიმართ ქიმიური რეაქტივის ტარის (მინის ბალონების) დროზე დაუბრუნებლობისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე. საქმეში ჩაბმული იყო ქიმიური რეაქტივის მომხმარებელი წარმოება, რომელმაც მიიღო პროდუქცია ქიმმომარაგების სამმართველოსაგან. ტარის დროზე დაუბრუნებლობის ფაქტი დადგინდა და სახელმწიფო არბიტრაჟმა დააკმაყოფილა სარჩელი ქიმიური რეაქტივების მომხმარებლის ხარჯზე. წარმოებამ გაასაჩივრა სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება და ზედამხედველობის წესით შემოტანილ განცხადებაში განაცხადა, რომ ქიმმომარაგების სამმართველომ ერთად მიაწოდა მას დიდი რაოდენობის ქიმრეაქტივი, რაც მის წლიურ მოთხოვნილებას შეადგენდა და რომ 1968 წლის სექტემბერში ძლიერი ქარისა და სეტყვის შედეგად დაიმსხვრა დასაბრუნებლად მომზადებული 130 ბალონი, რისთვისაც მოითხოვა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული. წარმოებას მიეთითა რომ ტარის დაბრუნების უკანასკნელი ვადა იყო 15 მაისი, ხოლო სტიქიურ მოვლენას, რომელზედაც იგი უთითებს ადგილი ჰქონდა სექტემბერში, ე. ი. ტარის დაბრუნების ვადიდან ოთხი თვის შემდეგ. მაშასადამე, ეს არ იყო ტარის დროზე დაუბრუნებლობის მიზეზი და ამიტომ წარმოებამ სრულად უნდა აგოს პასუხი ტარის დაბრუნების ვადის დარღვევისათვის ჯარიმის იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ტარის დაუბრუნებლობისათვის ქიმრეაქტივების მიწოდების განსაკუთრებულ პირობებზე დართული ინსტრუქციით.

6. სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს გადაწყვეტილების გამოტანის დროს გამოვიდეს სარჩელის ფარგლებიდან, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესი ან თუ ეს საჭიროა ორგანიზაციის უფლებების ან კანონიერი ინტერესის დაცვისათვის.

კრასნოპრესნიას ხილბოსტნეულის კანტორამ აღძრა სარჩელი შრომის შემფუთავი ქარხნის მიმართ მიწოდებული მსხლის არასათანადო ხარისხზე, დანაკლისზე და ფასების დარღვევაზე.

საქმის გარჩევის პროცესში შრომის შემფუთავმა ქარხანამ აღძრა შეგებებითი სარჩელი 881 მან. 95 კაპ. განაცხადა რა, რომ საქონლის მიმღებმა ანგარიშის აქცეპტის დროს ზედმეტად შეამცირა გასანაღდებელი თანხა.

არბიტრმა ნაწილობრივად დააკმაყოფილა ძირითადი სარჩელი, ხოლო შეგებებითი სარჩელი დაკმაყოფილა მეტი თანხით, ვიდრე ეს იყო განცხადებული შეგებებული მოსარჩელის მიერ.

კრასნოპრესნიას ხილბოსტნეულის კანტორამ გაასაჩივრა აბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება. არსებითად მომჩივანი არ ედავებოდა არბიტრაჟს, დავობდა მხოლოდ იმას, რომ შეგებებული მოსარჩელე არბიტრაჟმა დააკმაყოფილა მეტი თანხით, ვიდრე იგი მოითხოვდა.

საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ. მომჩივანს მიეთითა, რომ სამეურნეო დავების განხილვის წესების 85-ე მუხლის ძალით სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს გადაწყვეტილების გამოტანის დროს გამოვიდეს განცხადებული სარჩელის ფარგლებიდან თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესი ან თუ ეს საჭიროა ორგანიზაციის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის.

სასამართლო პრაქტიკა

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. ქ. თბილისში პირადი საკუთრების სახლის აღება დაიშვება მხოლოდ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით; სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის პირადი საკუთრების სახლის აღების შემთხვევაში მესაკუთრის ოჯახს ბინა უნდა მიეცეს სულზე არანაკლები 12 კვმ. ფართისა; სასამართლო, დააკისრებს რა მოპასუხეს მოსარჩელისათვის ბინის მიცემას, გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს ამ ბინის კონკრეტული ნიშნები (ბინის მისამართი, ოთახთა რაოდენობა, ფართი და სხვა).

თბილისის 26 კომისრის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა სარჩელი აღძრა სასამართლოში პ. ე. პანოვის პირადი საკუთრების სახლის აღების თაობაზე.

თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1968 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა და დაადგინა მოპასუხის ორი სულისაგან შემდგარი ოჯახის გასახლება ასაღები სახლიდან, სამაგიერო ერთოთახიანი ბინის მიცემით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1968 წლის 21 მაისის განჩინებით გადაწყვეტილება შეასწორა: მოსარჩელეს დაევალა მოპასუხის უზრუნველყოფა ბინის ფართობით კანონით დაწესებული ნორმის მიხედვით.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში გადაწყვეტილების და განჩინების გაუქმების და საქმის სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

მოსარჩლე პ. ე. პანოვის პირადი საკუთრების სახლი აღებული უნდა იქნეს ელექტროქვესადგურის გაფართოებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების მეოთხე პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისში პირადი საკუთრების სახლის აღება დაიშვება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი, არსებობს თუ არა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება პანოვის პირადი საკუთრების სახლის აღების თაობაზე.

თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 309 მუხლისა, პირადი საკუთრების სახლის აღების შემთხვევაში მესაკუთრის ოჯახს ბინა უნდა მიეცეს სულზე არანაკლები 12 კვმ. ფართისა

„სამოქალაქო საბინაო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 15 მარტის დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად სამაგიერო ბინის მიცემით მოქალაქეთა გამოსახლების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ბინის მისამართი, ფართი, ოთახთა რაოდენობა, ბინაში შესასახლებელ პირთა გვარი, სახელი, მამის სახელი და სხვა).

მოცემულ საქმეზე ეს მოთხოვნები დაცული არ არის.

აღნიშნულის გამო, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1968 წლის 16 სექტემბრის დადგენილებით გაუქმდა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის განჩინება და საქმე დაუბრუნდა სახალხო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

2. ბინაში შესახლება ამ ბინაში მცხოვრები ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობის გარეშე არ უქმნის შესახლებულ პირს უფლებას ბინის ფართზე.

თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1968 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. კ. მალაციძის სარჩელი სადაო ბინაში მისი შესახლების თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასმართლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1968 წლის 6 მარტის განჩინებით გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საკასაციო კოლეგიის განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად სახალხო სასამართლოში დაბრუნების მიზნით.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

საქმის მასალებით არ არის დადგენილი, რომ მოსარჩელე სადავო ბინაში შესახლებულია ამ ბინაში მცხოვრები ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობით.

თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 297 მუხლისა დამქირავებელს უფლება აქვს დადგენილი წესით ჩაისახლოს თავის საცხოვრებელ სადგომში მეუღლე, შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები და მისი სარჩენი შრომისუუნარო პირები, თუ აქვს წერილობითი თანხმობა იმავე სადგომში მცხოვრები თავისი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრისა. ოჯახის წევრების წერილობითი თანხმობა საჭირო არ არის. მხოლოდ მშობლებთან მათი არასრულწლოვანი შვილების ჩასახლებისათვის.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 16 სექტემბრის დადგენილებით გააუქმა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

3. იმ შემთხვევაში, თუ ბინის გაცვლით არსებითად შეილახება ბინაში მცხოვრებ სხვა პირთა ინტერესები, სასამართლომ არ უნდა მისცეს მოსარჩელეს ბინის გაცვლის უფლება.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1968 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. გ. პერუშკინას სარჩელი და მიეცა უფლება თანმოპასუხეებისათვის კიკოლაშვილისა და ჟიკიძესათვის გაეცვალა ბინა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1968 წლის 6 ივნისის განჩინებით გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქრთველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში გადაწყვეტილების და განჩინების გაუქმების და საქმის სახალხო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების მიზნით.

პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319 მუხლისა საერთო შესასვლელის მქონე მომიჯნავე ოთახების ან თუნდაც ერთი მათგანის გაცვლისათვის საჭიროა ამ ოთახების მცხოვრები ყველა დამქირავებლის და მათი ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობითი თანხმობა.

ამ თანხმობის არ არსებობისას სასამართლოს შეუძლია პირს უფლება მისცეს ბინის გაცვლაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით არსებითად არ შეილახება მომიჯნავე ოთახებში მცხოვრებთა ინტერესები.

მოცემულ საქმეზე შემოწმებული არ არის ილახება თუ არა მოსარჩელის ბინის გაცვლით მოპასუხის ინტერესები.

აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის განჩინება პერუშკინას საქმეზე და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სახალხო სასამართლოში.

4. კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავს უფლებას კომლის ქონების წილზე, თუ მას ზედიზედ სამი წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია თავისი შრომით ან სახსრებით კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში

ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული იქნა ვ. მოწონელიძის სარჩელი ნ. და ნ. ბერაძეებთან კომლის ქონებიდან წილის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საკასაციო კოლეგიის განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად სახალხო სასამართლოში დაბრუნების მიზნით.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

დადგენილია, რომ მოსარჩელე ვ. მოწონელიძე და მოპასუხე ნ. ბერაძე 1949 წლიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და ცხოვრობდნენ ერთ კომლში ამბროლაურის რაიონის სოფელ ცახში.

ამჟამად მოსარჩელე ვ. მოწონელიძე ცხოვრობს და მუშაობს ქ. ქუთაისში. სასამართლოს არ დაუდგენია რა დროიდან არის მოსარჩელე გადასული საცხოვრებლად ქუთაისში და ხომ არ დაკარგა მან უფლება კომლის ქონებაზე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128 მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გამო.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა არ გაიზიარა პროტესტის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ კომლის ქონების გაყოფისას სასამართლომ გასაყოფი ქონებიდან უნდა გამორიცხოს ის ქონება, რომელიც შეძენილია კომლის მიერ, მოსარჩლის წევრად გახდომამდე.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122 მუხლის შესაბამისად კომლიდან წილის გამოყოფისას მხედველობაში მიიღება კომლის მთელი ქონება და არა მხოლოდ ის, რომელიც შეძენილია მოსარჩელის კომლის წევრად გახდომის შემდეგ.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სისხლის სამართლის საქმეებზე

1. განაჩენში მოტივირებული უნდა იქნას არა მხოლოდ დასკვნა სამართალში მიცემულის ბრალეულობის შესახებ, არამედ სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის ზომაც.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 14 აგვისტოს განაჩენით ს. ვალიევი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 81 მუხლის 1ნაწილით და მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1967 წლის 5 სექტემბრის განჩინებით სახალხო სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა განაჩენის და განჩინების შესწორება მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის განსაზღვრის ნაწილში.

პროტესტი დაკმაყოფილებულ იქნა შემდეგი საფუძვლების გამო:

მსჯავრდებულ ს. ვალიევისათვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს მიერ სათანადოდ არ არის მოტივირებული. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. ს. ვალიევი პირველად არის მიცემული სამართალში, სწავლობდა ტექნიკუმში მესამე კურსზე, ტექნიკუმის ადმინისტრაცია ახასიათებს დადებითად, მან გულწრფელად მოინანია დანაშაული. არ იქნა აგრეთვე გათვალისწინებული, რომ ს. ვალიევი საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეული უნდა ყოფილიყო იმავე წლის ოქტომბერში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით შესწორება შეიტანა სახალხო სასამართლოს განაჩენში და უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში და საქართველოს სსრ სსკ 46 მუხლის საფუძველზე ს. ვალიევს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაუთვალა პირობით და საგამოცდო ვადად დაუნიშნა ერთი წელი.

2. განაჩენი გაუქმდა იმის გამო, რომ სახალხო სასამართლოს მიერ სწორად არ იყო განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის რეჟიმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1967 წლის 21 ივლისის განაჩენით გ. კომახიძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის III ნაწილით და სსკ 45 მუხლის გამოყენებით. სასჯელის ზომად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა — გასწორების კოლონიაში მოხდით.

გ. კომახიძეს მსჯავრი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა „აჭარკურორტვაჭრობის“ № 3 საწყობის გამგედ, ბათუმის ღვინის ქარხნის არყის საამქროს ყოფილ გამგე წივწივაძესთან და მაღაზიის გამგეებთან ჯინჭარაძესთან და სიხარულიძესთან ერთად რეალიზაცია უყო 1800 ცალ ბოთლ აღურიცხველ არაყს და რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა 4.950 მანეთი აღნიშნულ პირებთან ერთად მიითვისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და ითხოვა გ. კომახიძის მიმართ რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სასამართლოსათვის გადაცემა.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებით პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლებისა გამო:

სასამართლომ რეჟიმის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ გ. კომახიძე 1950 წელს მსჯავრდებული იყო 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით. გ. კომახიძე პატიმრობიდან გათავისუფლდა 1953 წლის 27 მარტის ამნისტიით.

ასეთ პირობებში სასამართლოს გ. კომახიძისათვის სასჯელის მოხდის ადგილად უნდა განესაზღვრა მკაცრი რეჟიმის შრომა — გასწორების კოლონია ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმისა.

3. თუ სამართალში მიცემული უარს იტყვის საბრალდებო დასკვნის ასლის მიღებაზე, მაგრამ სამსჯავრო სხდომის დაწყებისას ის მოითხოვს ჩაბარდეს საბრალდებო დასკვნის ასლი, სასამართლო ვალდებულია გადადოს საქმის განხილვა და ჩააბაროს სამართალში მიცემულს საბრალდებო დასკვნის ასლი.

ონის რაიონის სახალხო სასამართლოს 1967 წლის 27 ივლისის განაჩენით გ. იობაშვილი, ჭ. სხირტლაძე და ა. მდივანი ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 192 მუხლის II ნაწილით და 150 მუხლის II ნაწილით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1967 წლის 23 აგვისტოს განჩინებით სახალხო სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

გ. იობაშვილს, გ. სხირტლაძეს და ა. მდივანს მსჯავრი იმაში დაედოთ, რომ მოაწყვეს შეიარაღებული თავდასხმა ონის რაიონის სოფელ მთისკალთის მცხოვრებთა ოჯახებზე და დაიტაცეს 4500 მანეთის ნივთები.

საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ დაშვებულია უხეში პროცესუალური დარღვევა.

სამართალში მიცემულებმა უარი თქვეს საბრალდებო დასკვნის ასლის მიღებაზე, მაგრამ შემდგომ, სამსჯავრო სხდომის დასაწყისში მოითხოვეს, რათა მათ ჩაბარებოდათ საბრალდებო დასკვნის ასლი.

სასამართლომ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა, რითაც დაირღვა სამართალში მიცემულთა უფლებები.

სასამართლო ვალდებული იყო გადაედო საქმე და ჩაებარებინა სამართალში მიცემულებისათვის საბრალდებო დასკვნის ასლი.

იმის გამო, რომ საქმეზე დაშვებული იყო უხეში დარღვევები წინასწარი გამოძიების სტადიაშიც, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე 1967 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებით გააუქმა განაჩენი და განჩინება გ. იობაშვილის, გ. სხირტლაძის და ა. მდივნის მიმართ და საქმე დააბრუნა დამატებით გამოძიების ჩასატარებლად.

4. განაჩენი არ შეიძლება ძალაში დარჩეს, თუ დადგენილი არ არის დაანშაულის ჩადენაში ყველა თანამონაწილე პირი.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1967 წლის 7 მაისის განაჩენით რ. ღირდალაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 188 მუხლის II ნაწილით და მიესაჯა ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა.

რ. ღირდალაძეს მსჯავრი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მამაკაცთა მეორე ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელად, გამოიჩინა სამსახურებრივი დაუდევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი — მოქალაქე ს. გოლოვინის სიკვდილი.

განაჩენით დადგინდა, რომ ქ. თბილისის № 2 სამედიცინო სანიტარული ნაწილის მიმართვით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის პოლიკლინიკაში საკონსულტაციოდ გაგზავნილი იქნა ს. გოლოვინი კუჭის კიბოზე ეჭვის დიაგნოზით.

იმავე დღეს გოლოვინი ონკოლოგიური დისპანსერის მეორე ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელის რ. ღირდალაძის კონსულტაციისა და განკარგულების საფუძველზე მოთავსებული იქნა მე-13 პალატაში. რ. ღირდალაძემ ავადმყოფს მკურნალ ექიმებად მიუჩინა ლეჟავა და წულაია. ფაქტიურად ამ პირებმა ვერ შესძლეს ავადმყოფისადმი მეთვალყურეობა, რადგან ლეჟავა მივლინებაში იყო, ხოლო წულაია ავადმყოფობის გამო დისპანსერში არ იმყოფებოდა.

როგორც შემდეგ დადგინდა, ს. გოლოვინი სინამდვილეში კუჭის წყლულით იყო დაავადებული, ხოლო რ. ღირდალაძის დაუდევრობით მას არავითარი მკურნალობა არ ჩაუტარდა, განუვითარდა კუჭის წყლულის პერფორაცია, რის შედეგადაც ის საავადმყოფოში მიყვანიდან მეოთხე დღეს გარდაიცვალა.

სახალხო სასამართლოს განაჩენი რ. ღირდალაძის მიმართ უცვლელად დატოვა ძალაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე პროტესტით შევიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამრთლოს პრეზიდიუმში და ითხოვა განაჩენის და განჩინების გაუქმება და რ. ღირდალაძის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გადაცემა.

პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა შემდეგი საფუძვლების გამო:

როგორც საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, ექიმი ლეჟავა, რომელსაც რ. ღირდალაძემ დაავალა ავადმყოფზე მეთვალყურეობა, მივლინებაში გაიგზავნა დავალების მიღების მეორე დღეს. დისპანსერში იმყოფებოდა ექიმი წულაიაც. რომელსაც აგრეთვე მე-13 პალატაში მოთავსებული ავადმყოფების მოვლა-პატრონობა ჰქონდა დავალებული.

ავადმყოფი გოლოვინი გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე სამუშაო საათებში ინახულა რ. ღირდალაძემ.

ამრიგად, საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს სახალხო სასამართლოს და საკასაციო კოლეგიის ის დასკვნა. რომ გოლოვინი დისპანსერში ყოფნის მთელ პერიოდში მეთვალყურეობის გარეშე იყო მიტოვებული.

ამავე დროს, დადგენილია, რომ ავადმყოფის მდგომარეობის გართულების მიუხედავად მორიგე ექიმებმა არ შეატყობინეს ამის შესახებ უფრო კვალიფიციურ მუშაკებს. ამის გამო საჭიროა დაისვას საკითხი მორიგე ექიმების პასუხისმგებლობის შესახებ.

ავადმყოფის სიკვდილში დამნაშავე ყველა პირის დადგენის მიზნით უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება რ. ღირდალაძის მიმართ და საქმე პროკურატურას დაუბრუნა დამატებით გამოძიების ჩასატარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული

სომხეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები თბილისში

თბილისში სტუმრად ჩამოვიდნენ სომხეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები, კონსულტანტები, სახალხო მოსამართლეები, სულ 24 კაცი. მათი ჩამოსვლის მიზანს შეადგენდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაობის პრაქტიკის გაცნობა. ჩამოსვლის დღეს სომეხი სტუმრები მიიღო უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. ქაჯაიამ.

სტუმრები გაეცნენ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კოლეგიების საქმიანობას, სასამართლოს სტატისტიკისა და კოდიფიკაციის განყოფილების მუშაობას, შეისწავლეს თუ როგორ ხდება საჩივრების გადაწყვეტა და საქმის წარმოება კანცელარიაში. შემდეგ მოეწყო შეხვედრა ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაკებთან. სომხეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქ. თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კომკავშირის ხეივანზე. შემდეგ გაემგზავრნენ საგურამოში, სადაც დაათვალიერეს ი. ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმი, იყვნენ მცხეთაში, მოინახულეს სვეტიცხოველი და ჯვარი. სომხეთის უმაღლესი სასამართლოს დელეგაციამ თავიანთი ქართველი კოლეგები მიიწვიეს სომხეთში.

ვ. კუხიანიძე

წულუკიძის რაიონის პროკურორის ანგარიში კოლეგიაზე

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ განიხილა წულუკიძის რაიონის პროკურორის ანგარიში. როგორც აღინიშნა რაიონის პროკურატურა ახორციელებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

რაიონის პროკურორი **გ. ხურცილავა** სისტემატურად აანალიზებს რაიონში დანაშაულობასთან ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობას, პარტიული ორგანოების დახმარებით, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო კავშირში იღებს ეფექტურ ზომებს დანაშაულის, მათი გამომწვევი მიზეზების შემცირებისა და ლიკვიდაციისათვის.

პროკურატურის მუშაკები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარებას. 1968 წლის 9 თვეში იურიდიულ თემებზე წაკითხულია 62 ლექცია-მოხსენება, მოეწყო კითხვა-პასუხის 7 საღამო, პრესაში გამოქვეყნდა 8 წერილი, პროკურატურის მუშაკებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ რადიო გადაცემებში.

დამაკმაყოფილებელია რაიონში საერთო საპროკურორო ზედამხედველობა. რეგულარულად მოწმდება სასოფლო საბჭოების აღმასკომების, კოლმეურნეობების გამგეობების გადაწყვეტილებათა კანონიერება. გამოვლინებული დარღვევების აღმოსაფხვრელად პროკურორი სათანადო წარდგინებებით და პროტესტებით შედის შესაბამის ორგანოებში.

რაიონში ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა, როგორც დანაშაულთა საერთო რაოდენობა, ასევე იგრძნობა საშიში დანაშაულის შემცირება.

პროკურატურაში მაღალ დონეზე დგას საგამომძიებლო საქმიანობა. რაიონის პროკურორი გ. ხურცილავა კვალიფიციურად და საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს ყოველი კონკრეტული საქმის გამოძიებას. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდა მხოლოდ 1 საქმე, ისიც ახალად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. ოთხი წელია რაიონში არ არის არც ერთი გაუხსნელი საქმე.

დიდი ყურადღება ექცევა გაფლანგვა-მტაცებლობით მიყენებული ზიანის, კოლმეურნეობებში და წარმოება-დაწესებულებებში დებიტორული დავალიანების ამოღებას.

კარგად ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა სწდს საგამომძიებლო ჯგუფზე, გამოძიების ვადები საქმეებზე დაცულია

ასეთივე ზედამხედველობა ხორციელდება სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს. საქმეთა ნახევარზე მეტი განხილულია სასამართლოს გამსვლელ სესიებზე. განაჩენები და გადაწყვეტილებები სტაბილურია.

პროკურატურაში შემოსული საჩივრები განხილული და გადაწყვეტილია კანონით დაწესებულ ვადებში. პრაქტიკაში ცალკეული საჩივრის ადგილზე შემოწმება.

პროკურატურის მუშაკებმა რაიონის წარმოება-დაწესებულებებში შეისწავლეს საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა. პროკურორის წარდგინებით შემოწმების შედეგები განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა.

კოლეგიამ მოიწონა წულუკიძის რაიონის პროკურატურის მიერ გაწეული მუშაობა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. სსრ კავშირის პროკურატურის წინაშე დაყენებულია საკითხი რაიონის პროკურორის გ. ხურცილავას წახალისების შესახებ. რაიონის პროკურატურის მუშაობის გამოცდილების განზოგადოების მიზნით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის პროკურორს დაეგზავნა საინფორმაციო წერილი.

ვ. გოგუაძე,
საქართველოს სსრ პროკურატურის თანაშემწე, აღსრულებაზე კონტროლის დარგში, იუსტიციის მრჩეველი.

ჩხოროწყუს რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე

გაიმართა ჩხოროწყუს რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენებით — „რაიონში დამნაშავეობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ — გამოვიდა რაიონის პროკურორი — შ. შ ე ნ გ ე ლ ი ა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის მილიციის უფროსი ა. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ე ს ა რ თ ი ა, საქართველოს ალკკ ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი გ. თ ო დ უ ა, განათლების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი შ. ნ ა ჭ ყ ე ბ ი ა, ლესიჭინის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ა ბ ა შ ი ძ ე, სოფელ მეხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამმართველოს უფროსი ა. ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა, სოფელ ლესიჭინის რუსთაველის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი გ. ჯ ი ქ ი ა.

აქტივის მუშაობა შეაჯამა და სიტყვა წარმოთქვა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის მდივანმა ჟ. გ ო გ უ ა მ.

განხილულ საკითხზე კრებამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

ა. გუნია,
ჩხოროწყუს რაიპროკურორის თანაშემწე

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲞ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР